603/2 N 16253
ეროვნული ბიბლიოთეკა
310

ლელო
გამოცემის 75-ე წელიწადი
№ 025 (12704) 2 თებერვალი ორშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



# საირლანდიო

## 21 პლუს ერთი დებიუტანტი



## როგორ მიხედავს კუპერი დაცვას?

>> 2

## ცქიტიშვილი საქართველოდან წავიდა

წელიწადნახევარი მეორე ბუნდესლიგაში

>> 4

# მჭედლიძე

## პირველად სასტარტოში



ლეგიონის ეკვეები >> 5




## როჯერის ცრემლები და რაფას პირველი ავსტრალიური

ავსტრალიის ღია პირველობა. ფინალი >> 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირლანდია-საქართველო

# ყენია კარგადაა, კალაძის იმედი გვაქვს...

## კუპერის 22 ერთი დებიუტანტით

საქართველოს ნაკრები 2009 წელს ირლანდიასთან გასვლითი შესარჩევი მატჩით იწყებს. როგორც იცით, ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი **ექტორ კუპერი** ნაკრების ნევრ-კანდიდატებზე დასაკვირვებლად ანთალიაში იმყოფებოდა და ქართული გუნდების გარდა, ჩვენი ლეგიონერების მონაწილეობით გამართულ შეხვედრებსაც დაესწრო. კუპერი თბილისში გუშინ დაბრუნდა და 11 თებერვლის მატჩისთვის ნაკრების შემადგენლობა გამოამზეურა. ნაკრების თავკაცის სიაში 22 ფეხბურთელია:

მეკარეები - **გიორგი ლომაია** (ლოკომოტივი), **როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე** (ორივე ზესტაფონი);

მცველები - **კახა კალაძე** (მილანი, იტალია), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ბლექბერნი, ინგლისი), **გიორგი შაშიაშვილი** (შტურმი, ავსტრია), **დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე** (ორივე რუბინი, რუსეთი), **ალექსანდრე კვახაძე** (ვიტ ჯორჯია), **უჩა ლობჟანიძე** (ზესტაფონი);

ნახევარმცველები - **ლევან კობიაშვილი, ლევან ყენია** (ორივე შალკე, გერმანია), **ზურაბ მენთეშაშვილი** (ვენტსპილსი, ლატვია), **დავით ოდიკაძე** (დიორ ეტო, უნგრეთი), **ლუკა რაზმაძე** (ვიტ ჯორჯია), **ლევან ხმალაძე** (დინამო), **ბუბა დაუშვილი** (ზესტაფონი);

თავდამსხმელები - **ალექსანდრე იაშვილი** (კარლსრუე, გერმანია), **ლევან მჭედლიძე** (პალერმო, იტალია), **ბექა გოცირიძე** (დნიპრო, უკრაინა), **დავით სირაძე** (ტერეკი, რუსეთი), **გიორგი მერებაშვილი** (დინამო).

ყურადღებას მიაქცევდით, რომ სიაში მხოლოდ ერთი დებიუტანტია - „ზესტაფონის" მეკარე **ზურაბ მამალაძე**, რომელსაც კუპერმა გასული წლის ბოლო „სამშაბათობაზე" უხმო, ამჯერად კი მესამე მეკარედ გამოიძახა. საირლანდიოდ შემადგენლობაში ვერ მოხვდა **მალხაზ ასათიანი**, რომელიც მოსკოვის „ლოკომოტივმა" ტრანსფერზე დააყენა და დღემდე უგუნდოდაა, შესაბამისად, შუასასეზონო სრულყოფილი მზადებაც ჩაუვარდა და ფორმაშიც ვერ არის.

ამ სიიდან ორი მოთამაშის ბედი გაურკვეველი იყო. თითქოს ახლაც საეჭვოა, შეძლებენ თუ არა **კახა კალაძე** და **ლევან ყენია** დუბლინში ჩასვლას. მიუხედავად ტრავმებისა და პრაქტიკის უქონლობისა, კუპერმა ისინი მაინც შეიყვანა შემადგენლობაში. ამის თაობაზე განმარტებას აკეთებს ნაკრები გუნდების მენეჯერი **თამაზ ბოკერია**:

*„ლევან ყენიას მსუბუქი ტრავმა ჰქონდა და უკვე მწყობრშია. მან გუნდთან ერთად გაიარა მოსამზადებელი შეკრება და კარგ ფორმაშია. მასთან უკვე გვქონდა საუბარი და თავადვე დაგვიდასტურა, რომ მზადაა ირლანდიასთან სათამაშოდ. რაც შეეხება კახა კალაძეს, დაველოდებით „მილანისა" და „ლაციოს" საკვირაო მატჩს. ამას გარდა, კუპერი პირადად ელაპარაკა „მილანის" ექიმს, რომელსაც ორშაბათს კიდევ ერთხელ დაუკავშირდება. ამჟამად კახას მდგომარეობა საგანგაშო არ არის. იმედი გვაქვს, დუბლინში კალაძეც ითამაშებს".*

ჩვენი გუნდი ირლანდიაში 8 თებერვალს გაემგზავრება და დუბლინის „ჰილტონ დაბლინ ოტელში" დაბინავდება. 11 თებერვალს ირლანდია-საქართველოს მატჩი თბილისის დროით 23:45 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**



# როგორ მიხედავს კუპერი დაცვას?

თამაშს იგებს ის გუნდი, ვისაც უკეთესი ნახევარდაცვა ჰყავს - ასეთი სენტენცია დრომოჭმული არ არის, მაგრამ სხვა თვალსაზრისსაც აქვს არსებობის უფლება. თამაშს დღეს უკვე დაცვა იგებს. საირლანდიოდ კი საქართველოს ნაკრებს დაცვაში განსაკუთრებულად უჭირს - **კახა კალაძის** დუბლინში ჩასვლა სათუოა და რომც ითამაშოს **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდთან, ნამდვილად ვერ იქნება ოპტიმალურ ფორმაში. **ზურაბ ხიზანიშვილს** სათამაშო პრაქტიკა აკლია და რა გამოდის? მაღალი კლასის ფეხბურთელებით ისედაც ღარიბ გუნდს ორი საუკეთესო მცველი საუკეთესო კონდიციაში ვერ ჰყავს.

თუ მიმდინარე შესარჩევში ნაკრების ბოლო მატჩს გავიხსენებთ, ბულგარეთთან დაცვის ცენტრში **ლაშა სალუქვაძე** და **ლექსო კვახაძე** მოქმედებდნენ, რომლებმაც საქმეს კარგად გაართვეს თავი - **დიმიტარ ბერბატოვი** ამოკეტეს. ბულგარეთმა და ბერბატოვმა საუკეთესო მატჩი ვერ ჩაატარეს, თუმც ეს კვახაძე-სალუქვაძის გარჯას სულაც არ აკნინებს. 11 თებერვალს კი სულ სხვა თამაში, სულ სხვა სიტუაცია და სულ სხვა დაძაბულობა იქნება დუბლინში. ასეთ დროს, შესაძლოა, გამოცდილმა ფეხბურთელმა უფრო სასარგებლოდ ითამაშოს, ვიდრე მასზე უკეთეს ფორმაში მყოფმა ნაკლებად გამოცდილმა თანაგუნდელმა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 11 თებერვლამდე კვახაძე მხოლოდ ერთ ოფიციალურ მატჩს თუ ითამაშებს, სალუქვაძის „რუბინისთვის" კი სეზონი გაზაფხულზე დაიწყება. დუბლინში ისინი, ფაქტობრივად, მოსამზადებელი ეტაპიდან მიდიან. მოკლედ, კუპერისთვის დაცვის ცენტრის აწყობა იოლი არ იქნება.

არგენტინელი კარს, ალბათ, კვლავ **გიორგი ლომაიას** ანდობს. **ზურაბ მამალაძე** პირველად გამოიძახა ეროვნულ ნაკრებში, თუმც ეს დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა, რადგან კუპერმა მას ხომ ერთ-ერთ „სამშაბათობაზეც" უხმო. დაცვის მარჯვენა ფლანგს კუპერი, სავარაუდოდ, ისევ **უჩა ლობჟანიძეს** ჩააბარებს, მარცხნივ კი არჩევანს **გიორგი შაშიაშვილსა** და **დავით კვირკველიას** შორის გააკეთებს. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შაშიაშვილს ცენტრალურ მცველად თამაშის გამოცდილებაც აქვს. კლუბში ის მეტწილად ამ პოზიციაზე ირჯება.

რაც შეეხება შუა ხაზსა და თავდასხმას, აქ პროგნოზის გაკეთება რთულია, რადგან უცნობია, რა განლაგებას აირჩევს კუპერი: 4-3-3-ს თუ 4-4-2-ს? არგენტინელი აქამდე ჯიუტად 4-3-3-ს ენდობოდა და სხვანაირი განლაგება 19 ნოემბერს, რუმინეთთან ამხანაგურ მატჩშიც კი არ გამოსცადა. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კუპერმა ეს სქემა შეცვალოს.

**მურთაზ დაუშვილი, ლევან კობიაშვილი** და **ლუკა რაზმაძე** - ასეთი გახლდათ ნახევარდაცვის სამეული რუმინეთთან. ვფიქრობთ, საირლანდიოდ ამ სამეულიდან სასტარტოში ადგილი განაღდებული მხოლოდ კობიაშვილს აქვს. „შალკეს" ნახევარმცველის შემდეგ კუპერის სიაში შუახაზელთაგან ყველაზე გამოცდილი **ზურაბ მენთეშაშვილია** და, ალბათ, სასტარტოში მოხვედრის სხვაზე მეტი შანსიც ექნება. **ლევან ცქიტიშვილის** მიმართ კი კუპერი უცვლელია - ისევ არ გამოიძახა, არადა, ბურთის დამჭერი და დაცვიდან ბურთის ამომტანი მოთამაშე ჩვენს ნაკრებს, ფაქტობრივად, არ ჰყავს.

თუ ნაკრების თავკაცი კვლავ გარემარბებით ითამაშებს, ფლანგებს, სავარაუდოდ, **ლევან ყენია** და **ალექსანდრე იაშვილი** აითვისებენ, თუმცა **ბექა გოცირიძეც** არ უნდა დავივიწყოთ. ამ პოზიციაზე კუპერის არჩევანი არც თუ მწირია - გარემარბად სამივე გამოსცადა.

კუპერმა აღარ გამოიძახა თბილისის „ლოკომოტივიდან" უნგრულ „დიორში" გადასული **რატი ალექსიძე**, ვისაც ბოლო დროს ველარ გაჰქონდა გოლები „ლოკომოტივისთვის". თუ არგენტინელი 4-3-3-ს აირჩევს, ცენტრფორვარდობისთვის ერთმანეთს **დავით სირაძე** და **ლევან მჭედლიძე** შეეცილებიან. ამ პოზიციაზე **გიორგი მერებაშვილსაც** უთამაშია „დინამოში", როცა გუნდს **ანდრეი ჩერნიშოვი** წვრთნიდა, თუმცა მერებაშვილი უკანდახეულ ფორვარდად უფრო ეფექტური რომაა, თქმა არ უნდა.

თვალსა და გულს აკლია **მალხაზ ასათიანი**, მაგრამ კუპერი აქ არაფერ შუაშია - ამ დროისთვის, ყველაზე ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი მოსკოვის „ლოკომოტივის" დუბლებში ვარჯიშობს...

**დავით თავართქილაძე**



მეტოქე

# ირლანდიას ფოლანი გამოაკლდა

ირლანდია-საქართველოს 11 თებერვლის მატჩი იქაურ მედიაში სულ უფრო აქტუალური ხდება. ირლანდიის ნაკრების თავკაცმა **ჯოვანი ტრაპატონიმ** შემადგენლობა ორი კვირის წინ დაასახელა. მის სიაში 25 ფეხბურთელს შორის ფორვარდი **ქელებ ფოლანიც** იყო, თუმცა ირკვევა, რომ „ჰალ სიტის" თავდამსხმელი საქართველოსთან მატჩში ვერ ითამაშებს - ასე გადაწყდა ექიმებთან კონსულტაციების დროს. ფოლანს მუხლის ტრავმა აქვს.

**დავით ცაბაძე**

ბულგარეთი

# სტოილოვი საქმეს შეუდგა

## ჯერ მხოლოდ 11 ლეგიონერი

როგორც გაცნობეთ, ბულგარეთის ნაკრების ახალი თავკაცი **სტანიმირ სტოილოვი** გახდა. უახლოესი მატჩი მასაც 11 თებერვალს აქვს, როცა ბულგარეთის ეროვნული გუნდი გასვლაზე ამხანაგურად შეხვდება შვეიცარიას. სტოილოვმა ჟენევის მატჩისთვის ჯერ მხოლოდ 11 ლეგიონერის სია გამოაქვეყნა. ეს ჩამონათვალი ასეთია:

**დიმიტარ ბერბატოვი** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), **სტილიან პეტროვი** (ასტონ ვილა, ინგლისი), **სტანისლავ ანგელოვი** (კოტბუსი, გერმანია), **ვალერი დომოვჩიისკი** (ჰერტა, გერმანია), **ველიზარ დიმიტროვი** (მეტალურგი დონეცკი, უკრაინა), **ბლაგოი გეორგიევი** (ტერეკი, რუსეთი), **დიმიტარ ტელკისკი, ელინ ტოპუზაკოვი** (ორივე ჰაპოელ თელ-ავივი, ისრაელი).

სტოილოვმა აღნიშნა, რომ შვეიცარიასთან ამხანაგური მატჩისთვის ნაკრების სრულ შემადგენლობას ორ-სამ დღეში დაასახელებს.

**დავით ცაბაძე**



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ ჭაჩეჩილაძე (1985-დან).**
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა **lelo@palitra.ge**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73; 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

გიორგი სუხიაშვილი



# ახალი გამოწვევა

## ბორჯომიდან ქუთაისში. ადვილი გადაწყვეტილება არ იყო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა...

საიუბილეო ჩემპიონატის განახლებამდე ერთ კვირაზე ნაკლები დარჩა. უმაღლესი ლიგის გუნდების თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ იანვრის პაუზა ნაყოფიერად გამოიყენა: ზოგი თურქეთში ემზადებოდა, ზოგი - ურეკსა და ჩაქვში, ზოგიც - ადგილზე. ერთადერთი, „ბორჯომი" აღმოჩნდა მართლაც რომ კატასტროფულ მდგომარეობაში. ისე კი, რომელ მოსამზადებელ ეტაპზეა ლაპარაკი, როცა 2008 წლის მარტიდან მოყოლებული, გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელები გასამრჯელოს ვერ იღებდნენ?! ამიტომაც მიაშურა წამყვან ფეხბურთელთა უმრავლესობამ სხვადასხვა გუნდს და როცა იანვარში „ბორჯომის" მთავარ მწვრთნელ გიორგი სუხიაშვილს რამდენჯერმე შევეხმიანეთ, ახალგაზრდა სპეციალისტისგან დამაიმედებელი ინფორმაცია ვერა და ვერ მივიღეთ. ერთხელ ისიც გვითხრა - ბოლოს და ბოლოს, ფარმკლუბიდან ჭაბუკებს ავიყვანთ და ჩემპიონატს ისე ჩავამთავრებთო. ასეთ შემთხვევაში, ადვილი მისახვედრია, რა შედეგიც მოჰყვებოდა ამას - „ბორჯომი", ფაქტობრივად, პირველი ლიგისთვის იქნებოდა განწირული...

და აი, მეორე ეტაპის სტარტის წინ „ბორჯომში" კიდევ ერთი და ფრიად მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება მოხდა - მთავარმა მწვრთნელმა გიორგი სუხიაშვილმა თანამდებობა დატოვა! აქვე შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ეს მეოთხე სამწვრთნელო ცვლილებაა, ხვიჩა ქასრაშვილის, კობა ჟორჟიკაშვილისა და თემურ მახარაძის გადადგომის შემდეგ.

ისევ „ბორჯომსა" და ამ გუნდის ან უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელს დავუბრუნდეთ. ახალგაზრდა და პერსპექტიულ სპეციალისტზე აუგს ვერავინ იტყვის, პირიქით - ბორჯომელებს მადლობის მეტი რა ეთქმით დებიუტანტი მწვრთნელისთვის, უხელფასო და უპრემიო გუნდს შესაძლებლობების მაქსიმუმზე რომ ათამაშებდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე „ბორჯომმა" რამდენჯერმე სიურპრიზიც შემოგვთავაზა, როცა „ზესტაფონს", „ოლიმპსა" და „სიონს" ფრედ ეთამაშა. არც ის იყო შემთხვევითი, როცა „ლელომ" ერთხელ „ტურის მწვრთნელად" გიორგი სუხიაშვილი დაასახელა...

...ახალგაზრდა სპეციალისტი უკვე ახალი გამოწვევის წინაშე დგას. სუხიაშვილი ქუთაისში დაბრუნდა - მშობლიურ ქალაქსა და მშობლიურ „ტორპედოში", იქ, სადაც ფეხბურთელის კარიერა დაიწყო.

დანარჩენი კი ჯობს, თავად გიორგი სუხიაშვილისგან შევიტყოთ, ვისაც გუშინ დავუკავშირდით...

**- „ბორჯომიდან" წასვლის გადაწყვეტილება საბოლოოა?**

- სამწუხაროდ, ასეა. იმასაც ვიტყვი, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ადვილი არ იყო. თუმცა, მეორე მხრივ, რა უნდა გამეკეთებინა - მეორე ეტაპის დაწყებამდე კვირაზე ნაკლები რჩებოდა, გუნდს კი ერთი ვარჯიშიც არ ჰქონდა ჩატარებული.

**- ისე, საინტერესოა - „ბორჯომის" ფეხბურთელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სხვადასხვა გუნდს მიაშურა და ვარჯიში ვისთვის უნდა ჩაგეტარებინათ?..**

- არ ვიცი, ვერ გეტყვით... ერთადერთი, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ბოლო დღემდე სრული გაურკვევლობა იყო. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ფაქტობრივად, მთელი წელიწადი უხელფასოდ ვმუშაობდი. რა მექნა? მეტი ველარ გავძელი...

**- „ბორჯომის" ხელმძღვანელობა თქვენი წასვლის გამო ნაწყენი ხომ არ დარჩა?**

- წესით, ნაწყენი არ უნდა იყვნენ. მთხოვეს კიდეც - არ წახვიდეო. არ დავმალავ, მეც არ მსურდა შუა გზაზე გუნდის დატოვება და ამ მხრივ მცირე დისკომფორტსაც განვიცდი. თუმცა ვისთან დავრჩენილიყავი? „ბორჯომში" ხომ, ფაქტობრივად, ფეხბურთელები აღარ დარჩნენ.

**- მთავარი მწვრთნელის რანგში სადებიუტო სეზონს როგორ შეაფასებდით?**

- უპირველეს ყოვლისა, უდიდესი გამოცდილება მივიღე. სანამ დამოუკიდებლად დავიწყებდი მუშაობას, მანამდე, წლების განმავლობაში, ვლადიმერ ხაჩიძეს ვეხმარებოდი და ამ სპეციალისტისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. მეოცე ჩემპიონატში „ბორჯომის" ასპარეზობას რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ თავიდან ურიგოდ არ დაგვიწყია, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ნოემბერ-დეკემბერში საწვრთნელი პროცესი, ფაქტობრივად, ჩაშლილი იყო და ეს ყველაფერი შედეგზეც აისახა.

**- ახალ სამსახურზეც გვითხარით...**

- „ტორპედო 2" ჩავიბარე. ეს გუნდი მეორე ლიგაში ასპარეზობს. უკვე შევუდექი სელექციას, 1990-91 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს ვარჩევ. ჩემს ახალ გუნდს კონკრეტული მიზანი აქვს - ქუთაისის „ტორპედოს" ძირითად გუნდს პერსპექტიული ბიჭების სახით სრულფასოვანი რეზერვი მოვუმზადოთ.

**- ბოლო დროს არც ქუთაისის „ტორპედოს" ულხინდა. ესე იგი, საქმე უკეთესობისკენ წავიდა?**

- კლუბის პრეზიდენტ ვახტანგ კაკუასთან შეხვედრის მერე დავრწმუნდი, რომ ქუთაისში დიდი საქმე ჩაიფიქრეს. ლაპარაკია იმაზე, რომ „ტორპედომ" ძველი დიდება და ავტორიტეტი დაიბრუნოს. ამ სეზონში, ალბათ, ეს ვერ მოხერხდება, მაგრამ მომდევნოში უმთავრესი მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნება იქნება. პოდა, როგორც აქაურ კაცს, დიდი სურვილი მაქვს, ამ საქმეში ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო.

**- გეთანხმებით, რომ ქუთაისის „ტორპედოს" აღორძინება მართლაც დიდი საქმეა. თუმცა ახალგაზრდა და ამბიციური მწვრთნელისთვის უმაღლესიდან მეორე ლიგაში გადასვლა უკან გადადგმული ნაბიჯი არ იქნება?**

- წელანაც გითხარით, რომ „ბორჯომიდან" წამოსვლაზე ბევრი ვიფიქრე. თუმცა სხვა არჩევანი არც მქონდა. ოჯახს რჩენა ხომ უნდა? მეუღლე და სამი შვილი მყავს, ამდენი ხანი ისედაც უხელფასოდ ვმუშაობდი. თანაც, ახლა უკვე მშობლიურ ქალაქში ვარ და ახალი სამუშაოც ფრიად საინტერესოდ მეჩვენება. უკან გადადგმულ ნაბიჯს რაც შეეხება... რა გითხრათ, ალბათ, ასეც არის, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და იმითიც ბედნიერი ვიქნები, მშობლიურ ქალაქსა და საერთოდ, ქართულ ფეხბურთს ნიჭიერი თაობა რომ აღვუზარდო...

გია ტუხაშვილი

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | | მგელაძე (გაგრა) | 8 იანვრიდან - თბილისში<br>18 იანვრიდან - ანთალიაში<br>**პანდური (რუმინეთი) 2:1**<br>**ტობოლი (ყაზახეთი) 0:3**<br>**სპორტული (რუმინეთი) 1:0**<br>**ლუბლიანა (სლოვენია) 2:2** |
| დინამო<br>რაინერ ცობელი | **ოდიკაძე (დიორი, უნგრეთი),**<br>**შ. გრიგალაშვილი (ზესტაფონი),**<br>ელიავა (იჯარა დაუმთავრდა),<br>**ინწკირველი (ქარვანი)** | **კოშკაძე (სიონი),**<br>**ლომია (მგლები),**<br>**ტომიჩი (ჩერნოგორია),**<br>ქავთარაძე (ბორჯომი, იჯარა დაუმთავრდა), ჩარასი (არგენტინა) | 10 იანვრიდან - თბილისში<br>**სპარტაკი 1:0**<br>23 იანვრიდან - ანთალიაში<br>**ბათუმი 4:0**<br>**ამკარი (რუსეთი) 0:0**<br>**მეტალურგსი (ლატვია) 3:1** |
| ოლიმპი<br>ვარლამ კილასონია | მერლანი (?), კ. ალადაშვილი (სიონი), ფიფია (?) | რეხვიაშვილი (მგლები, იჯარა დაუმთავრდა), ხუბუა (სიონი, იჯარა დაუმთავრდა), მიქაბერიძე (მგლები, იჯარა დაუმთავრდა), მ. ალავიძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), ვ. უგრეხელიძე (სიონი), კაკულია (ნ/დინამო) | 10 იანვრიდან - რუსთავში<br>**ნ/დინამო 6:0**<br>**დილა 1:0**<br>**სიმურგი (აზერბაიჯანი) 0:0**<br>**სიმურგი (აზერბაიჯანი) 2:1** |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | რ. ონიანი (მგლები), ლომაშვილი (?), ბოიომო (?), **ზ. გოცირიძე (დნიპრო, უკრაინა)**<br>ჭანტურია (სიონი) | **ლ. მელქაძე (უგუნდოდ),**<br>**მამალაძე (მგლები),**<br>**კაჭკაჭიშვილი (დინამო 2),**<br>**მ. კაკალაძე (სამტრედია),**<br>ნინამძღვრიშვილი, ელბაქიძე, ჩიმაკაძე<br>(სამივე - ამერი),<br>ტეტუნაშვილი (გაგრა) | 5 იანვრიდან - ზესტაფონში<br>18 იანვრიდან - თურქეთში<br>**ვორსკლა (უკრაინა) 2:1**<br>**ზარია (უკრაინა ) 0:5**<br>**ყუბანი (რუსეთი) 0:0**<br>**კრივბასი (უკრაინა) 3:2**<br>**არსენალი (უკრაინა) 1:3**<br>**ლოკომოტივი (ყაზახეთი) 0:1** |
| სიონი<br>ოთარ<br>კორღალიძე | ს. იაშვილი (იჯარა დაუმთავრდა, ანჟი, რუსეთი), **კოშკაძე (დინამო)**, ჩივაძე, ქურასბედიანი, ოქროპირიძე, შ. ჯიქია (ყველა სპარტაკი), ბ. ნოზაძე (მგლები), ქვაჩახია (?), ხუბუა (იჯარა დაუმთავრდა, ოლიმპი) | ი. ვაშაკიძე (მარტვილი), ხიდეშელი, შალამბერიძე, (ორივე სპარტაკი), ჯ. მუჯირი (ირანი), კ. ალადაშვილი (ოლიმპი), ორბელაძე (დაჩია, მოლდოვა), რუსეიშვილი (ზოოვეტი), ბობოხიძე (უგუნდო), ჭანტურია (ზესტაფონი) | 5 იანვრიდან - თბილისში<br>**IBSU 2:1**<br>15 იანვრიდან - თბილისში<br>**მგლები 0:1**<br>**ბათუმი 0:0**<br>**სპარტაკი 2:1**<br>**კოლხეთი 0:0** |
| ლოკომოტივი<br>გიორგი კიკნაძე.<br>ზაზა ზამთარაძე | **ცქიტიშვილი (ვისბადენი, გერმანია), ალექსიძე (დიორ ეტო), დარასელია (კარიერა დაასრულა)**, ბათიაშვილი, ზ.ჩხეტიანი (ორივე მესხეთი), ფარულავა (?), კახელიშვილი (?) სარალიძე (?) | ქუცურუა (მგლები, იჯარა დაუმთავრდა), ი. კიკნაძე (ბორჯომი) | 11 იანვრიდან - თბილისში |
| მგლები<br>ბესიკ შეროზია | **ლომია (დინამო), მამალაძე (ზესტაფონი)**, ქუცურუა (ლოკომოტივი, იჯარა დაუმთავრდა), დარსანია (?), გრიგოროვიჩი (?), რეხვიაშვილი, მიქაბერიძე (ოლიმპი, იჯარა დაუსრულდათ), ომელიანოვი (?) | **რ. ონიანი (ზესტაფონი), ბ. ნოზაძე (სიონი), სომხიშვილი (მესხეთი), რაქვიაშვილი (მესხეთი)**, ბაკარაძე (კოლხეთი), დ. ქირია (ბუხარა, უზბეკეთი), მალიჩავა (უგუნდოდ), ინჯგია (უგუნდოდ), გ. ჭედია (ტორპედო, ბელარუსი) | 8 იანვრიდან - ზუგდიდში<br>15 იანვრიდან - ჩაქვში<br>**სიონი 1:0**<br>**სამტრედია 1:0** |
| მესხეთი<br>კობა თედიაშვილი | **გაგუა (კარიერა დაასრულა)**, გ. კვახაძე (სპარტაკი), **სომხიშვილი (მგლები), გრიგალაშვილი (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (მგლები)**, ლეკიშვილი (სიონი), ლ. მერებაშვილი (?), ახალაია (?) | ბათიაშვილი, ზ. ჩხეტიანი (ორივე ლოკომოტივი), ნ. ვაშაკიძე, **ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი** (სამივე ბორჯომი) | 28 იანვრიდან - ბორჯომში<br>ბორჯომი 2:2 |
| გაგრა<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **მგელაძე (ვიტ ჯორჯია),**<br>მეტრეველი (სპარტაკი),<br>ტეტუნაშვილი (ზესტაფონი) | ბ. ცხადაძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), კუპრეიშვილი (სპარტაკი), კოზლენკო (უკრაინა) | 9 იანვრიდან - ზესტაფონში<br>15 იანვრიდან - ანთალიაში<br>**მეტალურგსი (ლატვია) 0:0**<br>**აპოლონია (ალბანეთი) 5:2**<br>**ზაგრები (ხორვატია) 0:3**<br>**კაისარი (ყაზახეთი) 2:1** |
| ბორჯომი | **სუხიაშვილი (მთავარი მწვრთნელი, ტორპედო 2 ქუთაისი)** ქარქუზაშვილი, ავალიანი (ორივე სპარტაკი), შეყრილაძე (?), ქავთარაძე (დინამო, იჯარა დაუმთავრდა), კიკნაძე (?), **ლაცაბიძე (კარიერა დაასრულა)**, ლ. ვაშაკიძე, **ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი** (სამივე მესხეთი) | | მესხეთი 2:2 |
| სპარტაკი<br>სერგო გაბელაია | ხიდეშელი, შალამბერიძე (ორივე სიონი), მ. ლონლაძე (?), თექთურმანიძე (?), თარხნიშვილი (?), კუპრეიშვილი (გაგრა), ქეილითაია (?) | ჩივაძე, შ. ჯიქია, ოქროპირიძე, ქურასბედიანი (ოთხივე სიონი), მეტრეველი (გაგრა), გ. თურმანიძე (სამტრედია), ქარქუზაშვილი, ავალიანი (ორივე ბორჯომი), გ. კვახაძე (მესხეთი), მგალობლიშვილი (ჩიხურა), კოდალაევი (მერანი), შერაზადიშვილი, ჯანელიძე, ტლაშაძე | **დინამო-სპარტაკი 1:0**<br>20 იანვრიდან - ქობულეთში<br>**სამტრედია 4:2**<br>**სიონი 1:2**<br>**კოლხეთი 2:0**<br>**ბათუმი 3:1**<br>**სამტრედია 1:1** |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

მესხეთი

## უთავო გუნდს ეთამაშა

### ახალციხელებს ზუსტად ხვალ ეტყვიან

ახალციხის „მესხეთმა", რომელსაც ახალი პრეზიდენტი და ახალი პერსპექტივა გამოუჩნდა, მოსამზადებელი ეტაპი ერთი კვირის წინ დაიწყო, გასულ უქმეებზე კი პირველი საკონტროლო მატჩიც ითამაშა - 2:2 „ბორჯომთან". ახალციხელთა შემადგენლობა ასეთი იყო: **ძამუნაშვილი - მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ქოჩორაშვილი, ვ. ხორგუაშვილი - პ. ხორგუაშვილი, თედიაშვილი, ვაშაკიძე, ლეკიშვილი - ქებაძე, სამადაშვილი;** შეცვლაზე შევიდნენ: **თელიაშვილი, ყულიჯანიშვილი, ინასარიძე, ბეჟანიძე, სუდაძე.**

პირველი გოლი „ბორჯომმა" გაიტანა, გამთანაბრებელი - **დიმიტრი ლეკიშვილმა**, მერე ისევ ბორჯომელები დაწინაურდნენ, „მესხეთიდან" კი ანგარიში მეორედ **გენო ბეჟანიძემ** გაათანაბრა.

რაც შეეხება „ბორჯომს", გუნდს მთავარი მწვრთნელი ჯერაც არ ჰყავს. „მესხეთთან" ბორჯომელებს **ჯუნგლი ქართველიშვილმა** უმწვრთნელა, თუმც ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „ბორჯომის" თავკაცი ის იქნება.

„მესხეთი" თბილისის „ლოკომოტივიდან" არა ერთი ფეხბურთელის დამატებას რომ აპირებს, ადრეც გაუწყეთ. ამ დროისთვის, უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ „მესხეთში" ითამაშებენ მეკარე **ზურაბ ბათიაშვილი** და ნახევარმცველი **ზვიად ჩხეტიანი**, თუმცა... „მესხეთის" მთავარმა მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმა** გვითხრა - ზუსტად 3 თებერვალს გაირკვევა, გუნდს ვინ და როგორ დააფინანსებსო. ამასობაში ჩემპიონატის განახლებაც (7 თებერვალი) მოახლოვდა, „მესხეთი" კი 4 დღით ადრე გაარკვევს, რა ბედი ელის...

**დავით თავართქილაძე**

ბორჯომი. ინტერვიუ ვახტანგ მაისურაძესთან

## აუცილებლად ვითამაშებთ

### ჟორჟიკაშვილი ყოყმანობს, მაგრამ იმედია, ჩამოვა

„ბორჯომი" ძველებურად მძიმე მდგომარეობაშია. ეს გუნდი ითამაშებს საქართველოს ჩემპიონატის დარჩენილ ნაწილს, თუმცა „ბორჯომი" მაინც ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. „ლელოსთვის" ცნობილი გახდა, რომ კლუბის ახალი ხელმძღვანელი ვახტანგ მაისურაძე რაიონის მესვეურებთან აპირებდა შეხვედრას. მასთან დაკავშირებაც ამიტომ გადავწყვიტეთ...

**- ბატონო ვახტანგ, როგორც შევიტყვეთ, „ბორჯომის" მომავლის გასარკვევად რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად კრება უნდა გამართულიყო...**

- კრება არ ყოფილა.

**- ანუ, გუნდი ისევ ჰაერშია გამოკიდებული?**

- არა, ხელმძღვანელობას ისე შევხვდი, თუმცა ამას არანაირი შედეგი არ გამოუღია. სამწუხაროდ, ჩვენი რაიონი ღარიბია, მხოლოდ „ბორჯომის" ქარხნებიდან ივსება ბიუჯეტი, იმათ კი ფეხბურთისთვის ჯერ არ სცხელათ. რა უნდა მოგვცეს რაიონის ხელმძღვანელობამ, რაც არ აქვს? თუმცა შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ „ბორჯომი" ჩემპიონატს არ გამოეთიშება.

**- უფულოდ ითამაშებთ?!**

- ჯერჯერობით, მცირედით დაგვეხმარება კერძო სექტორი. ღარიბულ ყოფას უნდა დავჯერდეთ, თამაშიდან თამაშამდე შეკრებებსა და ვარჯიშებს...

**- ამჟამად, ვითარება ზოგადადაც ძალზე რთულია და პროფლიგა, ალბათ, გაითვალისწინებს ამას...**

- ჩვენ საწევრო გადასახადი უკვე გადავიხადეთ. არ მგონია, მეორე წრეში რომ ჩვენი მონაწილეობა პრობლემა გახდეს.

**- გიორგი სუხიაშვილის წასვლის შემდეგ ვინ იქნება „ბორჯომის" მთავარი მწვრთნელი?**

- ეს ორ-სამ დღეში გაირკვევა.

**- შესთავაზეთ ვინმეს?**

- კობა ჟორჟიკაშვილს, მაგრამ ჯერ ყოყმანობს. იმედია, ჩამოვა და იმუშავებს.

**- საკადრო სიახლეებზეც გკითხავთ...**

- ძალიან გახარებული ვარ, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი ირაკლი კიკნაძე დაგვიბრუნდა.

**- ის ხომ „ლოკომოტივთან" აფორმებდა კონტრაქტს?**

- კი, მაგრამ საბოლოოდ მაინც „ბორჯომში" თამაში გადაწყვიტა.

**- გარდა კიკნაძისა, კიდევ ვინ ითამაშებს „ბორჯომში"?**

- სხვათა შორის, პირველი წრის შემადგენლობიდან საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი დარჩა. სამწუხაროა, რომ „მესხეთიდან" იჯარით აყვანილი ვაშაკიძე და ბეჟანიძე ახალციხეში დაუბრუნდნენ. ჩვენ სამი-ოთხი ფეხბურთელის დამატება გვსურს და ვნახოთ, რა გამოვა ამ ჩანაფიქრიდან. შაბათს „მესხეთს" შევხვდით და 2:2 ვითამაშეთ. ჩვენგან გოლი ნიკა ლომიძემ და ერთ-ერთმა ფეხბურთელმა გაიტანა, რომელიც ჩვენთან ახლა სინჯებზეა. 3 თებერვალს კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ და ისევ „მესხეთთან". აბა, ბორჯომიდან ვერსად გავდივართ და სხვა გუნდს ვერ შევხვდებით.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

## თურქეთი ორი მარცხით დასრულდა

„ზესტაფონმა" გუშინ თურქული შეკრება ორი საკონტროლო მატჩით დაასრულა. გია **გეგუჩაძის** გუნდი ჯერ გაეჯიბრა კიევის „არსენალს", რომელსაც საბჭოთა და უკრაინული ფეხბურთის ლეგენდა **ალექსანდრ ზავაროვი** წვრთნის. „ზესტაფონის" ვებგვერდის ცნობით, მატჩი ფეროელთა უპირატესობით დაიწყო, გოლის გატანის შესაძლებლობა **ლევან მელქაძემ** გაუშვა ხელიდან - ბურთი ძელს გაარტყა. ზესტაფონელთა უპირატესობას გოლი მაინც მოჰყვა - **ნიკოლოზ გელაშვილმა** პენალტი მოიპოვა და თავადვე უნაკლოდ შეასრულა.

იმერელთა იერიშები გრძელდებოდა. **ალექსი ბენაშვილის** დარტყმული ხარიხამ აისხლიტა, გოლი კი „ზესტაფონმა" აქეთ გაუშვა. უკრაინელებმა პირველივე სახიფათო მომენტი გამოიყენეს - ანგარიში **ევგენი ევსეევმა** გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ თანაბარი თამაში წავიდა. გელაშვილს მეორე გოლის გატანაც მართებდა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა. „არსენალისგან" კი **რომან კორშიკოვმა** და **პოლ ჟილმა** იხეირეს - 1:3.

„ზესტაფონმა" კიეველებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **რ. კვასხვაძე, ლობჟანიძე, მაკარიანი, დაუშვილი, ხიდეშელი (18. კვესიეშვილი), ძარია (62. კაკალაძე), ბენაშვილი, გრიგალაშვილი, ნ. კვასხვაძე (67. გ. ჭელიძე), მელქაძე (67. ჩასემი), გელაშვილი.**

ოთხი საათის შემდეგ „ზესტაფონი" ასტანის „ლოკომოტივს" შეხვდა და ეს თამაშიც წააგო - 0:1. გეგუჩაძემ ყაზახებთან ასეთი შემადგენლობა დააყენა: **მამალაძე, კაჭკაჭიშვილი, თოდუა (45. კვესიეშვილი), ა. ტეტუნაშვილი, გორგიაშვილი, გ. ჭელიძე (75. ლაბაძე), სუხიაშვილი, ჩასემი, კაკალაძე (62. სტეფანიშვილი), იონანიძე (75. ჭანკოტაძე), ჩიმაკაძე (65. მელქაძე).**

მატჩს ქართველთა მსაჯთა ბრიგადა მოემსახურა, არბიტრ **ოთარ ხეცაძის** თავკაცობით. „ზესტაფონის" პრესსამსახურის ცნობით, თამაში თანაბარი იყო. ფეროელებმა გოლი 81-ე წუთზე გაუშვეს...

**დავით თავართქილაძე**

ტრანსფერი



ლევან ცქიტიშვილი

## ცქიტიშვილი ვისბადენში ჩაირიცხა

### საქართველოს ნაკრების ყოფილ ნახევარმცველზე დიდ იმედს ამყარებენ

**რატი ალექსიძისა** (უნგრულ „დიორ ეტოში" გადავიდა) და **ვიტალი დარასელიას** (ტრავმების გამო კარიერა დაასრულა) შემდეგ თბილისის „ლოკომოტივი" კიდევ ერთმა ლიდერმა დატოვა - გუნდის კაპიტანმა **ლევან ცქიტიშვილმა** გერმანიას მიაშურა და მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე ვეენის „ვისბადენთან" კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების ვადა 2010 წლის 30 ივნისამდეა. გუშინ ეს ინფორმაცია „ვისბადენის" ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა:

*„ვისბადენმა" საქართველოს ნაკრების 32 წლის ნახევარმცველ ლევან ცქიტიშვილთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. მიმდინარე სეზონში ეს ფეხბურთელი თბილისის „ლოკომოტივში" ასპარეზობდა. გამოცდილ ნახევარმცველს ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილებაც აქვს - „ფრაიბურგისა" და „ვოლფსბურგის" რიგებში 63 მატჩი ჩაატარა, პლუს ამას, 53-ჯერ დაიცვა საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსება. ცქიტიშვილის კონტრაქტის ვადა 2010 წლის 30 ივნისს იწურება. მარსელ ციმენისა და ფაბიან შონის შემდეგ, „ვისბადენისთვის" ის ამ ზამთარს შეძენილი მესამე ფეხბურთელია. ცქიტიშვილი გამოცდილი, მაღალი კლასის ნახევარმცველია, მისი გამორჩეული თვისება ბურთის კონტროლი და თამაშის წარმართვაა. გვჯერა, ქართველი ნახევარმცველი მოკლე ხანში გახდება გუნდის საკვანძო ფიგურა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებაშიც დაგვეხმარება".*

ამ მომენტისთვის „ვისბადენი" მეორე ბუნდესლიგაში 17 ქულით მე-16 ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**

U 17

## შეყილაძემ 18 ფეხბურთელი შეარჩია

ელიტრაუნდში გასული საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები სლოვენიასა და ხორვატიასთან თებერვლის ამხანაგური მატჩებისთვის ემზადება. ჭაბუკთა თავკაცმა **გელა შეყილაძემ** თავდაპირველი ოცეულიდან გამოარჩია 16 ფეხბურთელი, რომელთაც 2 ლეგიონერიც („ბენფიკის" მცველი **ბაქარ მირცხულავა** და „ბარსელონის" ფორვარდი **გიორგი ჭანტურია**) დაუმატა და ასე დააკომპლექტა შემადგენლობა, რომელსაც ბალკანეთზე იახლებს:

მეკარეები - **გიორგი აზნიაშვილი** (ნორჩი დინამოელი), **კახა მეშველიანი** (ტორპედო);

მცველები - **ბაქარ მირცხულავა** (ბენფიკა, პორტუგალია), **ნიკა აფციაური, ნიკა კვეკვესკირი** (ორივე ბაია), **მამუკა კობახიძე** (საბურთალო), **ცოტნე ხარაბაძე** (ტორპედო 2008), **დავით კუბლაშვილი** (ოლიმპიკი);

ნახევარმცველები - **ლევან ელიზბარაშვილი** (ნორჩი დინამოელი), **ნიკა ძალამიძე** (ბაია), **გიორგი ჩელებაძე** (ბათუმი), **აკაკი სირბილაძე** (დილა), **გიორგი კუხიანიძე** (ტორპედო 2008), **მამუკა ლორია** (კოლხეთი ფ.);

თავდამსხმელები - **გიორგი ჭანტურია** (ბარსელონა, ესპანეთი), **ლაშა ჩაფიძე** (ნორჩი დინამოელი), **ბესიკ დეკანოიძე** (ჩიხურა), **დავით ხოჭოლავა** (საბურთალო).

17-წლამდელთა დამრიგებელს „ემპოლის" ფორვარდ **ირაკლი შეყილაძისა** და მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველ **ჯანიკო ანანიძის** მიწვევაც სურდა. თუმცა პირველი - ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა მწყობრში, რაც შეეხება ანანიძეს, რუსეთის დატოვების შემთხვევაში მას უკან დაბრუნების პრობლემა შეექმნებოდა, ამიტომ, ამ ეტაპზე შეყილაძემ მათი გამოძახებისგან თავი შეიკავა.

*„ელიტრაუნდისთვის მოსამზადებლად სლოვენიასა და ხორვატიასთან მატჩები ძალიან გამოგვადგება. „ბასაში" შეკრებილი ოცეულიდან 16 ფეხბურთელი შევარჩიე, დანარჩენებს მომზადების ინდივიდუალური პროგრამები დავურიგე. ისინი ცალკე გააგრძელებენ მზადებას. მარტში აზერბაიჯანთან ორი გასვლითი ამხანაგური შეხვედრა გვაქვს, სადაც ამ და სხვა მოთამაშეებს გამოვცდით. ელიტრაუნდში საასპარეზო კონტინგენტს კი მარტის დასაწყისისთვის შევარჩევ",* - გვითხრა შეყილაძემ.

დღეს დილით 17-წლამდელები თბილისიდან გაემგზავრნენ. ქართული დელეგაცია მიუნხენის გავლით იტალიის ქალაქ ტრიესტეში ჩაფრინდება, საიდანაც სლოვენიის ქალაქ ანკარანში ავტობუსით ჩავა და სასტუმრო „ადრია ონვენტში" დაბინავდება. 3 და 5 თებერვალს ჩვენები სლოვენიელ თანატოლებს გაეჯიბრებიან, 6 თებერვალს კი სლოვენიიდან ხორვატიაში, ასევე საკურორტო ქალაქ უმაგში გადაბარგდებიან და სასტუმრო „სოლ გარდენ ისტრაში" დაიდებენ ბინას. 8 და 10 თებერვალს შეყილაძის კრებული ხორვატიის 17-წლამდელებთან მოსინჯავს ძალებს. ჩვენები სამშობლოში 11 თებერვალს ავიარეისით დაბრუნდებიან.

**დავით ცაბაძე**

U21

## ცხადაძე დანიისკენ

### წილისყრის წინ. საქართველო ბოლო კალათში

4 თებერვალს დანიის ქალაქ ორჰუსში 21-წლამდელთა ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **კახა ცხადაძე**, ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიასთან** ერთად, დანიას გაემგზავრება. როგორც ბოკერიამ გვითხრა, წილისყრის შემდეგ იქვე დადგინდება ჯგუფის კალენდარიც. არც ისაა გამორიცხული, რომ ქართული დელეგაცია ამხანაგური მატჩების ორგანიზებისთვის რამდენიმე ქვეყნის ფედერაციასაც მოელაპარაკოს.

წილისყრას წინ ტრადიციულად განთესვა უძღვოდა. ევროპის 52 ქვეყანა რეიტინგის მიხედვით 5 კალათში გადანაწილდა. ბოლო, მეხუთე კალათის გარდა, დანარჩენებში 10-10 გუნდია, უკანასკნელში კი - 12. სამწუხაროდ, საქართველო ბოლო კალათშია. განთესვის შემდეგ ასეთი სურათი მივიღეთ:

I კალათი - **ესპანეთი, ინგლისი, იტალია, გერმანია, სერბეთი, საფრანგეთი, ავსტრია, თურქეთი, ისრაელი, რუსეთი;**

II კალათი - **ბელარუსი, ჩეხეთი, პორტუგალია, შვედეთი, ფინეთი, უელსი, შვეიცარია, უკრაინა, რუმინეთი, ხორვატია;**

III კალათი - **ჰოლანდია, ბელგია, შოტლანდია, უნგრეთი, საბერძნეთი, ნორვეგია, მოლდოვა, სომხეთი, ბულგარეთი, ჩრ. ირლანდია;**

IV კალათი - **პოლონეთი, ლატვია, სლოვაკეთი, ალბანეთი, მაკედონია, ისლანდია, სლოვენია, ირლანდია, ბოსნია, ჩერნოგორია;**

V კალათი - **კვიპროსი, საქართველო, ლიტვა, ყაზახეთი, ანდორა, ფარერები, ესტონეთი, მალტა, სან მარინო, აზერბაიჯანი, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი.**

შეგახსენებთ, რომ 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს დანია უმასპინძლებს. შესაბამისად, ეს ნაკრები უკვე ფინალურ რაუნდშია. რაც შეეხება წილისყრის წესს. 52 ნაკრები 10 ჯგუფში გადანაწილდება. 8 ჯგუფი 5-გუნდიანი იქნება, ორი კი 6-გუნდიანი.

გათამაშების ფორმატი ასეთია. საკვალიფიკაციო ეტაპი, ოფიციალურად, 28-29 მარტს დაიწყება, თუმც ფედერაციებს შეუძლიათ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესარჩევი ციკლი რამდენიმე თვით გვიან დაიწყონ. ყველა შემთხვევაში, მატჩები 2010 წლის 7 სექტემბერს უნდა დასრულდეს. ჯგუფური რაუნდის დასრულების შემდეგ 10-პირველადგილოსანი და საუკეთესო შედეგის მქონე, მეორე ადგილზე გასული 4 ნაკრები პლეიოფში დაწყვილდებიან. ორი მატჩის ჯამში გამარჯვებულ 7 ნაკრებს, მერვე გუნდად მასპინძელი დანია დაემატება და ფინალური ეტაპიც მათ შორის შედგება.

**დავით ცაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

## გრიგალავას მოსკვა ელის



19 წლის **გია გრიგალავა** უახლოეს კვირაში დატოვებს როსტოვის სკა-ს რიგებს და პრემიერლიგის „მოსკვას" შეუერთდება, ასეთ ინფორმაციას ავრცელებს „სოვეტსკი სპორტი". შეგახსენებთ, რომ პოლანდიურ „აიაქსში" სინჯებზე ნამყოფი მცველი როსტოვის სკა-ს დაუბრუნდა, რომელთანაც კონტრაქტით კიდევ ორი სეზონი აკავშირებს.

„ბაქოს" ვიცე-პრეზიდენტმა **ზეინალ მამედოვმა** „ექსტრა ტაიმს" განუცხადა, რომ **გიორგი ადამია** ჯერჯერობით „ნეფთჩის" ფეხბურთელად რჩება: *„ვერ შევთანხმდით „ნეფთჩის" ხელმძღვანელობასთან, თუმცა ვიმედოვნებ, რომ საერთო ენას მაინც გამოვნახავთ. „ნეფთჩიდან" გაშვებულმა ყველა ფეხბურთელმა შეძლო სხვა კლუბში გადასვლა და ადამია რატომ უნდა იყოს გამონაკლისი".* ამასობაში „ბაქომ" 1:2 წააგო ავსტრიულ „კაპფენბერგთან". ამ შეხვედრაში ითამაშეს **ამირან მუჯირმა** და **გიორგი ადამიამ**, **გიორგი დემეტრაძე** კი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგეთ, ისევ არსად ჩანს.

„ანჟის" ოფიციალური საიტის მტკიცებით, ქართულმა სამეულმა გუნდთან კონტრაქტები თურქულ შეკრებაზე პარასკევს გააფორმა. საიტი არ უთითებს თუ რა ვადიანია **სანდრო იაშვილის, კახა ალადაშვილის** და **ოთარ მარცვალაძის** კონტრაქტები.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — მიხეილ ხუციშვილი

# ვოივოდინამ ნაკრების იმედი დამიბრუნა

## ხუციშვილს ოლიმპიკის გახსენებაც არ სურს

საქართველოს წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მიხეილ ხუციშვილი სერბეთში სოლიდურ კლუბში გადავიდა - ნოვი სადის „ვოივოდინაში". შარშან აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონ ბაქოს „ოლიმპიკში" ჩარიცხული ფეხბურთელი შეცდომად მიიჩნევს აზერბაიჯანში ნასვლასაც კი. სერბეთში გადასვლამ კი აშკარად გაახარა და როგორც ჩანს, მეორე სუნთქვა გაუხსნა. ხუციშვილმა ორ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რადგან ბაქოს „ოლიმპიკში" მთელი წელიწადი ისე იასპარეზა, ერთი გოლიც არ გაუტანია. რა ხდებოდა მის თავს აზერბაიჯანში, როგორ აღმოჩნდა დიდი ტრადიციების საფეხბურთო ქვეყნის ჩემპიონატის მეორეადგილოსან კლუბში? ამ და სხვა თემებზე თავად მიხეილ ხუციშვილი გვესაუბრა.

**- მიხეილ, მოსალოცი საქმეა - ბოლო წლებში საფეხბურთო ქვეყნის ძლიერ გუნდში ბევრი ქართველი არ მოხვედრილა, სერბეთში კი, როგორც ვიცი, პირველი ქართველი ფეხბურთელი ხარ.**

- ეს მეც ძალიან მახარებს. სერბეთი მთელი მსოფლიოსთვის ბრაზილიის მსგავსად ფეხბურთელების მიმწოდებელია და ასეთი ქვეყნის ჩემპიონატის მეორეადგილოსან გუნდში რომ აგიყვანენ, რა თქმა უნდა, ძალზე სასიხარულოა. თანაც ამიყვანეს აზერბაიჯანიდან.

**- „ვოივოდინაში" როგორ აღმოჩნდი?**

- უეფას თასზე „ოლიმპიკი" „ვოივოდინას" შეხვდა, ალბათ იქიდან დაინტერესდნენ. ეტყობა, სერბებს მოვეწონე... ცუდად მართლა არ მითამაშია. მოლაპარაკება დაიწყეს, გადასვლა შემომთავაზეს, რამაც ძალიან გამახარა. აზერბაიჯანში დიდი ფული აქვთ, მაგრამ სერბეთში კარგ ფეხბურთს თამაშობენ, ისეთს, რაზეც მე დიდი ხანია ვოცნებობდი.

**- რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

- ორწლიანი კონტრაქტი უნდა გავაფორმო. აზერბაიჯანელებს ევროპული კლუბის გაგონებაზე მადა გაეხსნათ, იმდენს ითხოვდნენ, მეცინებოდა. თუმცა კლუბთან ყველაფერი გარკვეული მაქვს და აქ დავრჩები.

**- პირობებით კმაყოფილი ხარ?**

- დიახ, საკმაოდ. სერბეთში დიდი ფული არ არის, მაგრამ თავად „ვოივოდინა" საკმაოდ მდიდარი კლუბია, რაც მთავარია, ევროპული დონის. აქ რომ გადმოვედი, კმაყოფილი ვარ.

**- აზერბაიჯანში ერთი გოლიც ვერ გაიტანე. ეტყობა, იქაურობას ვერ შეეწყვე.**

- საერთოდ არ მინდა აზერბაიჯანსა და „ოლიმპიკზე" ლაპარაკი. ვფიქრობ, შეცდომა იყო აზერბაიჯანში ჩემი წასვლა.

**- ყველაფერი ცუდად გახსენდება?**

- ამასაც ვერ ვიტყვი. ერთადერთი კარგი რაც იყო, საკმაოდ ბევრი მეგობარი შევიძინე. ამ კლუბში თამაშის წყალობით „ვოივოდინაში" აღმოვჩნდი. კარგი ქვეყანაა, ქართველების მიმართაც ძალიან კარგი დამოკიდებულება გააჩნიათ.

**- სერბეთის ჩემპიონატის მეორეადგილოსან გუნდში თამაშით ნაკრებში მოხვედრის სულ სხვა იმედი გაგიჩნდება. დაინტერესდება კუპერი?**

- დიახ, რა თქმა უნდა, დიდი იმედი გამიჩნდა. მთავარია, კუპერის ინტერესის სფეროში მოვხვდე. სერბეთის მეორეადგილოსანი კლუბი კი, მგონი, არც ისეთი უინტერესო უნდა იყოს ჩვენი ნაკრების მწვრთნელისთვის. კუპერი აშკარად კარგად მუშაობს და ამან ფეხბურთელები დაგვაიმედა.

**- უკვე ითამაშე „ვოივოდინას" მაისურით. რამდენი გაიტანე?**

- უნგრულ კლუბს ერთი გოლი გავუტანე. შემდეგ კიდევ იყო საკონტროლო შეხვედრა და იქაც ერთხელ მოვახერხე მეტოქის კარის აღება.

**- რომელ პოზიციაზე გათამაშებენ?**

- თავდასხმელად ვთამაშობ.

**- რომელ ნომრიანი მაისურა გადმოგცეს?**

- ცხრანომრიანი. ეს რიცხვი ძალიან მომწონს.

**- მოკლედ, არჩევანით კმაყოფილი ჩანხარ.**

- კი, რა თქმა უნდა. ჯერჯერობით თავს ნორმალურად ვგრძნობ. სერბები კარგი, გულიანი ხალხი ჩანს. ვნახოთ შემდეგ რა გამოვა.

**- სერბული ფეხბურთის დონე და ცოდნა აზერბაიჯანულისგან ბევრად განსხვავდება?**

- შედარებაც არ შეიძლება. ძალიან დიდი განსხვავებაა. სერბები ხომ მსოფლიო ფეხბურთში ანგარიშგასაწევი ძალა არიან. ასე იყო ყოველთვის. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე სერბების არგასვლა, თავადაც იცით, დიდი სენსაციაა ხოლმე.

**- ფულშიც დიდი განსხვავება. ალბათ ჩვენს მეზობლებს უფრო მეტი ფული აქვთ...**

- ბელგრადის გუნდებს, „პარტიზანსა" და „ცრვენა ზვეზდას" თუ გამოვრიცხავთ, რა თქმა უნდა, ყველა დანარჩენს აზერბაიჯანის წამყვანი კლუბების - „ნეფთჩის", „ბაქოს", „ხაზარისა" და „ოლიმპიკის" ბიუჯეტები არც დაესიზმრებათ. სამაგიეროდ, აზერბაიჯანულ კლუბებს ამათი ღარიბი კლუბების დონეც კი სანატრელი აქვთ.

**- სიმართლე თქვი, უკეთესი პირობები შემოგთავაზეს თუ უარესი?**

- ჩვეულებრივი, აზერბაიჯანულზე უკეთესი არ არის, მაგრამ აქ ფეხბურთს ვითამაშებ. ჩემთვის კი მთავარი ეს არის.

**- და მაინც, უარეს პირობებს უკეთესი მომავლისა და ნაკრებში მოხვედრის იმედად დათანხმდი თუ სხვა არჩევანი არ გქონდა?**

- არჩევანი, თუკი საქართველოს საუკეთესო ბომბარდირი ხარ, მაინც არსებობს. დამიჯერეთ, არ ვაჭარბებ. თუმცა, უპირველესად, ნაკრებში მოხვედრასა და ჩემი ოჯახის უკეთეს მომავალზე ვზრუნავდი.

**მერაბ მამულაშვილი**



ინდივიდუალური მომზადება
**კარატეში**

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

ლეგიონის უქმეები

# მჭედლიძის პირველი სასტარტო

## იაშვილი გაციებულა, კალაძე ხვალ დაიწყებს

„რომასთან" მატჩში შეცვლაზე შესულმა **ლევან მჭედლიძემ** კარგი შთაბეჭდილება დატოვა, იაქტიურა, ბურთი ძელს გაარტყა და სერია A-ს მატჩში კარიერაში პირველი სტარტის უფლება მოიპოვა. გუშინ ჩვენი თანამემამულე „ჯენოასთან" საგარეო მატჩში სასტარტოში იყო. „პალერმო" 0:1 დამარცხდა, ხოლო ლევანი 76-ე წუთზე **რობერტო გუანამ** შეცვალა. „ჯენოამ" გამარჯვების გოლი ამის მერე, 88-ე წუთზე შეაგდო. „გოლმა" ჩვენებურს გარჯა 5,5 ბალით შეაფასა. ლევანმა კარის მიმართულებით ზუსტად ერთხელ დაარტყა, ბურთი მასპინძელთა გოლკიპერმა კუთხურზე მოიგერია.



ლევან მჭედლიძეს მეკარემ დაასწრო

**კახა კალაძემ** იტალიელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავს უკეთ გრძნობს, ფიზიოთერაპიის კურსი კარგად მიმდინარეობს და „მილანელოზე" სავარჯიშოდ სამშაბათიდან გამოჩნდება, თუ არაფერი შეიცვალა - იტალიურ ტელევიზიასთან საუბარში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ზუსტად ასე თქვა. მოკლედ, წუხელ ქართველი „მილანის" რიგებში ვერაფრით ითამაშებდა, რომში „ლაციოს" წინააღმდეგ.

განახლდა ბუნდესლიგის გათამაშება. სამწუხაროდ, ცუდად დაიწყო **ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას** „შალკემ", რომელმაც 0:1 წააგო სტუმრად „ჰანოვერთან". ყენია ტრავმირებულია, ხოლო კობიაშვილმა სრულად ითამაშა. 27 ქულის მფლობელი შალკე" მე-9 ადგილზე ჩაეშვა. „შპორტალმა" 3,5 ბალი დაუწერა ჩვენებურს და აღნიშნა: „კობიაშვილმა დაიბრუნა სასტარტო შემადგენლობაში ადგილი. კარგადაც ითამაშა, არიგა კარგი პასები. ალბათ, უკეთეს შეფასებასაც მიიღებდა, ათი მეტრიდან ცარიელ კარში რომ გაეტანა".

**ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე" სტუმრად 0:2 დამარცხდა „ბოხუმთან". გუნდი 13 ქულით მე-13 ადგილზეა. იაშვილის უთამაშებლობის მიზეზია გაციებაა.

მეორე ბუნდესლიგაში **ოთარ ხიზანეიშვილის** გარეშე გავიდა ფონს „აუგსბურგი", რომელიც შინ 0:0 ეთამაშა „ნიურნბერგს". „აუგსბურგი" 28 ქულით მეექვსე ადგილზეა. ცუდად დაიწყო „მიუნხენმა", რომელიც შინ 0:2 დამარცხდა „ფრაიბურგთან". ქართული დუელი არ შედგა, მასპინძელთა მცველი **მათე ღვინიანიძე** განაცხადშიც არ იყო, ხოლო სტუმართა ნახევარმცველი **დავით თარგამაძე** სათადარიგოთა როლით დააკმაყოფილეს. დღევანდელ მატჩამდე („მაინცი"-„კაიზერსლაუტერნი") სატურნირო ცხრილს თარგამაძის გუნდი ჩაუდგა სათავეში 33 ქულით. „მიუნხენი" 21 ქულით მე-11 ადგილზეა. ამიერიდან „ვეენის" ამბებითაც დავინტერესდებით, ამ გუნდში ხომ **ლევან ცქიტიშვილი** გადავიდა. გუშინ „ვეენმა" უქართველოდ 1:0 დაამარცხა „ალემანია". „ვეენი" 17 ქულით მე-16 ადგილზეა.

შესაძლოა, „ბლეკბერნის" ხელმძღვანელობა რაღაც საიდუმლო გეგმას ამზადებს და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე **ზურაბ ხიზანიშვილს** გაასხვისებს. შესაძლოა, ეს მხოლოდ ჩვენი სურვილია და... ასეთ შემთხვევაში საქართველოს ნაკრების მცველს ზაფხულის ჩათვლით სათამაშო პრაქტიკა კვლავ საოცნებო ექნება. „ბლექბერნი" „მიდლსბროს" ესტუმრა და 0:0 ეთამაშა, **სემ ელერდაისმა** კვლავ არ შეიყვანა განაცხადში ჩვენებური.

ლეუმითლიგაში საჰაერო განგაშის გამო გადაიდო ჰაიფას „ჰაპოელის" და „რამათ განის" მატჩი. ასე რომ, **ირაკლი გეფერიძეს** ამ ტურში თამაში არ მოუხდა. გეფერიძის გუნდი კვლავ ერთპიროვნული ლიდერია 38 ქულით, „ჰაპოელი" უახლოეს მდევარს ხუთი ქულით უსწრებს და თამაშიც რეზერვში აქვს. უმაღლეს ლიგაში 35 ქულით ლიდერობს ჰაიფას „მაკაბი", რომლის მწვრთნელის ასისტენტი **გიორგი დარასელიაა**. ჰაიფელები თელ ავივის „მაკაბის" დღეს ეთამაშებიან.

**თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა" სტუმრად 3:0 დაამარცხა აპოპ. **კლიმენტი ნიტაიშვილს** ამ მატჩში არ უთამაშია. **ლევან ქობაძის** „აპოლონი" სტუმრად 0:2 დამარცხდა აელ-თან. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა. **ლევან მაღრაძის** „აპოლონმა" სტუმრად 5:1 გაანადგურა აეკ. მაღრაძემ ყოფილი კლუბის წინააღმდეგ შეუცვლელად ითამაშა. „ანორთოსისი" 47 ქულით მესამე ადგილზეა, „აპოლონი" 35 ქულით მეოთხეა, „ეთნიკოსი" 31 ქულით - მეხუთე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სალეგიონო ფესტები

# დიმიტრის მეორე გოლი

შაბათს კვიპროსულ შეკრებაზე მყოფმა პლზენის „ვიქტორიამ" პირველ სპარინგმატჩში 3:2 დაამარცხა სოფიის ცსკა. თავი გამოიჩინა **დიმიტრი ტატანაშვილმა**, მისმა გოლმა მოუტანა ჩეხურ გუნდს გამარჯვება, ჩვენებურმა მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე გაიტანა. ტატანაშვილი 65-ე წუთზე შევიდა **ტრაპის** ნაცვლად. უკვე ზედიზედ ორი თამაშია ქართველი ფორვარდი „პლზენის" სპარინგმატჩში შეცვლაზე შედის და გოლი გააქვს.

ავსტრიული ბუნდესლიგის განახლებისთვის ინტენსიურად ემზადება გრაცის „შტურმი". ბუქარესტის „დინამოსგან" ნაწნევი მარცხის (2:5) შემდეგ „შტურმი" უნგრულ „პალადაშთან" 0:0 ითამაშა. ორივე მატჩი თურქულ ბელეკში გაიმართა. რუმინელებთან მატჩში სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ **გიორგი შაშიაშვილი და ილია კანდელაკი**. ეს უკანასკნელი შესვენებაზე შეცვალეს. უნგრელებთან შაშიაშვილმა შეხვედრის პირველი ნახევარი ითამაშა, კანდელაკმა - მეორე.

ესპანეთში შეკრებაზე მყოფი რუსეთის ჩემპიონი „რუბინი" 0:0 დაუზავდა ესპანურ „მარბელიას". ამ შეხვედრაში ქართული ტრიოდან მხოლოდ **ლაშა სალუქვაძემ** ითამაშა, რომელმაც ახლახან კიდევ სამი წლით გაახანგრძლივა ურთიერთობა ყაზახურ კლუბთან. არ უთამაშიათ **დავით ქვირკველიასა და ნუკრი რევიშვილს**.

თურქეთშივე, კურორტ კუნდუში ნალჩიკის „სპარტაკმა" 2:1 დაამარცხა „სიბირი". ამ შეხვედრაში **გოგიტა გოგუამ და ალექსანდრე ამისულაშვილმა** პირველი ტაიმი ითამაშეს.

უკრაინულმა „ზარიამ" შაბათს ორი სპარინგი გამართა. პირველ შეხვედრაში ლუგანსკელები ბოსნიურ „ბორაცს" დაუზავდნენ - 1:1. **გიორგი ციმაკურიძემ** მეორე ტაიმი ითამაშა. შემდეგ „ზარიამ" აზერბაიჯანული „ყარაბახი" 1:0 დაამარცხა. ჩვენებურმა ამ შეხვედრაშიც მეორე ტაიმი ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ვოლევოლენტი

# ელიზბარაშვილმა პარმა უარით გაისტუმრა

ფაქტი, რომელზეც ქვემოთ უნდა მოგითხროთ, ქართული ფეხბურთის უახლოესი ისტორიიდან ძნელი გასახსენებელია. მცირე ხნის წინ ვწერდით, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ **ლევან ელიზბარაშვილს** იტალიაში იწვევდნენ.

**რეზო გაგუასთან** „ნორჩ დინამოელში" გაზრდილი 16 წლის ფეხბურთელი იტალიელებმა 17-წლამდელთა ნაკრებში ნახეს. ლევანმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი უნგრეთში საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშა. შეხვედრებს იტალიელი სკაუტები ესწრებოდნენ. მათ ნიჭიერი ქართველი საყრდენი ნახევარმცველი მოეწონათ და იტალიაში რამდენიმე ვარიანტი შესთავაზეს. თავდაპირველად ელიზბარაშვილით რომის „ლაციო" დაინტერესდა. ფეხბურთელი 2008 წელს 2 ივლისს იტალიაში ჩავიდა, 2-3 დღე ივარჯიშა კიდეც, თითქოს დატოვებასაც უპირებდნენ, მაგრამ გენერალური მენეჯერისა და სპორტული დირექტორის გუნდიდან წასვლის გამო სიტუაცია აირია. იქამდე, ვიდრე არეული დალაგდებოდა, ელიზბარაშვილს „პარმის" ვარიანტი შესთავაზეს. რატომ იმოქმედა ჩინოსანთა შეცვლამ ქართველი ფეხბურთელის მომავალზე, ამის ახსნა მხოლოდ იტალიური ფეხბურთის კულისებში ღრმად ჩახედულ ადამიანებს თუ შეუძლიათ. ფაქტია, რომ თავად „პარმაში" მოხვედრით კმაყოფილი დარჩა.

„პარმაში" ლევანი ზუსტად 22 დღე, 27 ნოემბრიდან 18 დეკემბრამდე იმყოფებოდა. ერთ-ერთ ვარჯიშზე ცხვირი გაუტყდა. ტრავმის გამო მხოლოდ ათი დღე ივარჯიშა. მცირე დროც საკმარისი აღმოჩნდა. ლევანმა „პარმის" მწვრთნელებს თავი მოაწონა და აპენინელებმა მისი დამატება გადაწყვიტეს. იანვარში „პარმის" წარმომადგენლები თბილისს უნდა სტუმრებოდნენ და მშობლების თანხმობით ლევან ელიზბარაშვილთან კონტრაქტი გაეფორმებინათ. ცნობისთვის, 18 წლამდელ ფეხბურთელს ეკრძალება სამწლიან კონტრაქტზე ხანგრძლივი ხელშეკრულების გაფორმება. ამასთან, კონტრაქტზე აუცილებელია მშობლების ხელის მოწერა. ჩვენი ინფორმაციით, საუბარი იყო სწორედ 1+2 სისტემის კონტრაქტზე.

პარასკევს თბილისს „პარმის" წარმომადგენლები ესტუმრნენ და ლევანის მამასთან, **მამუკა ელიზბარაშვილთან** მოლაპარაკება დაიწყეს. ჩვენ მოლაპარაკებების შესახებ რამდენიმე საინტერესო დეტალი შევიტყვეთ: ერთი შეხედვით სასიამოვნო პროცედურა ქართული მხარის ჯერ გაოცებით, შემდეგ კი კატეგორიული პოზიციით შეიცვალა. ელიზბარაშვილების ოჯახისთვის მიუღებელი აღმოჩნდა იტალიური მხარის მიერ შეთავაზებული ფინანსური და იურიდიული პირობები. ლევანი თებერვალში 17 წლის ხდება. თუკი ერთი წლის განმავლობაში ის 8-ჯერ მოხვდებოდა „პარმის" განაცხადში, კლუბი ხელფასს გაუზრდიდა. იქამდე კი ანაზღაურება თვეში 500 (?!) ევრო უნდა ყოფილიყო. ეს ოჯახისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ თინეიჯერ ფეხბურთელს ერთი წლის განმავლობაში „პარმის" სათადარიგოთა სკამზე 8-ჯერ ვინ დასვამდა? ეს იყო ელიზბარაშვილებისთვის მთავარი კითხვა და ეჭვის საგანი. ოჯახისთვის მიუღებელი აღმოჩნდა კონტრაქტის პირობებიც, სადაც მათთვის ბევრი რამ იყო ბუნდოვანი და გაურკვეველი. სხვათა შორის, ევროკავშირის 2005 წლის დადგენილებით 18 წლამდელი ფეხბურთელის უცხო ქვეყანაში სამუშაოდ ჩასვლამდე კლუბმა მშობლების დასაქმება უნდა უზრუნველყოს. „პარმას" კი მეურვედ იტალიელის დანიშვნა სურდა. მოკლედ, ოჯახმა მიუღებლად მიიჩნია ის პირობები, რომელსაც იტალიელები ჰპირდებოდნენ. შესაბამისად, კონტრაქტის გაფორმებაზე უარი ითქვა. ის, რომ ფეხბურთელის ოჯახი ფულზე გამოკიდებული არ არის ის ფაქტიც მოწმობს, რომ მოსკოვის „სპარტაკი" ლევანის ტრანსფერში 500 ათას დოლარს იხდის, მაგრამ ოჯახს შვილის სწორ გზაზე დაყენება სურს. ძნელია, რუსეთში გაშვება სწორ გზაზე დადგომად აღიქვა.

**მერაბ მამულაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

### იტალია. სერია A XXII ტური



ჯან ლუიჯი ბუფონი



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

# სარდინიელი გმირები

„კალიარი" მთელი 41 წლის განმავლობაში „იუვენტუსს" სტუმრად ვერ უგებდა. ამ „ტრადიციას" წერტილი დაესვა შაბათს, როცა სარდინიულმა კრებულმა „ბებერ ქალბატონს" ტურინში ისეთი ალიყური უთავაზა, ეგებ სკუდეტოზეც აალებინოს ხელი. ახლა არ იყო იმის დრო, „იუვეს" ზედიზედ ორი თამაში წაეგო. არადა, იანვრის შუა რიცხვებში **კლაუდიო რანიერის** გუნდი „ინტერს" კრიტიკულ მიჯნაზე მიუახლოვდა, მაგრამ... ბოლო ორმა მარცხმა მთელი ეს ძალისხმევა წყალში გადაყარა. „ნერაძურის" კი ბერგამოში წაგება ხახვივით შერჩა...

ეს „კალიარიც" უცნაური გუნდია. ბოლო ორი წელია, ერთი სცენარით თამაშობს - სეზონს კოშმარულად იწყებს, მაგრამ მერე და მერე უმატებს. შარშან, პირველი წრის შემდეგ, ქომაგებს გამოტირებულიც ჰყავდათ „კალიარი", მაგრამ „პალერმოს" დღევანდელი მწვრთნელის **დავიდე ბალარდინის** ხელში „ფერფლიდან ალსდგა" და სეზონი ღირსეულად ჩაამთავრა. ამ სეზონში ბალარდინი **მასიმო ალეგრიმ** შეცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა ტრადიცია - კვლავ ცუდი სტარტი, მაგრამ მერე... მერე, ამ გუნდს ველარ ვცნობდით. აგერ, ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო და შაბათ საღამოს უკვე მეშვიდე ადგილზეც მოკალათდა, რაც სეზონის სტარტზე უბრალოდ წარმოუდგენელი იყო...

ახლა უშუალოდ თამაშზეც ვთქვათ. „იუვეს" **კიელინი** (მეორე ტაიმში კვლავ დაშავდა) და **დელ პიერო** დაუბრუნდნენ. მაგრამ ამან ვერც დაცვაში გამოასწორა საქმე და ვერც თავდასხმა გახადა ეფექტიანი. ამას დაემატა ისიც, რომ ტრავმა მიიღო **კრისტიანო ძანეტიმ** და ტაიმის შუანელიდანვე გამოეთიშა თამაშს. არადა, ის ახლახან დაუბრუნდა გუნდს და ისე ჩანს, რომ კიდევ კარგა ხნით მოუწევს დასვენება...

მანამდე კი ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. **ბიონდინიმ მარკიონის** შეცდომით ისარგებლა და შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა ზუსტად დაარტყა. ვერ ვიტყვით, რომ მასპინძელი მომენტალურად გამოცოცხლდა, თუმცა ნელ-ნელა კი დაალაგა თამაში და მეტოქე სასტიკ მარწუხებშიც მოაქცია. პირველი ნახევრის ბოლო 15-წუთიან მონაკვეთში „იუვეს" შეეძლო, ყველაფერი თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა. მას მერე, რაც **სისოკომ** და **ნედვედმა** ტურინელები წინ გაიყვანეს, **ამაურისა** (ბოლოს და ბოლოს გამოიძახეს ბრაზილიის ნაკრებში) და დელ პიეროს მესამე გოლის გატანა მართებდათ. ასეთ შემთხვევაში, ყველაფერი იქვე დასრულდებოდა...

გასაკვირი იყო რანიერის შეგირდთა პასიურობა მეორე ტაიმის სტარტზე, რითიც უმალ ისარგებლეს სარდინიელებმა და **კოსუს** დიდებული პასით **ჟედამ** წონასწორობა ალადგინა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „კალიარის" თავკაცმა ალეგრიმ დაცვის გამაგრებას თავდასხმაში ახალი ძალის გამოყვანა არჩია - **აკვაფრესკა** შეცვალა **მატრიმ**, რომელმაც მატჩის დასრულებამდე 13 წუთით ადრე გამარჯვების გოლი შეაგდო. ეს იყო კლასიკური კონტრშეტევა, რომელშიც შეცვლაზე შესული კიდევ ერთი კალიარელი **ლაძარი** მონაწილეობდა. აქ უკვე მარტივად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალეგრიმ მასზე გაცილებით გამოცდილი რანიერი პირწმინდად დაჩაგრა. ნამატჩევს მან თავის ბიჭებს „სარდინიელი გმირები" უწოდა, მისმა ვიზავიმ კი მარცხი ასე ახსნა:

*„ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ხოლმე სხვა გუნდებზე, მაშინ, როცა უფრო მეტად უნდა ვიყოთ კონცენტრირებულნი საკუთარ კონდიციებზე... ახლა ისევ უკან გვიწევს დაბრუნება. „კალიარიმ" ფანტასტიკურად ითამაშა და ჩვენ ვიცოდით, რომ ასეც იქნებოდა, მაგრამ 3 გოლი? ეს გოლები კონტრშეტევებზე გავუშვით, რაზეც განსაკუთრებით ვნანობ. იაკუინტაც შევუშვი იერიშების გასაძლიერებლად, მომენტების შესაქმნელად, მაგრამ... ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, ძალიან ბევრი... უბრალოდ, სირცხვილია".*

აშკარად მოუკლო „ნაპოლიმაც", რომელიც ერთი თვის წინ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის რეალური კანდიდატი იყო, თუმცა ბოლო ოთხ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა აილო და დროა, ღრუბლებიდან მიწაზე დაეშვას. „უდინეზემ" კი თითქოს უკან მოიტოვა სამთვიანი კოშმარი და უკანასკნელ ორ მატჩში 4 ქულას მოუყარა თავი, ეს კი მწვრთნელ **პასკუალე მარინოსთვის** მეტ-ნაკლებად მშვიდი მუშაობის საშუალებაა. ისე კი, „ნაპოლიმ" პირველი ტაიმის შუისთვის ისეთი ამბები დაატრიალა, ძნელი საფიქრებელი იყო, რომ სტუმრები შოკიდან გამოვიდოდნენ... მაგრამ გამოვიდნენ და თან ღირსეულადაც - პირველივე ნახევარში. ჯერ **დი ნატალემ** შეამცირა სხვაობა სამართლიანად დანიშნული 11-მეტრიანიდან, ხოლო ტაიმის მიწურულს ზღაპრული გოლი გაიტანა **კვალიარელამ**, რომელიც ამ შედევრით ევროსეზონის გამარჯვებულიც შეიძლება გახდეს - ის საჯარიმოს ხაზთან დაელოდა მალალ ბურთს, რომელსაც მიწაზე დაუშვებლად, ჰაერშივე ამოსხცო „მაკრატელა" და... თურმე საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 2:2.

„ინტერმა" მშვენიერი შანსი დაკარგა საიმისოდ, რათა მდევრებთან სხვაობა გაეზარდა, მაგრამ საკუთარ კედლებში „ტორინოს" დამარცხება ვერ შეძლო - 1:1. **ვალტერ ნოველინოს**, რომელიც ახლა სწორედ „ტოროს" დამრიგებელია, ადრეც ხშირად გაუმწარებია „ნერაძური". შეიძლება ითქვას, ის ამ საქმის სპეციალისტია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ გუშინ რალაც განსაკუთრებული მოხდა. ამ სეზონში ლიდერები ხშირად კარგავენ ქულებს მეორე თუ მესამეხარისხოვან კლუბებთან და ჩავთვალოთ, რომ „ინტერის" საშინაო ფრეც წლევანდელი ტენდენციის გამოძახილია. ცოტა უცნაური იყო **ჟოზე მოურინიოს** კომენტარი. ფაქტობრივად, მან აღიარა, რომ ამ მატჩში მისი გუნდი მეტის ღირსი არ იყო:

*„ცხადია, არ არის სასიამოვნო საკუთარ მოედანზე ქულების დაკარგვა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, როგორც „ტორინომ" ითამაშა, ეს შედეგი, ასე თუ ისე, მისაღებია. მეტოქემ შესაშური საბრძოლო სულისკვეთება დაგვიპირისპირა. ჩვენ კი, ისე რომ დაგვეწყო თამაში, როგორც დავასრულეთ, 3 ქულა გვექნებოდა".*

პირველი ტაიმი ერთობ უინტერესო გამოდგა. განახლდა თუ არა თამაში შესვენების შემდეგ, „ტორინო" მოულოდნელად წინ გაიჭრა - **ბიანკიმ კორდობასთან** ორთაბრძოლაში მოახერხა ბურთის კარში გადაგზავნა. „ინტერი" მომენტალურად გამოცოცხლდა და რამდენიმე წუთში არბიტრს პენალტი უნდა დაენიშნა, **აბეტეს** მიერ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის... თუმცა 57-ე წუთზე ეს ალარავის ახსოვდა - **ბურდისოს** თავური მიზანში მოხვდა. დარჩენილ დროში მასპინძელი აშკარა უპირატესობას ფლობდა, მაგრამ რომ ვთქვათ, „ტორინო" გამოუვალ დღეში იყო-თქო, არ იქნება მართალი. „ინტერს" რამდენიმე შანსი ჰქონდა, მათ შორის, ერთი - იმავე ბურდისოს, რომლის კიდევ ერთმა თავურმა „ინტერს" კინალამ გამარჯვება მოუტანა...

„რეჯინასთან" მატჩის წინ „რომას" მოულოდნელად დაუშავდა **ტოტი** და **ვუჩინიჩი**, ამას გარდა, მანამდე იყო ტრავმირებული **ბაპტიშტა**, რაც იმას ნიშნავს, რომ **ლუჩანო სპალეტიმ** რეჯოკალაბრიაში უფორვარდოდ ითამაშა. ამ გასაჭირის დროს იყოჩალა **პისარომ**, რომელმაც დუბლი შეასრულა. მეორე გოლი ჩილელმა მას მერე შეაგდო, რაც მეკარის მიერ უკუგდებულ თავისსავე 11-მეტრიანს დაამატა. საბედისწერო გამოდგა შეცვლა, რომელიც სპალეტიმ მე-80 წუთზე განახორციელა - ბურთთან **ლორიას** პირველივე შეხებას შეცდომა მოჰყვა და ამით უმალ ისარგებლა **კოცამ** - 2:2.

შუადღის მატჩებზე, რომელთაგან „ბოლონია"-„ფიორენტინა" დიდთოვლობის გამო დღეისთვის გადმოიტანეს, სალაპარაკო ბევრი არაფერია, ამიტომ, პირდაპირ „ლაციო"-„მილანზე" გადავიდეთ.

„როსონერიმ" იოლად გაიმარჯვა (3:0) და მეორე ადგილზე აინაცვლა. „ლაციოსთვის" კი ეს ზედიზედ მეოთხე მარცხი იყო, მათ შორის, ზედიზედ მეორე - საკუთარ მოედანზე და თანაც, დიდი ანგარიშით. გავიხსენოთ, რომ წინა კვირას „კალიარიმ" „ოლიმპიკოზე" 4:1 გაიმარჯვა. მოვლენები იმდაგვარად ვითარდება, რომ შესაძლოა, „მილანთან" მატჩი **დელიო როსისთვის** ბოლო ბანაობაც იყოს „ლაციალეს" თავკაცის პოსტზე. არ გვგონია, პრეზიდენტ **კლაუდიო ლოტიტოს** უსაზღვროდ მოთმენა შეეძლოს.

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

7 თებერვალი. **ლეჩე-ინტერი, მილანი-რეჯინა.** 8 თებერვალი. **კატანია-იუვენტუსი, უდინეზე-ბოლონია, სამპდორია-სიენა, პალერმო-ნაპოლი, რომა-ჯენოა, ტორინო-კიევო, კალიარი-ატალანტა.**

### ნაპოლი-უდინეზე 2:2

**ნაპოლი:** ნავარო-6, მაჯო-5.5 (68. სალაიეტა-6), რინაუდო-5, კონტინი-5, კანავარო-5.5, გარგანო-5, ბლაზი-5.5, ჰამშიკი-6, ვიტალე-6, დენისი-5.5, ლავეცი-6.5.

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-5, საპატა-6, ა. კოდა-6, ლუკოვიჩი-5.5, ფერონეტი-5.5 (73. პასკუალე), ინლერი-6, გ. დ'აგოსტინო-6, ასამოა-6.5, ისლა-6, დი ნატალე-6.5 (66. სანჩესი-6), კვალიარელა-7 (84. ფლორო ფლორესი).

**გოლები:** 1:0 ლავეცი (23), 2:0 ჰამშიკი (26), 2:1 დი ნატალე (32-პენ), 2:2 კვალიარელა (45)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 12-16 (2-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 40 000

### იუვენტუსი-კალიარი 2:3

**იუვენტუსი:** ბუფონი-5.5, მელბერგი-5, ლეგროტალიე-5, კიელინი-5 (72. გრიგერა), მოლინარო-5.5, მარკიონი-6 (69. იაკუინტა), სისოკო-6.5, კ. ძანეტი (21. მარკიზიო-6), ნედვედი-6.5, დელ პიერო-5.5, ამაური-6.

**კალიარი:** მარკეტი-6, ფ. პიზანო-6, ბიანკო-6, კანინი-7, აგოსტინი-6, კონტი-5, ფინი-6.5 (85. პაროლა), ბიონდინი-6.5, კოსუ-6 (69. ლაძარი), ჟედა-7, აკვაფრესკა-6 (61. მატრი-7).

**გოლები:** 0:1 ბიონდინი (16), 1:1 სისოკო (31), 2:1 ნედვედი (38), 2:2 ჟედა (54), 2:3 მატრი (78)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 2-8; **კარში დარტყმა:** 16-8 (4-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 20 373

### ინტერი-ტორინო 1:1

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6, მაიკონი-6.5, კორდობა-6, ბურდისო-6.5, სანტონი-6.5, ხ. ძანეტი-6.5, მაქსველი-6 (46. კვარეშმა-4.5), კამბიასო-6.5, სტანკოვიჩი-6 (43. ფიგუ-6), კრუსი-6 (70. კრესპო-6.5), იბრაჰიმოვიჩი-6.

**ტორინო:** სერენი-7.5, რივალტა-5 (36. კოლომბო-5.5), დი ლორენტო-5.5, დელაფიორე-6.5, ოგბონა-6, აბატე-6 (80. რუბინი), ჯემაილი-5.5, პ. ძანეტი-5.5, დიანა-6, როზინა-5.5, ბიანკი-6.5 (67. სტელონე-6).

**გოლები:** 0:1 ბიანკი (47), 1:1 ბურდისო (58)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 15-6; **ჯარიმა:** 16-22; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 23-12 (6-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 45 332

### რეჯინა-რომა 2:2

**რეჯინა:** კამპანიოლო-7, ლანძარო-7 (52. ჩირილო-5.5), კ. ვალდესი-6.5, სანტოსი-6, კრაიჩიკი-6.5 (77. სესტუ), ბარეტო-6, კოცა-6.5, ბარილა-6, კოსტა-6, დი ჯენარო-7 (67. რაკიჩი), კორადი-6.5.

**რომა:** ა. დონი-6, სისინიო-6, მექსე-5.5, ჟუანი-6, ტონეტო-6, ტადეი-6 (80. ლორია-5), დე როსი-6, ბრიგი-6, პისარო-7, ოკაკა ჩუკა-6.5, მენეზი-5.5 (65. აკვილანი).

**გოლები:** 1:0 კორადი (43-პენ), 1:1 პისარო (45), 1:2 პისარო (57), 2:2 კოცა (81)

*57-ე წუთზე პისარომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 23-15; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 18-21 (5-7); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 9 926

### ჯენოა-პალერმო 1:0

**ჯენოა:** რუბინიო-6, ბოკეტი-6.5, ფერარი-6.5, ბიავა-7, ვანდერ ბორე-7 (63. პალადინო-6), მილანეტო-6.5, იურიჩი-6.5, კრიშიტო-8, იანკოვიჩი-7, სკული-6 (83. ოლივერა), მილიტო-6.

**პალერმო:** ამელია-7, კასანი-5.5, კაროციერი-6 (56. სავინი-5.5), ბოვო-6.5, კიაერი-7.5, ლიევერანი-6 (45. მილიაჩო-5.5), ნოჩერინო-5.5, სიმპლისიუ-5, ბრეშანო-5, მჭედლიძე-5.5 (76. გუანა-5.5), კავანი-5.

**გოლი:** 1:0 კრიშიტო (88)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 13-5; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 21-6 (6-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 25 000

### ატალანტა-კატანია 1:0

**ატალანტა:** კონსილი-6, დარიჩი-6, ტალამონტი-6.5, თ. მანფრედინი-7, ბელინი-6.5, პინტუ-6.5, ჩიგარინი-6.5 (68. დე აშენტისი-6), გუარენტე-6.5, პადოინი-6, ვიერი-6 (21. ხ. ვალდესი-7/90. კაპელი), ფლოკარი-5.5.

**კატანია:** ბიცარი-6, სილვესტრე-6, ტერლიცი-5, სტოვინი-6, კაპუანო-5.5, ბიაჯანტი-5, კარბონი-6 (64. იცკო-5.5), ბაიოკო-5.5, მარტინესი-5 (76. სპინეზი), მასკარა-5, პაოლუჩი-5.5 (46. მორიმოტო-5).

**გოლი:** 1:0 გუარენტე (24)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 8-15; **კარში დარტყმა:** 19-6 (7-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 9 000

### კიევო-სამპდორია 1:1

**კიევო:** სორენტინო-6, ნ. ფრეი-5.5, მორერო-5, იეპესი-6, მანტოვანი-5.5, ლუსიანო-5, იტალიანო-6.5 (87. გრიპო), რიგონი-6.5, ბენტივოლიო-6, მ. ესპოზიტო-5 (46. მაკინვა-5.5), პელისიერი-6 (85. კურლონი).

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, სტანკევიჩუსი-6.5, გასტალდელო-6, ლუკინი-6, დელვეკიო-5.5 (43. მუსტაკიო-5.5/82. ბელუჩი), სამარკო-6, პალომბო-6.5 (89. ფური), ციგლერი-5, პიერი-6.5, კასანო-6.5, პაცინი-6.5.

**გოლები:** 0:1 პაცინი (70), 1:1 რიგონი (72)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 25-15; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 16-8 (3-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 13 000

### სიენა-ლეჩე 1:2

**სიენა:** კურჩი-5.5, სუნიგა-6.5, პორტანოვა-6, ბრანდაუ-5, დელ გროსო-6 (80. ა. როსი), ვერგასოლა-6, კოდრეა-6, იაროლიმი-5 (53. კალაიო-5), ხარჯა-5, მაკარონე-5.5, ფრეი-5 (53. გეზალი-7).

**ლეჩე:** ბენუსი-7, პოლენგი-7, სტენდარდო-7, ა. ესპოზიტო-7, ჯულიატო-7, ვივესი-6 (58. პაპა ვაიგო-6), კაზერტა-7 (90. არდიტო), არიატი-7.5, ჯაკომაცი-5.5, კასტილიო-8, ტირიბოკი-7.5 (46. ედინო-6).

**გოლები:** 0:1 ტირიბოკი (15), 0:2 კასტილიო (55), 1:2 გეზალი (79)

**გაძევება:** ჯაკომაცი (41. ლეჩე)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 14-2; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 16-5 (3-4); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 8 736

### ლაციო-მილანი 0:3

**ლაციო:** მუსლერა-6, დე სილვესტრი-5.5, სივილია-5, როზენალი-5.5, რადუ-5 (75. კოლაროვი), ბროკი-5.5 (75. დაბო), კ. ლედესმა-5.5, მათუსალემი-5.5, მეგნი-6.5 (66. ს. ინძაგი-5), პანდევი-5.5, სარატე-7.

**მილანი:** აბიატი-7, ძამბროტა-6.5 (86. დარმიანი), სენდეროსი-5.5, ბონერა-6, იანკულოვსკი-6, ბექჰემი-7.5, პირლო-6.5, ამბროზინი-6.5, ზეედორფი-6, კაკა-7 (86. შევჩენკო), პატო-7.

**გოლები:** 0:1 პატო (42), 0:2 ამბროზინი (47), 0:3 კაკა (83)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 7-7; **კარში დარტყმა:** 12-9 (6-4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 51 650

ბოლონია-ფიორენტინა — დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 22 | 15 | 5 | 2 | 37-16 | 50 |
| 2. მილანი | 22 | 13 | 5 | 4 | 39-22 | 44 |
| 3. იუვენტუსი | 22 | 13 | 4 | 5 | 36-19 | 43 |
| 4. ჯენოა | 22 | 10 | 7 | 4 | 32-19 | 40 |
| 5. რომა | 22 | 11 | 4 | 7 | 33-28 | 37 |
| 6. ფიორენტინა | 21 | 11 | 2 | 8 | 28-19 | 35 |
| 7. კალიარი | 22 | 10 | 4 | 8 | 30-25 | 34 |
| 8. ნაპოლი | 22 | 10 | 4 | 8 | 30-25 | 34 |
| 9. პალერმო | 22 | 10 | 2 | 10 | 30-28 | 32 |
| 10. ლაციო | 22 | 9 | 4 | 9 | 32-35 | 31 |
| 11. ატალანტა | 22 | 9 | 3 | 10 | 27-25 | 30 |
| 12. უდინეზე | 22 | 7 | 6 | 9 | 32-35 | 27 |
| 13. კატანია | 22 | 7 | 5 | 10 | 20-27 | 26 |
| 14. სიენა | 22 | 7 | 4 | 11 | 16-22 | 25 |
| 15. სამპდორია | 22 | 6 | 6 | 10 | 20-26 | 24 |
| 16. ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 24-33 | 22 |
| 17. ლეჩე | 22 | 4 | 10 | 8 | 22-33 | 22 |
| 18. ტორინო | 22 | 4 | 6 | 12 | 22-37 | 18 |
| 19. კიევო | 22 | 4 | 6 | 12 | 15-30 | 18 |
| 20. რეჯინა | 22 | 3 | 6 | 13 | 19-40 | 15 |

**ბომბარდირები:** 15 - დი ვაიო (ბოლონია); 14 - მილიტო (ჯენოა); 13 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 12 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 11 - ამაური (იუვენტუსი), დი ნატალე (უდინეზე); 10 - კაკა (მილანი), ფლოკარი (ატალანტა), პატო (მილანი).

## სერია B

### XXIII ტური

**ასკოლი-ანკონა 2:0**

**გოლები:** 1:0 სონჩინი (21), 2:0 ბელინგერი (30)

**გაძევება:** ვანილი (90. ანკონა)

**აველინო-ტრიესტინა 1:2**

**გოლები:** 0:1 ტაბიანი (8), 0:2 პრინჩივალი (19), 1:2 პეკორარი (82)

**ბარი-ფროზინონე 2:1**

**გოლები:** 0:1 კავალი (50), 1:1 ლანცაფამე (52), 2:1 კაპუტო (81)

**ემპოლი-ვიჩენცა 2:0**

**გოლები:** 1:0 პოცი (68), 2:0 კორვია (87)

**პარმა-ალბინოლეფე 3:1**

**გოლები:** 1:0 პალოსკი (17), 1:1 მადონა (27), 2:1 ბუდელი (60), 3:1 ა. ლუკარელი (76)

**გაძევება:** ლუონი (89. ალბინოლეფე)

**პიაჩენცა-გროსეტო 2:3**

**გოლები:** 1:0 რიჩო (4), 1:1 კასანო (9-საკ. კარში), 2:1 რიჩო (10), 2:2 პიხლმანი (81), 2:3 სანსოვინი (84)

**გაძევება:** დელ მარე (29. პიაჩენცა)

**პიზა-სასუოლო 0:0**

**სალერნიტანა-ჩიტადელა 1:2**

**გოლები:** 0:1 იორი (20-პენ), 1:1 პესტრინი (29), 1:2 იორი (90-პენ)

**გაძევება:** პინა (20. სალერნიტანა), კოპოლა (89. სალერნიტანა)

**ტრევიზო-ბრეშა 3:2**

**გოლები:** 1:0 ციგონი (1), 1:1 ტადეი (9), 1:2 რისპოლი (36), 2:2 გისი (70), 3:2 მუსეტი (84)

**გაძევება:** სმიტი (90. ტრევიზო)

**მოდენა-რიმინი** — შეწყდა

**მანტოვა-ლივორნო** — დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარი | 23 | 12 | 7 | 4 | 27-19 | 43 |
| 2. ლივორნო | 22 | 9 | 12 | 1 | 28-14 | 39 |
| 3. ბრეშა | 23 | 11 | 6 | 6 | 29-22 | 39 |
| 4. სასუოლო | 23 | 10 | 8 | 5 | 33-21 | 38 |
| 5. პარმა | 23 | 9 | 11 | 3 | 28-18 | 38 |
| 6. გროსეტო | 23 | 11 | 5 | 7 | 39-35 | 38 |
| 7. ემპოლი | 23 | 10 | 6 | 7 | 28-24 | 36 |
| 8. ტრიესტინა | 23 | 9 | 8 | 6 | 30-24 | 35 |
| 9. ვიჩენცა | 23 | 8 | 8 | 7 | 28-17 | 32 |
| 10. რიმინი | 22 | 8 | 6 | 8 | 26-28 | 30 |
| 11. ალბინოლეფე | 23 | 7 | 9 | 7 | 22-24 | 30 |
| 12. ანკონა | 23 | 8 | 5 | 10 | 30-29 | 29 |
| 13. მანტოვა | 22 | 7 | 8 | 7 | 22-22 | 29 |
| 14. პიზა | 23 | 7 | 6 | 10 | 28-36 | 27 |
| 15. ფროზინონე | 23 | 6 | 8 | 9 | 26-31 | 26 |
| 16. ჩიტადელა | 23 | 5 | 10 | 8 | 21-24 | 25 |
| 17. პიაჩენცა | 23 | 6 | 7 | 10 | 22-28 | 25 |
| 18. ასკოლი | 23 | 6 | 6 | 11 | 16-26 | 24 |
| 19. სალერნიტანა | 23 | 6 | 5 | 12 | 21-32 | 23 |
| 20. აველინო | 23 | 4 | 10 | 9 | 21-32 | 22 |
| 21. ტრევიზო | 23 | 5 | 10 | 8 | 23-28 | 21* |
| 22. მოდენა | 22 | 3 | 7 | 12 | 25-38 | 16 |

*შენიშვნა: * - ტრევიზოს დაკლებული აქვს 4 ქულა*

**ბომბარდირები:** 13 - ვანტაჯატო (რიმინი); 11 - ბარეტო (ბარი); 10 - ლოდი (ემპოლი), ქ. ლუკარელი (პარმა), ნასი (ანკონა), სანსოვინი (გროსეტო), ტავანო (ლივორნო); 9 - მასტრონუნციო (ანკონა).

## სერია C1/A

### გამოტოვებული მატჩი

ლეკო-პრო პატრია 1:1.

## სერია C1/B

### გამოტოვებული მატჩი

ფოლინიო-გალიპოლი 2:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. BBVA ლიგა. XXI ტური

# რას ელოდება ენრიკე სერესო?

## ხავიერ აგირეს შუბლის ძარღვი გაუწყდა და გადადგომას არ აპირებს, მაგრამ პრეზიდენტი რისთვისაა?



„მალაგა" ბილბაოში გამარჯვების იმედით ჩავიდა, მაგრამ ანდალუსიელები ბასკი ლომების ლუკმა გახდნენ. „ბილბაომ" ალესილი ბრჭყალებით სტუმრები ნაკუწებად აქცია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ბილბაოსა" და „მალაგის" დაპირისპირება ერთ-ერთი საუკეთესო იყო მიმდინარე სეზონში. ამ შეხვედრაში თითქმის ყველაფერი ვნახეთ, ლამაზი შეტევები, თავგანწირული თამაში, დრამატიზმი, მრავალი გოლი და **სუსაეტას** გადამწყვეტი თავური გოლი. „სან მამესზე" მოპოვებული მორიგი სამი ქულის წყალობით ბასკებმა უეფას თასის საგზურის მოპოვების შანსი გაიუმჯობესეს. შაბათს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ „ბილბაო" უბრძოლველად არავის არაფერს დაუთმობს. გაიხსენეთ, „ვალენსიასთან" მატჩი, **ხოაკინ კაპაროსის** ბიჭებმა მაშინაც წაგებული თამაში შემოატრიალეს და საამაყო გამარჯვება მოიპოვეს. როცა გუნდი იგებს, როგორც წესი, მთელი შემადგენლობის დამსახურებაზე საუბრობენ ხოლმე. ამჯერადაც ასე იყო, მასპინძლებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს და საერთო ძალისხმევით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს, თუმცა არ შეიძლება **ლორენტეს** განსაკუთრებული ღვაწლი არ გამოვყოთ. ბასკმა ფორვარდმა კიდევ ერთი არაჩვეულებრივი შეხვედრა ჩაატარა. თამამად ვიტყვით, რომ „ბილბაოს" ცენტრფორვარდი ბასკური კლუბის ახალ, სასიქადულო ისტორიას ქმნის. ყოველ შემთხვევაში, წლების შემდეგ ბევრს ეცოდინება, რომ „ბილბაოს" არაჩვეულებრივი 9 ნომერი ჰყავდა.

„მალაგამ" შეხვედრის მოსაგებად, ფაქტობრივად, ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ანდალუსიელთა ყველა მცდელობა ფუჭი და წარუმატებელი აღმოჩნდა. სტუმრები ორჯერ იგებდნენ, თუმცა ბასკებმა ჰანდიკაპი ორივეჯერ ამოქაჩეს და ბოლოს გამარჯვების ბურთიც შეაგდეს. ყველა გოლის დეტალურად აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანს. ჯობია, მოკლედ მოგახსენოთ, რომ მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ერთ შეხვედრაში ხუთი გოლი, რა თქმა უნდა, ცოტა არ არის, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა, იმ საღამოს ბევრად მეტი ბურთი გასულიყო.

სორიაში **რაულისა** და **რობენის** თავგადასავლების ახალი თავი დაიწერა. მადრიდელმა ვარსკვლავებმა ლიგის დებიუტანტებს წარმატების მინიმალური შანსიც არ დაუტოვეს. სამეფო კლუბის კაპიტანმა „ნუმანსიასთან" მატჩში ისტორიულ წარმატებას მიაღწია. ის ლეგენდარულ **ალფრედო დი სტეფანოსთან** ერთად მადრიდის „რეალის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამ ორ გენიალურ ფეხბურთელს თეთრი მაისურით 307 გოლი აქვთ გატანილი. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ დონ ალფრედოს მეორე საფეხურზე გადანაცვლება ძალიან მალე მოუწევს. ამისათვის გონსალეს ბლანკომ კარიერის დასრულებამდე მხოლოდ ერთი გოლი უნდა გაიტანოს. ბუნებრივია, ესპანური გრანდის კაპიტანი ფეხბურთიდან წასვლამდე კიდევ არაერთ ბურთს შეაგდებს და მომავალი თაობების ფეხბურთელებისთვის მისაბაძი ადამიანი გახდება. უდავოა, რაულის რეკორდის გაუმჯობესებას ისევ რამდენიმე ათწლეული დასჭირდება. დი სტეფანოს მხოლოდ იმით შეუძლია ინუგეშოს თავი, რომ 307 გოლი ბევრად უფრო ცოტა შეხვედრაში გაიტანა. ლეგენდარულმა არგენტინელმა პრიმერა დივიზიონში 282 შეხვედრა ჩაატარა და 216 ბურთი შეაგდო. რაულს კი 214 გოლის დასაგროვებლად 503 პრიმერადივიზიონური დაპირისპირების გამართვა დასჭირდა. დი სტეფანომ ევროპულ ასპარეზზე 58-ჯერ იასპარეზა და მოწინააღმდეგეთა კარი 49-ჯერ დალაშქრა. გონსალეს ბლანკოს მონაცემები კი ასეთია: 123 მატჩი და 64 გოლი. სხვათა შორის, დი სტეფანოს ესპანეთის სამეფო თასზე უფრო მეტი ორთაბრძოლა აქვს გამართული, 57 შეხვედრაში 29 გოლი. იგივე ტურნირზე სამეფო კლუბის ამჟამინდელი კაპიტნის მონაგარი 35 მატჩში 18 გოლია.

უშუალოდ ამ მატჩის სხვა დეტალებს რაც შეეხება, მოგახსენებთ, რომ რაულმა ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა. **ხუან პაბლომ იგუაინის** დარტყმა უხეიროდ მოიგერია, გონსალეს ბლანკომ ამით არაჩვეულებრივად ისარგებლა და დამატებაზე მეკარეს შანსი არ დაუტოვა. მალე მოვლენათა ეპიცენტრში არიენ რობენი მოექცა. ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა ჩვეული დრიბლინგით ორი მცველი დაიბრიყვა და დაუცველ კუთხეში გაიტანა.

როცა **ლეო მესი** მოედანზეა, სიურპრიზი იშვიათად ხდება. „რასინგი" „ბარსელონისთვის" უაღრესად უხერხულ მეტოქედ იქცა. გემახსოვრებათ, პირველი წრის მეორე ტურში კატალონიელებმა „კამპ ნოუზე" ამაზრზენად ითამაშეს და კანტაბრიელებთან მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლეს. მეორე წრეში „ბარსა" არანაკლებ წინააღმდეგობას წააწყდა. მასპინძლები გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ მესი ისეთი ფეხბურთელია, რომ მისგან აბსოლუტურად ყველაფერი მოსალოდნელია. წრფელი სინდისით შეიძლება ითქვას, რომ არგენტინელმა ფორვარდმა „ბარსელონა" სეზონში რიგით მეორე მარცხისგან იხსნა. როგორც ჩანს, პეპ გვარდიოლა სანტანდერელებისგან განსაკუთრებულ წინააღმდეგობას არ ელოდა და ლეო სათადარიგოთა სკამზე დასვა. მოვლენები კი იმგვარად განვითარდა, რომ სამხრეთამერიკელის მოედანზე გაყვანა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა. მესიმ მწვრთნელს იმედი არ გაუცრუა. 65-ე წუთზე დამატებაზე იყოჩალა და წონასწორობა აღადგინა. 81-ე წუთზე კი არაჩვეულებრივი ეპიზოდი შემოგვთავაზა. მარცხნიდან ჩამოწოდებული ბურთი, მან მკერდით მიიღო და ურთულესი დარტყმით **ტონინოს** შორეულ კუთხეში გაუტანა. ასეთი გოლი მხოლოდ მაღალი დონის ფორვარდმა თუ შეიძლება გაიტანოს. მესი მართლა გენიოსია! შეამჩნევდით, შეხვედრის არბიტრმა ფერნანდეს ბორბალანმა კატალონიელებს ორი კაცი გაუგდო, **მარკესი** და **პიკე** ცენტრალური მცველები არიან. კიდევ კარგი, რომ მათი გაძევებიდან მცირე ხანში საფინალო სასტვენი გაისმა, თორემ „რასინგს" დრო რომ ჰქონოდა, კატალონიელები შინ სამი ქულით ნამდვილად ვერ დაბრუნდებოდნენ.

ცრუმორწმუნე კაცი იტყოდა, რომ „ატლეტიკოს" ჯადო აქვს. ჯადოქრობაზე საუბარი, რა თქმა უნდა, აბსურდია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ **ხავიერ აგირემ** კონტროლი დაკარგა და მისი გუნდში დარჩენა „ატლეტიკოსთვის" მომაკვდინებელ საფრთხეს შეიცავს. დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ საკვირაო შეხვედრაში „ვალიადოლიდმა" „როხიბლანკო" პირწმინდად დაჩაგრა. კასტილიელებს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, მასპინძლებს გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხებდნენ. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ხავიერ აგირემ რიხიანად განაცხადა, თანამდებობიდან გადადგომას არ ვაპირებო. სხვათა შორის, ჟურნალისტებს მექსიკელ სპეციალისტთან შესახვედრად დიდ ხანს მოუხდათ ლოდინი. საქმე ის არის, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ გუნდის გასახდელში **ენრიკე სერესო** ჩავიდა და ცოფები ყარა. თუ აგირეს დავუჯერებთ, პრეზიდენტს მის შესაძლო გადაყენებაზე სიტყვაც არ დაუძრავს. სენიორ ხავიერმა დასძინა, ხვალ დილით გუნდის ბაზაზე მივალ და ჩვეულებრივად ვიმუშავებო. გაუგებარია, ეს კაცი ასე მშვიდად როგორ საუბრობს, ის დროა, ორი აგური ეჭიროს ხელში და თავში ირახუნებდეს. ასევე გაუგებარია, სერესო რას ელოდება და მწვრთნელს რატომ არ ათავისუფლებს. აგირეს „ატლეტიკოსთან" კონტრაქტი მიმდინარე წლის 30 ივნისამდე აქვს გაფორმებული. მისი გათავისუფლების შემთხვევაში, მადრიდელებს მხოლოდ ნახევარი წლის ხელფასის გადახდა მოუწევთ. ნუთუ სერესო ისე გაწუწკდა, რომ ამ თანხის გამო გუნდს თავგზააბნეული მწვრთნელისგან არ ათავისუფლებს?

ტურის სხვა რამდენიმე შეხვედრაზე ძალიან მოკლედ მოგახსენებთ. „ვილიარეალს" უმწვავესი კრიზისი ხანა დაუდგა. **მანუელ პელეგრინის** ბიჭებმა საშინლად ითამაშეს. „დეპორმა" კი პირიქით, სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. **დიეგო ლოპესის** დამაჯერებელი თამაში რომ არა, მასპინძლები გამანადგურებელი ანგარიშით მოიგებდნენ. „ოსასუნამ" სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მატჩი მოიგო. **ხოსე ანტონიო კამაჩო** შეხვედრის წინ აცხადებდა, ბალეარელებს სამი ქულა რომ ვერ ავართვათ, ფსიქიატრიულ კლინიკაში დასაწვენი გავხდებით. კიდევ კარგი, ამის აუცილებლობა არ არსებობს. „ესპანიოლს" არაჩვეულებრივი შანსი ჰქონდა იმისთვის, რომ სატურნირო მდგომარეობა გაეუმჯობესებინა, თუმცა კატალონიელებმა მორიგი უსახური მატჩი ჩაატარეს და „რეკრეატივოსთან" მატჩი ორი ქულის დაკარგვით მოუგებელი მკრეხელობა ჩაიდინეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

7 თებერვალი. **რეალი-რასინგი, სევილია-ბეტისი.** 8 თებერვალი. **ბარსელონა-სპორტინგი, ვალიადოლიდი-ბილბაო, ხეტაფე-ესპანიოლი, მალიორკა-დეპორტივო, ოსასუნა-ვალენსია, ვილიარეალი-ნუმანსია, მალაგა-ალმერია, რეკრეატივო-ატლეტიკო.**

### ბილბაო-მალაგა 3:2

**ბილბაო:** ირაიზოზი, ირაოლა, უსტარიტსი, ამორებიეტა, კოიკილი, დავიდ ლოპესი (68. სუსაეტა), ორბაიზი, ხავი მარტინესი (68. გაბილონდო), იესტე, იონ ველესი (46. ტოკერო), ფ. ლორენტე.

**მალაგა:** გოიტია, გომესი, ელდერ როსარიო (87. ფერნანდო), ველიგტონი, კალეხა, ნაჩო, ლოლო, დუდა (84. ხოსე ლუკე), ბაა, აპონო, ალბერტ ლუკე (75. ადრიანო).

**გოლები:** 0:1 ალბერტ ლუკე (2), 1:1 იესტე (37), 1:2 ლოლო (63), 2:2 ფ. ლორენტე (71), 3:2 სუსაეტა (86)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 21(6)-16(4); **კუთხური:** 3-2; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 13-20; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 37 000

### ნუმანსია-რეალი 0:2

**ნუმანსია:** ხუან პაბლო, ხუანრა, ბორისი, სერხიო ორტეგა, სისმა, დელ პინო (63. კერო), ნაგორე, დიმაში (79. მარიო), ბარკერო, ბრიტი (53. არანდა), გოირია.

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო, ჰაინცე, სნეიდერი, გაგო, ლ. დიარა, რობენი (65. ვან დერ ვაარტი), რაული (83. ხავი გარსია), იგუაინი (75. ჰუნტელაარი).

**გოლები:** 0:1 რაული (48), 0:2 რობენი (56)

**გაძევება:** გაგო (78. რეალი)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 13(3)-13(5); **კუთხური:** 6-2; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 17-14; **ბურთის ფლობა:** 43%-58%

**მაყურებელი:** 9 200

### ოსასუნა-მალიორკა 1:0

**ოსასუნა:** რობერტო, ხოსეტო, მიგელ ფლანო, ნაჩო მონრეალი, ასპილიკუეტა, ნეკუნამი, პუნიალი, პლასილი (67. დელპორტე), ხუანფრანი, პანდიანი (89. იდალგო), შოჯაეი (83. დადო).

**მალიორკა:** ავაზე, დავიდ ნავარო, ნუნიესი, ენრიკე კორალესი, სკალონი, კლებერ სანტანა (81. ლუქსი), ლუის მარტი, ადურისი, ხურადო, არანგო (70. ვებო), სუარესი (64. ხოსემი).

**გოლები:** 1:0 პანდიანი (3)

*76-ე წუთზე პუნიალმა ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაძევება:** დავიდ ნავარო (60. მალიორკა), ავაზე (79. მალიორკა), ნეკუნამი (87. ოსასუნა)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 9(3)-13(2); **კუთხური:** 9-8; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 20-24; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 20 000

### ესპანიოლი-რეკრეატივო 1:1

**ესპანიოლი:** კამენი, პარეხა, ხარკე, ბერანჟე, ტორესი, რომანი (59. ანხელი), ლოლა, ლუის გარსია, კორო (90. დე ლა პენია), ნენე, კალეხონი (73. რუფეტე).

**რეკრეატივო:** რიესგო, არზო, მორისი, კასადო, ნეფი, ტორნავაკა (38. მაიდანა), ზაიარი, ბარბერი, სისი (74. მარკო რუბენი), კამუნიასი, კოლუნგა (82. ხავი გერერო).

**გოლები:** 1:0 პარეხა (63), 1:1 მარკო რუბენი (90-პენ)

**გაძევება:** კამენი (90. ესპანიოლი)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 10(5)-14(5); **კუთხური:** 6-8; **თამაშგარე:** 3-5; **ჯარიმა:** 16-18; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 22 000

### დეპორტივო-ვილიარეალი 3:0

**დეპორტივო:** არაბზუბია, ზე კასტრო, ლოპო, კაზმირსკი, მანუელ პაბლო, ანტონიო ტომასი, დე გუზმანი, ვერდუ, ვალერონი (77. როდრიგესი), რიკი (84. ნუნო), ლაფიტა (88. პაბლო ალვარესი).

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, გოდინი, ფუენტესი, კაპდევილა, ხავი ვენტა, მარკოს სენა, ეგურენი, სანტი კასორლა, პირესი (67. ეგურენი), ხ. ლორენტე, ფრანკო (46. იბაგასა).

**გოლები:** 1:0 ლაფიტა (2), 2:0 ლაფიტა (62), 3:0 რიკი (68)

*74-ე წუთზე მარკოს სენამ პენალტი ვერ გამოიყენა*

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 17(12)-10(4); **კუთხური:** 5-4; **თამაშგარე:** 7-2; **ჯარიმა:** 20-16; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 24 000

### ატლეტიკო-ვალიადოლიდი 1:2

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, ჰეიტინგა, პაბლო იბანიესი, პერეა, პერეა, რაულ გარსია (61. ბანეგა), პაულო ასუნსაო, სიმაო (37. სინამა პონგოლე), მაქსი როდრიგესი, ფორლანი, აგუერო.

**ვალიადოლიდი:** ვილიარი, გარსია კალვო, ლუის პრიეტო, ოსკარ სანჩესი (9. ნანი), პედრო ლოპესი, ბორხა, რუბიო, გოიტომი, კანობიო (60. ვიქტორი), სესმა, პედრო ლეონი (90. ვივარ დორადო).

**გოლები:** 0:1 ლუის პრიეტო (50), 1:1 გარსია კალვო (54-საკ. კარში), 1:2 ვიქტორი (78-პენ)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 10(2)-12(2); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 2-6; **ჯარიმა:** 16-11; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 15 000

### რასინგი-ბარსელონა 1:2

**რასინგი:** ტონიო, ორიოლი, სესარი (90. ლუქსენი), ივან მარკანო, ვალერა, მეჰდი რასენი, გონსალო კოლსა, მორალი (61. სერანო), მუნიტისი, ხონათანი (58. ჩიქე), ჩიტე.

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, პიკე, მარკესი, აბიდალი, დანიელ ალვესი, იაია ტურე, ბუსკეტსი (59. მესი), ჩავი, ანრი, ეტო'ო (86. გუდიონსენი), ინიესტა (90. კასერესი).

**გოლები:** 1:0 ჩიტე (56-პენ), 1:1 მესი (65), 1:2 მესი (80)

**გაძევება:** მარკესი (88. ბარსელონა), პიკე (90. ბარსელონა)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 7(4)-8(2); **კუთხური:** 2-3; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 21-12; **ბურთის ფლობა:** 29%-71%

**მაყურებელი:** 22 000

### ბეტისი-ხეტაფე 2:2

**ბეტისი:** რიკარდო, ხუანიტო, არზუ (70. რივერა), მონსონი, დამია, ხუანდე, მეჰმეთ აურელიო, სერხიო გარსია, ემანა (80. ილიჩი), მარკ გონსალესი (58. დავიდ რივასი), ხუანმა.

**ხეტაფე:** ხაკობო, იბრაჰიმ ქაში, დანიელ დიასი, პოლანსკი, ლიჩტი, რაფა ლოპესი (46. კონტრა), კასკერო, გრანერო, [illegible] გონსალესი (46. ალბინი), სოლდადო, უჩე.

**გოლები:** 1:0 ხუანმა (8), 2:0 მარკ გონსალესი (10), 2:1 უჩე (64), 2:2 უჩე (71)

*79-ე წუთზე სოლდადომ პენალტი ვერ გამოიყენა*

**გაძევება:** ხუანდე (33. ბეტისი)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 6(2)-26(10); **კუთხური:** 2-15; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 18-12; **ბურთის ფლობა:** 34%-66%

**მაყურებელი:** 20 000

### ვალენსია-ალმერია 3:2

**ვალენსია:** სესარი, მარჩენა, მადურო (87. ალბელდა), მორეტი, მიგელი, ბარახა (81. ედუ), მანუელ ფერნანდეში, ვილია, სილვა, მატა, ხოაკინი (69. ანგულო).

**ალმერია:** დიეგო ალვესი, პელერანო, ბადიასი, მანე, ბრუნო, ირინეი, სორიანო (68. კორონა), კრუსატი, ხუან ორტისი (83. პიატი), ნეგრედო, უჩე.

**გოლები:** 1:0 ხოაკინი (6), 1:1 ნეგრედო (22), 2:1 ვილია (30-პენ), 3:1 ვილია (61), 3:2 ნეგრედო (64)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 9(5)-12(5); **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 3-5; **ჯარიმა:** 23-17; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 18 000

### სპორტინგი-სევილია 1:0

**სპორტინგი:** ლაფუენტე, სოტო, ხერარდი, კანელა, სასტრე, მიჩელი, დიეგო კამაჩო, ბილიჩი (63. დავიდ ბარალი), კარმელო (84. მატაბუენა), დიეგო კასტრო, მალდონადო (35. კამარა).

**სევილია:** პალოპი, ესკუდე, დავიდ პრიეტო, დრაგუტინოვიჩი, კრესპო, დუშერი (68. რენატო), ფასიო, ჩევანტონი (58. აკოსტა), რომარიკი (46. კანუტე), დიეგო კაპელი, ხესუს ნავასი.

**გოლი:** 1:0 დიეგო კასტრო (17)

*მე-6 წუთზე ბილიჩმა ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაძევება:** კანელა (28. სპორტინგი)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 13(4)-15(9); **კუთხური:** 3-7; **თამაშგარე:** 4-0; **ჯარიმა:** 21-16; **ბურთის ფლობა:** 35%-65%

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 18 | 2 | 1 | 65-15 | 56 |
| 2. რეალი | 21 | 14 | 2 | 5 | 44-27 | 44 |
| 3. სევილია | 21 | 11 | 5 | 5 | 28-19 | 38 |
| 4. ვალენსია | 21 | 11 | 4 | 6 | 42-32 | 37 |
| 5. ვილიარეალი | 21 | 9 | 7 | 5 | 33-29 | 34 |
| 6. დეპორტივო | 21 | 10 | 3 | 8 | 26-28 | 33 |
| 7. ატლეტიკო | 21 | 9 | 5 | 7 | 44-33 | 32 |
| 8. მალაგა | 21 | 9 | 5 | 7 | 34-31 | 32 |
| 9. ბილბაო | 21 | 8 | 5 | 8 | 31-33 | 29 |
| 10. რასინგი | 21 | 7 | 7 | 7 | 24-25 | 28 |
| 11. ვალიადოლიდი | 21 | 8 | 3 | 10 | 30-32 | 27 |
| 12. სპორტინგი | 21 | 9 | 0 | 12 | 28-44 | 27 |
| 13. ხეტაფე | 21 | 6 | 7 | 8 | 31-33 | 25 |
| 14. ალმერია | 21 | 6 | 6 | 9 | 24-32 | 24 |
| 15. რეკრეატივო | 21 | 6 | 6 | 9 | 19-29 | 24 |
| 16. ბეტისი | 21 | 6 | 4 | 11 | 27-29 | 22 |
| 17. ნუმანსია | 21 | 6 | 2 | 13 | 25-43 | 20 |
| 18. ოსასუნა | 21 | 3 | 8 | 10 | 22-30 | 17 |
| 19. ესპანიოლი | 21 | 3 | 8 | 10 | 19-34 | 17 |
| 20. მალიორკა | 21 | 4 | 5 | 12 | 21-39 | 17 |

**ბომბარდირები:** 19 - ეტო'ო (ბარსელონა); 17 - ვილია (ვალენსია); 16 - მესი (ბარსელონა); 12 - ფორლანი (ატლეტიკო), იგუაინი (რეალი), ანრი (ბარსელონა); 10 - ნეგრედო (ალმერია); 9 - აგუერო (ატლეტიკო), ფ. ლორენტე (ბილბაო), რაული (რეალი), როსი (ვილიარეალი).

### II დივიზიონი

#### XXII ტური

**კასტელონი-უესკა** 1:1

გოლები: 1:0 ულოა (2), 1:1 მედინა (90)

**ხირონა-სელტა** 2:2

გოლები: 0:1 დინეი (52), 1:1 ალვარესი (67), 2:1 იგორი (70), 2:2 გილასი (77)

**ერკულესი-კორდობა** 1:0

გოლი: 1:0 ნავარო (80-პენ)

**ლას პალმასი-სოსიედადი** 0:1

გოლი: 0:1 აბრეუ (14-პენ)

**მურსია-ვალეკანო** 0:1

გოლი: 0:1 პაჩონი (15)

**სევილია II-ალბასეტე** 1:1

გოლები: 0:1 ტოჩე (32-პენ), 1:1 მოისესი (33)

**ალავესი-სალამანკა** 1:1

გოლები: 0:1 მიკუ (75), 1:1 გარსია (90)

**ეიბარი-ელჩე** 1:2

გოლები: 1:0 სუბილი (41), 1:1 მიგელი (57), 1:2 ბოლადო (84)

**ხიმნასტიკი-ტენერიფე** 0:1

გოლი: 0:1 ანხელი (63)

**ხერესი-ალიკანტე** 2:0

გოლები: 1:0 მომო (75-პენ), 2:0 სარმიენტო (88)

**სარაგოსა-ლევანტე** 2:1

გოლები: 1:0 ევერტონი (26), 1:1 გეიხო (42), 2:1 არისმენდი (76)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხერესი | 22 | 11 | 7 | 4 | 39-22 | 40 |
| 2. ტენერიფე | 22 | 11 | 4 | 7 | 39-32 | 37 |
| 3. ერკულესი | 22 | 9 | 9 | 4 | 32-19 | 36 |
| 4. სარაგოსა | 22 | 10 | 6 | 6 | 37-25 | 36 |
| 5. სოსიედადი | 22 | 8 | 11 | 3 | 22-15 | 35 |
| 6. სალამანკა | 22 | 9 | 7 | 6 | 29-24 | 34 |
| 7. ვალეკანო | 22 | 8 | 10 | 4 | 27-23 | 34 |
| 8. კასტელონი | 22 | 8 | 10 | 4 | 31-23 | 34 |
| 9. სელტა | 22 | 8 | 8 | 6 | 25-23 | 32 |
| 10. ხირონა | 22 | 8 | 8 | 6 | 23-23 | 32 |
| 11. ლევანტე | 22 | 9 | 5 | 8 | 29-30 | 32 |
| 12. უესკა | 22 | 7 | 9 | 6 | 29-26 | 30 |
| 13. ელჩე | 22 | 7 | 8 | 7 | 26-24 | 29 |
| 14. მურსია | 22 | 8 | 4 | 10 | 22-28 | 28 |
| 15. ალბასეტე | 22 | 7 | 7 | 8 | 24-29 | 28 |
| 16. ხიმნასტიკი | 21 | 6 | 9 | 6 | 31-26 | 27 |
| 17. ლას პალმასი | 22 | 6 | 9 | 7 | 27-23 | 27 |
| 18. ალავესი | 22 | 6 | 6 | 10 | 23-35 | 24 |
| 19. ეიბარი | 21 | 5 | 6 | 10 | 15-28 | 21 |
| 20. კორდობა | 22 | 5 | 6 | 11 | 18-28 | 21 |
| 21. ალიკანტე | 22 | 3 | 6 | 13 | 17-37 | 15 |
| 22. სევილია B | 22 | 1 | 7 | 14 | 14-36 | 10 |

გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტური

# ულის დიტერმაც გაასწრო!

## ჰოფენჰაიმი ლიდერად რჩება, შალკე და ვერდერი სულს ღაფავენ




ჰოფენჰაიმის თავდასხმის ახალი, წარმატებული დუეტი: დემბა ბა (მარცხნივ) და ბუბაკარ სანოგო. სოფლელები კოტბუსის დამარცხებას ზეიმობენ

როდესაც ბუნდესლიგის პირველი წრე დამთავრდა, „ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** თქვა, მართალია, „ჰოფენჰაიმს" ჩამოვრჩით, მაგრამ მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდების გამო და თამამად ვიტყვი, რომ თავს შემოდგომის ჩემპიონად ვგრძნობო. კარგია, რომ გრძნობდა, მაგრამ გრძნობები ხშირად იტყუება. დღეს, რეკორდმაისტერის ენაჭარტალა ბოსს ხმა აღარ ამოელება - ული მეორე წრის პირველი ტურის ნომერ პირველი „ნაგებულია"! ჯერ ერთი, „ბაიერნი" „ჰამბურგთან" დამარცხდა და რაკი „ჰოფენჰაიმმა" მოიგო, სამი ქულით ჩამორჩა და ესეც არ იყოს, პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ულის მისმა უფროსმა ძმამ, **დიტერმაც** გაასწრო თავისი „ჰერტათი". რასაც ული პირველი წრის ბოლოს გრძნობდა, მაშინაც ძალიან ცოტას აინტერესებდა და დღეს ხომ მით უმეტეს აღარავის აინტერესებს. ფაქტი ის არის, რომ „ვერცხლის სინისთვის" შემდეგი ოთხეული იბრძვის: „ჰოფენჰაიმი", „ჰერტა" (!), „ჰამბურგი" და მხოლოდ ამ სამეულის შემდეგ „ბაიერნი".

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გრძნობებმა მხოლოდ ული ჰიონესს როდი უღალატა. შაბათს „შალკეს" მთავარი მწვრთნელი **ფრედ რუტენი** ჰანოვერში თავს, შესაძლოა, გამარჯვებულად გრძნობდა, რადგან გელზენკირხენელებს ცუდად ნამდვილად არ უთამაშიათ. **ლევან კობიაშვილმა** და მისმა თანაგუნდელებმა „წითლების" კართან უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს და წესით, როცა გუნდი ამდენ მომენტს ქმნის, არ უნდა წააგოს! როგორც ჩანს, ასეთ დროს მხოლოდ ის გუნდები მარცხდებიან, რომლებსაც თავდასხმაში **ჯეფერსონ ფარფანი** და **ჯერალდ ასამოა** ჰყავთ. ამ „თავდამსხმელებმა" ისეთი მომენტები ანიავეს, „ჭ" კლასის ფორვარდს „შეშურებოდა". ფაქტი კი ის არის, რომ დღევანდელი „შალკე" გერმანიაშიც კი საშუალო დონის გუნდია.

წესით და რიგით, ბუნდესლიგაში საკუთარ მოედანზე ყველაზე მაგრად დორტმუნდის „ბორუსია" უნდა თამაშობდეს. ამ გუნდის საშინაო მატჩებს ყოველთვის 70 000-ზე მეტი ფანი ესწრება. მაგრამ ნახეთ: 10 საშინაო მატჩიდან **იურგენ კლოპის** გუნდმა 7 ფრედ დაასრულა! ვესტფალიელებმა შინ შაბათსაც ვერ მოიგეს: „ლევერკუზენს" დაუზავდნენ - 1:1. და თუკი „ბორუსია" მე-18 ტურის შემდეგ მაინც მეექვსე ადგილზეა, ეს მხოლოდ სტუმრად მოგებული მატჩების დამსახურებაა. სამაგიეროდ, გრძნობები ნამდვილად არ ატყუებს მიონხენგლადბახის „ბორუსიის" ფანებს, რომლებიც უკვე ეგუებიან იმას, რომ მათი საყვარელი გუნდი გაისად მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებს: „გლადბახი" „შტუტგარტში" დამარცხდა, 18 ტურის შემდეგ ოდენ 11 ქულა აქვს...

ვინც „ჰამბურგი" საჩემპიონო რბოლიდან ჩამოწერა, სასტიკად შეცდა. **მარტინ იოლის** შეგირდებმა ეს პარასკევს არც მეტი, არც ნაკლები, „ბაიერნთან" მატჩში დაამტკიცეს. ჩრდილოელებმა პირველ ტაიმში მრისხანე მეტოქეს არაფერი გააბედინეს და შეხვედრის ერთადერთი გოლიც პირველი ნახევრის მიწურულს გავიდა, რომლის ავტორიც **მლადენ პეტრიჩია**, რომელიც თუ ასე გააგრძელებს, ჰამბურგში მალე **უვე ზეელერის** გვერდით ძეგლს დაუდგამენ. მეორე ტაიმში „ბაიერნმა" უფრო მონდომა და მასირებული შეტევებიც განახორციელა. ჯერ **ლუკა ტონის**, შემდეგ კი **მიროსლავ კლოზეს** შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. არადა, ორივეს ჩინებული მომენტები ჰქონდა. **იურგენ კლინსმანმა** მატჩის მიწურულს თამაშში მის მიერ „უკეთეს **ლუკას პოდოლსკიდ**" წოდებული **ლენდონ დონოვანიც** ჩართო, მაგრამ ცვლილებას შედეგი არ გამოუღია. მიუხედავად ამისა, ჰიონესი კვირას მაინც თავისას „აწვებოდა" - ბოლოს მაინც ჩვენ ვიქნებით პირველებიო. ვნახოთ! ფაქტი ისაა, რომ დღეს ულის დიტერიც კი უსწრებს თავისი „ჰერტათი"... ეს კი, დიახაც რომ ორჯერ და ათჯერაც ალსანიშნავი მოვლენაა.

„ჰოფენჰაიმმა" თავის ახალაშენებულ „რაინ-ნეკარ-არენაზე", რომელიც ზინსჰაიმში (ჰოფენჰაიმიდან 30 კილომეტრში) მდებარეობს, პირველი თამაში ჩაატარა და მოიგო! მართალია, **რალფ რანგნიკის** შეგირდებს ისეთი ფანტასტიკური ფეხბურთი აღარ უთამაშიათ, როგორსაც პირველ წრეში თამაშობდნენ, მაგრამ მთავარი შედეგია და „ჰოფეს" შედეგი ჰქონდა. 2:0 „კოტბუსთან" და რაც ყველაზე საინტერესოა, ერთი გოლი ახალწვეულმა **ბუბაკარ სანოგომ** გაიტანა, რომელიც „სოფლელებმა" „ვერდერიდან" გადაიბირეს (ბრემენში სათადარიგოთა სკამს ხეხავდა) ტრავმირებული **ვედად იბიშევიჩის** შემცვლელად. არა გვგონია, სანოგოც ისეთი შედეგიანი იყოს, როგორიც „ვედო" იყო პირველ წრეში (18 გოლი 17 თამაშში), მაგრამ ფაქტი ის არის, რომ აყლაყუდა კოტ დ'ივუარელმა თავდამსხმელმა კარგად დაიწყო, რასაც ვერ ვიტყვით „ჰოფეს" მეორე ახალწვეულზე, მეკარე **ტიმო ჰილდებრანდზე**. ბუნდესლიგაში დაბრუნებულ კიპერს ცუდად არ უთამაშია, მაგრამ ისეთი ტრავმა მიიღო, რომ შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ველარ იასპარეზოს. „კოტბუსის" ფეხბურთელები ჩივიან, დარტყმამდე სანოგომ მცველს ხელი ჰკრაო და სიმართლე ითქვას, გამეორებაზეც ჩანს, რომ ჯარიმა იყო, მაგრამ „ჰოფენჰაიმელებს" ეს არ აინტერესებთ. რანგნიკი ბედნიერი გახლდათ იმით, რომ მის მიერ შერჩეულმა და რაც მთავარია, ძალიან იაფმა (1.2 მილიონი ევრო) თავდამსხმელმა პირველ ტურში იმედები გაამართლა.

რა ემველება „ვერდერს"? „მუსიკოსებმა" პირველი წრე ხომ კატასტროფულად ჩაატარეს და მეორეც, რბილად რომ ვთქვათ, ამაზრზენად დაიწყეს: 1:2 ბილეფელდის „არმინიასთან" და ისიც საკუთარ მოედანზე. ბრემენული კლუბი მეათე ადგილზეა და „შალკესი" არ იყოს, „ვერდერშიც" მძიმე ვითარებაა. რუტენს უფრო მალე გააგდებენ თუ **შააფს**, საკითხავი, აი, ეს არის...

**გოტფრიდ ლენცი**




### მომდევნო ტური

6 თებერვალი. **არმინია-ჰერტა.** 7 თებერვალი. **შალკე-ვერდერი, კარლსრუე-ჰამბურგი, ლევერკუზენი-შტუტგარტი, ვოლფსბურგი-ბოხუმი, ბორუსია (მ)-ჰოფენჰაიმი, აინტრახტი-კიოლნი.** 8 თებერვალი. **კოტბუსი-ჰანოვერი, ბაიერნი-ბორუსია (დ).**

### ჰამბურგი-ბაიერნი 1:0

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-2, დემელი-2.5, ბ. რაინჰარდტი-4 (64. ჯ. ბოატენგი-3), მატიისენი-3, იანსენი-3, იაროლიმი-2, ბენჯამინი-3.5, პიტროიპა-3.5, ტროხოვსკი-2.5, გერერო-3, პეტრიჩი-2.5.

**ბაიერნი:** რენზინგი-4, ლელი-3 (65. ჰამით ალთინთოფი-3.5), ლუსიო-2.5, დემიკელისი-4, ლამი-2.5, ვან ბომელი-3, ზე რობერტო-4 (70. ბოროვსკი-3.5), შვაინშტაიგერი-3.5 (77. დონოვანი), რიბერი-4, კლოზე-4, ტონი-3.

**გოლი:** 1:0 პეტრიჩი (44).

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 15(7)-21(7); **ჯარიმა:** 23-14; **კუთხური:** 5-7; **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 57 000.

### ჰანოვერი-შალკე 1:0

**ჰანოვერი:** ენკე-2, ს. პინტუ-2.5, ეგიმანი-4.5, ფარენჰორსტი-4, რაუში-3.5, ბალიტში-3.5 (70. ბ. შულცი-3.5), კ. შულცი-3.5, როზენტალი-4, ჰუშტი-4 (84. ბრუგინკი), შტაინერი-4, ჰანკე-3.5 (80. ფორსელი).

**შალკე:** ნოიერი-2.5, რაფინია-3.5 (65. კრსტაიჩი-3.5), ჰიოვედესი-4, ბორდონი-3.5, ვესტერმანი-3, ფ. ერნსტი-3 (49. კურანი-3.5), რაკიტიჩი-4, კობიაშვილი-3.5, ფარფანი-3, ჰალილ ალთინთოფი-4, ასამოა-4.5.

**გოლი:** 1:0 პინტუ (8).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 9(5)-22(5); **ჯარიმა:** 19-18; **კუთხური:** 5-7; **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 45 667.

### კიოლნი-ვოლფსბურგი 1:1

**კიოლნი:** მონდრაგონი-3, ბრეჩკო-3, მაკენა-3.5, მოჰამადი-3.5, მატიპი-5, პეტიტი-3, პეცონი-3, იალჩინი-4 (69. ბროიხი-3.5), ერეთი-4.5 (76. ბოატენგი), რადუ-2.5, იშიაკუ-4.5.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-3.5, რიტერი-3.5, შიმუნეკი-5, ბარძალი-3, მ. შეფერი-4, ჟოსუე-3.5, ძაკარდო-4.5 (46. პეკარიკი-3.5), გენტნერი-3.5 (66. ოკუბო-3), მიშიმოვიჩი-4, გრაფიტე-2, ჯეკო-4.

**გოლები:** 1:0 რადუ (34), 1:1 გრაფიტე (73).

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 12(2)-13(5); **ჯარიმა:** 17-24; **კუთხური:** 5-14; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 49 000.

### ბორუსია (დ)-ლევერკუზენი 1:1

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-2.5, ოვომოიელა-3, სანტანა-3, სუბოტიჩი-3.5, ლი-4, ტინგა-3.5, კ. ბოატენგი-3.5, კრინგე-4, ნ. შაჰინი-4.5 (70. იოზთექინი-4), ფრაი-2.5, ზიდანი-5 (71. ვალდესი).

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-3, კასტრო-3.5, მ. ფრიდრიხი-3, ზინკევიჩი-5, კადლეცი-3, როლფესი-3.5, რენატო-3.5, ვიდალი-4.5, ბარნეტა-2.5, ჰელმესი-2.5, კისლინგი-3.

**გოლები:** 1:0 ფრაი (36), 1:1 ჰელმესი (63).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 7(4)-24(3); **ჯარიმა:** 22-21; **კუთხური:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 73 700.

### ჰერტა-აინტრახტი 2:1

**ჰერტა:** დრობნი-2.5, ფონ ბერგენი-4.5, ა. ფრიდრიხი-3, შიმუნიჩი-3.5, მ. შტაინი-4, ნიკუ-4, სისერო-4, ებერტი-3.5 (86. კუფრე), რაფაელი-4, პანტელიჩი-1 (84. დომოვჩიისკი), ვორონინი-3 (76. ბაბიჩი).

**აინტრახტი:** პრიოლი-3.5 (58. ციმერმანი-3.5), პ. ოხსი-3, რუსი-4, კრისი-4, პეტკოვიჩი-4, მ. ფინკი-3.5, შტაინჰიოფერი-4.5 (63. კვეუკე-3), კიოლერი-3, ა. მაიერი-3.5, ფენინი-3.5, ლიბეროპულოსი-4.

*33-ე წუთზე სისერომ (ჰერტა) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 1:0 პანტელიჩი (17), 2:0 პანტელიჩი (50), 2:1 კიოლერი (53).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 11(6)-17(6); **ჯარიმა:** 20-18; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 39 847.

### ჰოფენჰაიმი-კოტბუსი 2:0

**ჰოფენჰაიმი:** ჰილდებრანდი-3.5 (60. ჰაასი-3.5), ბეკი-3.5, იაისლე-2.5, კომპერი-4, იბერტსბერგერი-3.5, ლუის გუსტავო-3, ვაისი-4.5, სალიჰოვიჩი-3.5, ტებერი-3 (80. ფორსა), სანოგო-3 (88. ტერაცინო), ბა-2.

**კოტბუსი:** ტრემელი-2.5, რადელიჩი-4.5, კადასი-5, კვიტანოვიჩი-4.5, ციბიგი-4, რაინოხი-3.5, ს. ანგელოვი-4, ტ. როსტი-3.5, სკელა-4.5 (69. რანგელოვი-3.5), დ. სიორენსენი-5 (84. ილიევი), იულა-4.

**გოლები:** 1:0 ბა (28), 2:0 სანოგო (63).

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 21(6)-5(0); **ჯარიმა:** 23-18; **კუთხური:** 7-1; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 30 150.

### შტუტგარტი-ბორუსია (მ) 2:0

**შტუტგარტი:** ლემანი-3.5, ოსორიო-4, ტასკი-4.5, დელპიერი-3.5, მანინი-4, ხედირა-3, ჰიტცლშპერგერი-4.5 (63. ელსონი-3), ლანიგი-4, შიმაკი-4 (81. ჰილბერტი); მარიკა-3.5 (87. შიბერი), გომესი-3.5.

**ბორუსია (მ):** ბეილი-3.5, ბრაუერსი-4, გალაშეკი-3.5 (79. კოლაუტი), გოჰური-4.5, სტალტერი-3.5, დაემსი-4, ბრედლი-4, ჰაავეე-3.5 (70. ნოივილი-4), მატმური-4 (74. მარინი), ბაუმიოჰანი-3.5, ფრენდი-4.5.

**გოლები:** 1:0 მარიკა (67), 2:0 გომესი (86).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 14(9)-10(1); **ჯარიმა:** 20-24; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 41 300.

### ბოხუმი-კარლსრუე 2:0

**ბოხუმი:** ფერნანდესი-2, [illegible]-3.5, მალტრიტცი-4, იაია-3, კ. ფუხსი-3, იმჰოფი-3, აზაუაგი-4, დაბროვსკი-4.5 (88. გროტე), ეპალე-3.5 (77. ონო), კლიმოვიჩი-1.5, შესტაკი-2.5 (87. ჰაშემიანი).

**კარლსრუე:** მ. მილერი-3.5, ა. გიორლიტცი-5 (69. ა. და სილვა-4), დრპიჩი-4, სებასტიანი-4.5, ჩელოცი-5, ენგელჰარდტი-3, მუტცელი-4, შტინდლი-4.5, ფედერიკო-4, ფრაისი-3.5 (76. კაპლანი), ტიმი-5.

**გოლები:** 1:0 კ. ფუხსი (26), 2:0 კლიმოვიჩი (65).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 11(6)-16(3); **ჯარიმა:** 25-27; **კუთხური:** 2-8; **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 20 148.

### ვერდერი-არმინია 1:2

**ვერდერი:** ვიზე-4, კ. ფრიტცი-4.5, მერტეზაკერი-4, ნიმაიერი-4.5, ტოშიჩი-5 (72. ბიონიში), ფრინგსი-4, ციოლისი-4.5, ვრანიეში-5.5 (46. დ. იენსენი-4), იოზილი-5, როზენბერგი-5 (62. ჰარნიკი-4), უგო ალმეიდა-3.5.

**არმინია:** აილჰოფი-2.5, ლამეი-4, მიატოვიჩი-3, ბოლმანი-2.5, კუჩერა-3.5, კაუფი-3, ტ. მარქსი-3, კირხი-3 (81. ტეშე), მუნტეანუ-4 (67. ჰალფარი-3), კატონგო-3.5, ვიხნიარეკი-2 (90. კამპერი).

**გოლები:**1.0:1 ტ. მარქსი (44), 1:1 უგო ალმეიდა (44), 1:2 ვიხნიარეკი (49).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 20(5)-5(2); **ჯარიმა:** 15-13; **კუთხური:** 14-1; **ბურთის ფლობა:** 73%-27%.

**მაყურებელი:** 38 522.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 18 | 12 | 2 | 4 | 44-23 | 38 |
| 2. ჰერტა | 18 | 11 | 3 | 4 | 29-21 | 36 |
| 3. ჰამბურგი | 18 | 11 | 3 | 4 | 27-24 | 36 |
| 4. ბაიერნი | 18 | 10 | 5 | 3 | 39-25 | 35 |
| 5. ლევერკუზენი | 18 | 10 | 3 | 5 | 37-22 | 33 |
| 6. ბორუსია (დ) | 18 | 7 | 9 | 2 | 28-20 | 30 |
| 7. შტუტგარტი | 18 | 8 | 4 | 6 | 28-23 | 28 |
| 8. ვოლფსბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 36-26 | 27 |
| 9. შალკე | 18 | 7 | 6 | 5 | 24-17 | 27 |
| 10. ვერდერი | 18 | 7 | 5 | 6 | 40-30 | 26 |
| 11. კიოლნი | 18 | 7 | 2 | 9 | 20-26 | 23 |
| 12. ჰანოვერი | 18 | 5 | 5 | 8 | 21-32 | 20 |
| 13. აინტრახტი | 18 | 5 | 4 | 9 | 24-31 | 19 |
| 14. არმინია | 18 | 3 | 8 | 7 | 17-28 | 17 |
| 15. ბოხუმი | 18 | 2 | 8 | 8 | 21-30 | 14 |
| 16. კარლსრუე | 18 | 4 | 1 | 13 | 15-34 | 13 |
| 17. კოტბუსი | 18 | 3 | 4 | 11 | 12-31 | 13 |
| 18. ბორუსია (მ) | 18 | 3 | 2 | 13 | 18-37 | 11 |

**ბომბარდირები:** 18 - იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი); 13 - ჰელმესი (ლევერკუზენი); 12 - გრაფიტე (ვოლფსბურგი); 11 - ვიხნიარეკი (არმინია); 10 - პისარო (ვერდერი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 9 - ტონი (ბაიერნი), პეტრიჩი (ჰამბურგი); 8 - დიეგო (ვერდერი), ბა (ჰოფენჰაიმი), კისლინგი (ლევერკუზენი), გომესი (შტუტგარტი).

### II ბუნდესლიგა

#### XVIII ტური

**აუგსბურგი-ნიურნბერგი** 0:0

**ოსნაბრიუკი-ზტ. პაული** 2:2

გოლები: 1:0 გაისლერი (21), 1:1 ჰენინგსი (65), 2:1 პაიტცი (21), 2:2 ბრუნსი (68-პენ).

**ობერჰაუზენი-კობლენცი** 0:0

**ჰანზა-დუისბურგი** 0:1

გოლი: 0:1 ბრჟენსკა (80).

**მიუნხენ 1860-ფრაიბურგი** 0:2

გოლები: 0:1 ტოპრაკი (27), 0:2 შუსტერი (62).

**ვეენი-ალემანია** 1:0

გოლი: 1:0 ციმერი (45).

**ფრანკფურტი-ალენი** 4:0

გოლები: 1:0 ი. მოხტარი (10), 2:0 ჩენჩი (27), 3:0 ბლიზნუკი (79), 4:0 ულმი (86).

**ფიურტი-ინგოლშტადტი** 6:1

გოლები: 1:0 ალაგუი (4), 1:1 რამა (17), 2:1 რაიზინგერი (27), 3:1 რაიზინგერი (32), 4:1 ალაგუი (39), 5:1 ჰაასი (45), 6:1 ტაკიი (67).

**კაიზერსლაუტერნი-მაინცი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფრაიბურგი | 18 | 10 | 3 | 5 | 28-18 | 33 |
| 2. ფიურტი | 18 | 9 | 5 | 4 | 42-26 | 32 |
| 3. მაინცი | 18 | 9 | 4 | 4 | 33-19 | 31 |
| 4. კაიზერსლაუტ. | 18 | 9 | 4 | 4 | 33-21 | 31 |
| 5. ალემანია | 18 | 8 | 4 | 6 | 26-20 | 28 |
| 6. აუგსბურგი | 18 | 8 | 4 | 6 | 25-22 | 28 |
| 7. ზტ. პაული | 18 | 8 | 4 | 6 | 25-22 | 28 |
| 8. ნიურნბერგი | 18 | 6 | 8 | 4 | 24-17 | 26 |
| 9. დუისბურგი | 18 | 6 | 7 | 5 | 25-19 | 25 |
| 10. ალენი | 18 | 7 | 3 | 8 | 24-34 | 24 |
| 11. მიუნხენ 1860 | 18 | 6 | 4 | 8 | 20-19 | 22 |
| 12. ინგოლშტადტი | 18 | 6 | 3 | 9 | 24-34 | 21 |
| 13. ობერჰაუზენი | 18 | 6 | 3 | 9 | 17-31 | 21 |
| 14. ოსნაბრიუკი | 18 | 4 | 8 | 6 | 26-33 | 20 |
| 15. ჰანზა | 18 | 4 | 5 | 9 | 25-30 | 17 |
| 16. ვეენი | 18 | 3 | 8 | 7 | 19-31 | 17 |
| 17. ფრანკფურტი | 18 | 3 | 7 | 8 | 19-27 | 16 |
| 18. კობლენცი | 18 | 4 | 6 | 8 | 22-29 | 15 |

**ბომბარდირები:** 13 - ალაგუი (ფიურტი); 11 - ტობორგი (ალენი); 9 - აუერი (ალემანია), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი); 8 - მაკიადი (დუისბურგი), რაიზინგერი (ფიურტი), იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი); 7 - დემირი (ინგოლშტადტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა XXIV ტური

# ტორესმა გადაწყვიტა

## მანჩესტერმა საჩემპიონო ფორმა აკრიფა

„ლივერპულმა" „ჩელსის" დრამატულ ორთაბრძოლაში მოუგო. თამაშის მიწურულს **ფერნანდო ტორესმა** დუბლი შეასრულა. მერსისაიდელებს ჯერ კიდევ შეუძლიათ, ინგლისის ჩემპიონობაზე იოცნებონ. ისინი „მანჩესტერ იუნაიტედს" ორი ქულით ჩამორჩებიან, თუმცა მათზე ერთი მატჩით მეტი აქვთ ჩატარებული.

ტორესს პრემიერლიგაში ოქტომბრის შემდეგ არ გაეტანა. როგორც ჩანს, ესპანელი ბომბარდირი გოლებს საგანგებოდ ამ თამაშისათვის ინახავდა. ამ დამარცხებამ „არისტოკრატები" შოკში ჩააგდო. „ჩელსის" საჩემპიონო პირი არ უჩანს. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** მიმდინარე სეზონში ერთ კონკურენტსაც კი ვერ მოუგო. მარტო სუსტი მეტოქეების დამარცხებით კი ინგლისში ოქროს მედლებს არავინ იძლევა.

ლონდონელებმა მატჩი 10 კაცის ამარა დაასრულეს. მე-60 წუთზე არბიტრმა **მაიკ რაილიმ ფრენკ ლემპარდი** გააძევა. მსაჯის გადაწყვეტილებამ ინგლისელ მიმომხილველებს შორის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ძნელია, „არისტოკრატების" დამარცხება ამას დავაბრალოთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ლემპარდის გაძევების შემდეგ ლივერპული ერთი-ორად გააქტიურდა.

**რაფა ბენიტესმა** „ვიგანთან" შუა კვირას გამართული მატჩის შემადგენლობაში სამი ფეხბურთელი შეცვალა. ძირითადში დაბრუნდნენ **რიერა, კუიტი** და **ჩაბი ალონსო. რობი კინი** განაცხადში საერთოდ ვერ მოხვდა. მის ნაცვლად თადარიგში **დავიდ ნგოგი** გაამწესეს. წინათ, როდესაც ირლანდიელი განაცხადს მიღმა აღმოჩნდა, სტადიონზე მისვლაც კი არ ისურვა. ამჯერად ის გაცილებით უკეთეს ხასიათზე იყო.

„ლივერპულმა" თამაში აქტიურად დაიწყო, თუმცა პირველი მომენტის შესაქმნელად მასპინძლებს 11 წუთი დასჭირდათ. **პეტრ ჩეხმა** ალონსოს შორეული დარტყმა მოიგერია. მომდევნო იერიშისას, ჩეხი **მასკერანოს** დარტყმას გადაელობა. გუნდები ცენტრის დასაუფლებლად დაუნდობლად იბრძოდნენ. მასკერანო **ობი მიკელის**, ხოლო **ეშლი კოული** კუიტის მოცელვისათვის ყვითელი ბარათებით დააჩაჩუქრეს. მომენტების შექმნას ცდილობდა „ჩელსიც". ფრენკ ლემპარდი და **მიხაელ ბალაკი** ბევრს აქტიურობდნენ. მათ **ჯეიმი კარაგერი** და **მარტინ შკრტელი** მუდმივად წნეხის ქვეშ ჰყავდათ.

მეორე ნახევარიც გაფრთხილებებით დაიწყო. რაილიმ ალონსო და ობი მიკელი გააყვითლა. ამჯერად „ლივერპული" იმ კარს უტევდა, რომელიც „კოპის" განთქმული ტრიბუნის წინ მდებარეობს. ჯერარდის ერთ შეტევას კუთხური მოჰყვა, მაგრამ კუიტმა ბურთი უხეიროდ ჩააწოდა.

თამაშის დაწყებიდან ერთი საათი იყო გასული, როდესაც „არისტოკრატები" რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. რაილიმ ლემპარდი ალონსოს მოცელვისათვის მოედნიდან დაითხოვა. ფრენკს პირდაპირ წითელი ბარათი უჩვენეს, არადა გამეორებისას ჩანდა, რომ ის ჯერ ბურთს შეეხო და მეტოქის ფეხს მხოლოდ ამის შემდეგ გაჰკრა. რაილის თავისუფლად შეეძლო ლემპარდის გაძევებისაგან თავი შეეკავებინა. მით უფრო, რომ რამდენიმე წუთით ადრე, ანალოგიური დარღვევისათვის ჯერარდს მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება აკმარა. **ჯონ ტერიმ** მსაჯის გადაწყვეტილება ხმაურიანად გააპროტესტა და უმალ ყვითელი ბარათი მიიღო.

თამაშის დასრულებას ერთი წუთი უკლდა, როდესაც ტორესმა ანგარიში გახსნა. მან **ფაბიო აურელიოს** პასით ისარგებლა და ჩეხს ახლო კუთხეში, თავით გაუტანა. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ ტორესი ამით არ დაკმაყოფილდა. **იოსი ბენაიუნმა** ეშლი კოულის შეცდომით ისარგებლა. მან ბურთი ესპანელ თავდამსხმელს გადაუგდო. ამ უკანასკნელმა კი 8 მეტრიდან დუბლი შეასრულა...

„მანჩესტერ იუნაიტედმა" დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა. „ეშმაკებმა" „ევერტონი" მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს. ერთადერთი გოლი **კრისტიანო რონალდომ** 11-მეტრიანი დარტყმით შეაგდო. ეს ამბავი 44-ე წუთზე მოხდა. **მიკელ არტეტამ მაიკლ ქერიკს** ფეხი გამოსდო. მთავარმა მსაჯმა **მარკ ჰელსიმ** ბევრი იფიქრა თუ ცოტა და პენალტის დანიშვნა გადაწყვიტა.

სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა ბოლო 12 მატჩში 36 შესაძლებლიდან 32 ქულა აიღო. „იუნაიტედმა" საუცხოო ფორმა აკრიფა. მისი კონკურენტები მასთან ახლოსაც კი ვერ მიდიან. ასე დამაჯერებლად მხოლოდ ის გუნდები თამაშობენ, რომელთაც ჩემპიონობა სურთ. მინიმალურმა ანგარიშმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ. თამაშის შედეგი ერთი წუთითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ.

„მანჩესტერმა" ზედიზედ მე-12 თამაში ჩაატარა ისე, რომ გოლი არ გაუშვია. **ედვინ ვან დერ სარის** მშრალი სერია უკვე 1 122 წუთს ითვლის. უკანასკნელი ფეხბურთელი, რომელმაც ჰოლანდიელი მეკარე დაამწუხრა, არსენალელი **სამირ ნასრი** იყო. მან ეს გასული წლის 8 ნოემბერს გააკეთა. „არსენალმა" მანჩესტერს „ემირიტს სთედიუმზე" 2:1 მოუგო.

„ევერტონმა" მეტოქის კართან ლირებული მომენტი ფაქტობრივად ვერ შექმნა. მიზეზი ის იყო, რომ ლივერპულელებს ერთბაშად სამი თავდამსხმელი ლაზარეთში უწევთ. **დევიდ მოიესმა** წინა ხაზში ნახევარმცველი **ტიმ კაჰილი** დააყენა.

სტუმრებმა თავიდანვე უხეშობით გადაწყვიტეს ფონს გასვლა. თამაში გახურებული არ იყო, რომ **მარუან ფელაინიმ** ქერიკი მოცელა. **კრისტიანო რონალდოს** თავის გამოჩენის საშუალება მიეცა, მაგრამ 30 იარდიდან შესრულებული საჯარიმო ცოცხალ კედელს გაარტყა.

მეშვიდე წუთზე **ტიმ ჰოვარდმა ჟი სუნ პარკის** დარტყმა მოიგერია. სინამდვილეში ეს სულაც არ იყო დარტყმა. კორეელმა ნახევარმცველმა მეკარის საჯარიმოში შეაგორა ბურთი. მცველებმა ის რატომღაც გაატარეს. ბურთი კარის დაბალ კუთხეში ნავიდა, ჰოვარდმა კი ის უკუაგდო.

ამერიკელმა მეკარემ ყოფილი კლუბი კიდევ ერთხელ გაანბილა. ის **კარლოს ტევესის** ძლიერ დარტყმას გადაელობა. „იუნაიტედს" მომენტების შექმნა არ უჭირდა. 25-ე წუთზე რონალდოს იერიშისას, ბურთი ძელს მოხვდა. ტევესმა დამატება სცადა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარის ნიშნად ალამი ააფრიალა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანგარიში 44-ე წუთზე გაიხსნა. მსაჯ **ჰელსის** ევერტონელთა კარში მეორე პენალტის დანიშვნაც მართებდა. მეორე ტაიმის დასაწყისში **ჯონ ოშიმ** ქერიკს საჯარიმოში გადააწოდა ბურთი. ქერიკმა **ჯოლეონ ლესკოტი** ჩამოიტოვა. ამ უკანასკნელმა მას მაისურზე მოქაჩა, მაგრამ ჰელსიმ სტუმართა ხელმეორედ დასჯა ზედმეტად მიიჩნია. „ევერტონი" ფონს გასვლას სტანდარტული მდგომარეობებით შეეცადა, მაგრამ ამაოდ...

„არსენალმა" „ვესტ ჰემთან" დერბიში ორი ქულა დაკარგა. ლონდონური კლუბების შეუპოვარი ორთაბრძოლა უგოლოდ დასრულდა. „მეთოფეთაგან" ყველაზე რეალური მომენტი **აბუ დიაბის** ჰქონდა. მისი თავურის შემდეგ ბურთი ხარიხას დაეძგერა. მეორე ნახევარში **ემანუელ ადებაიორმა** ორი კარგი მომენტი გაანიავა. თამაშის მიწურულს **არსენ ვენგერმა რობინ ვან პერსი** გამოიყვანა, მაგრამ „არსენალს" ვერც საუკეთესო ბომბარდირმა უშველა.

„მანჩესტერ სიტიმ" იმდენი მოახერხა, რომ „სტოკ სიტისთან" წააგო. თანაც წაგება არის და წაგებაც: მასპინძლები 37-ე წუთიდან ათი კაცის შემადგენლობით თამაშობდნენ. **რორი დელაპს შონ რაიტ-ფილიპსის** მოცელვისათვის წითელი ბარათი აუფრიალეს. პირველი ტაიმის მიწურულს **ჯეიმს ბიტიმ** თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. შესვენების შემდეგ „სიტი" ბევრს ეცადა, მაგრამ ერთი ქულის გადარჩენაც ვერ მოახერხა. „სტოკ სიტიმ" შინ ნოემბრის შემდეგ პირველად მოიგო. ამავე დროს, მან ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულა...

კვლავ წააგო „პორტსმუთმა" - ამჯერად „ფულჰემთან" 1:3. „პორტსმუთის" მთავარი მწვრთნელი **ტონი ადამსი** დათხოვნის რეალური კანდიდატია. მის გუნდს რვა მატჩია, არ მოუგია. სტუმრებმა შაბათ საღამოს ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი. **ენდრიუ ჯონსონმა** ისინი პირველ ტაიმში დაამწუხრა. შესვენების შემდეგ **ერიკ ნევლანდმა** დუბლი გამოაცხო. ერთადერთი, რაც „პორტსმუთმა" მოახერხა, პრესტიჟის გოლის გატანა გახლდათ. ეს საპატიო მოვალეობა **დევიდ ნაჯენტმა** შეასრულა.

**შალვა ბიბილაშვილი**

### მომდევნო ტური

7 თებერვალი. **ბლექბერნი-ასტონ ვილა, ჩელსი-ჰალი, ევერტონი-ბოლტონი, მანჩესტერ სიტი-მიდლსბრო, პორტსმუთი-ლივერპული, სანდერლენდი-სტოკი, ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი, ვიგანი-ფულჰემი.** 8 თებერვალი. **ტოტენჰემი-არსენალი, ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი.**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

### სტოკ სიტი-მანჩესტერ სიტი 1:0

**სტოკი:** სორენსენი, აბდულა ფაიე, შოკროსი, ჰიგ, ვილკინსონი, ველანი, ამდი ფაიე (78. გრიფინი), ეთერინგტონი (86. სონკო), დელაპი, ფულერი (46. კრესველი), ბიტი.

**სიტი:** ჰარტი, ონუოჰა, კომპანი, ბრიჯი, რიჩარდსი, დე იონგი (73. ფელიპე), ირლანდი, საბალეტა (55. ელანო), რობინიო, ბელამი, რაიტ-ფილიპსი.

**გოლი:** 1:0 ბიტი (45)

**გაძევება:** დელაპი (37. სტოკ სიტი)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 8(4)-16(2); **ჯარიმა:** 11-10; **კუთხური:** 7-6; **ბურთის ფლობა:** 26%-75%.

**მაყურებელი:** 27 236

### არსენალი-ვესტ ჰემი 0:0

**არსენალი:** ალმუნია, გალასი, კოლო ტურე, კლიში, სანია, დენილსონი, დიაბი (90. სონგი), ნასრი, ებუე (36. ველა), ადებაიორი, ბენდტნერი (69. ვან პერსი).

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, კოლინსი, ილუნგა, ნილი, პარკერი, ნობლი (71. ნსერეკო), კოლისონი, ბეჰრამი, კარლტონ კოული, დი მიკელე (84. ბოა მორტე).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 22(3)-2(2); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 13-3; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 60 109

### ასტონ ვილა-ვიგანი 0:0

**ვილა:** ფრიდელი, კარტის დევისი, ნაიტი, ლუკ იანგი, კუელიარი, ბერი, სტილიან პეტროვი, მილნერი, კრიგ გარდნერი (62. ქეროუ).

**ვიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი, ბოისი, ფიგეროა, მელხიოტი, კატერმოული, შარნერი (78. უოტსონი), მაიკლ ბრაუნი, დე რიდერი (46. როდალეგა), კუმასი, მიდო.

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 21(7)-10(3); **ჯარიმა:** 13-12; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 41 766

### ბოლტონი-ტოტენჰემი 3:2

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ჰოუგრენიე (79. ენდრიუ ობრაიენი), გარი კაჰილი, სამუელი, სტეინსონი, რიკარდო გარდნერი, მუამბა, მარკ დევისი, მეტიუ ტეილორი, კევინ დევისი, მაკუკულა (61. სმოლიარეკი).

**ტოტენჰემი:** კუდიჩინი, ვუდგეიტი, დოსონი, ასუ-ეკოტო, ჩორლუკა (67. შიმბონდა), პალასიოსი, ზოკორა (46. ჯენასი), მოდრიჩი (46. დარენ ბენტი), ლენონი, დეფო, პავლიუჩენკო.

**გოლები:** 1:0 ჰოუგრენიე (31), 2:0 კევინ დევისი (64), 2:1 დარენ ბენტი (72), 2:2 დარენ ბენტი (74), 3:2 კევინ დევისი (87)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 13(5)-17(7); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 2-8; **ბურთის ფლობა:** 50%-51%.

**მაყურებელი:** 21 575

### ფულჰემი-პორტსმუთი 3:1

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, ჰანტსილი, დენი მერფი, ეტუჰუ, დემპსი (90. გერა), საიმონ დევისი, ენდრიუ ჯონსონი, ზამორა (63. ნევლანდი).

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დისტინი, კაბული (77. პამაროი), პრიდარსონი, გლენ ჯონსონი, შონ დევისი, მულინსი, ტრაორე (65. უტაკა), ჰუნინტი, კრაუჩი, კანუ (46. ნაჯენტი).

**გოლები:** 1:0 ენდრიუ ჯონსონი (14), 2:0 ნევლანდი (71), 3:0 ნევლანდი (80), 3:1 ნაჯენტი (84)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 8(4)-16(5); **ჯარიმა:** 9-8; **კუთხური:** 5-8; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 23 722

### ჰალ სიტი-ვესტ ბრომვიჩი 2:2

**ჰალი:** დიუკი, ზაიათი, მაიკლ ტერნერი, დოსონი, რიკეტსი, მარნი, ეშბი, რიჩარდ გარსია (80. ფოლანი), კილბეინი, მენდი, ფეგანი.

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, დონკი, მეიტე, რობინსონი, ცუიჯერლოონი, ვალერო (53. კარდოსო), კორენი, ბრანტი, მორისონი (75. კიმი), სიმპსონი, მარკ-ანტუან ფორჩუნი (75. ბედნარი).

**გოლები:** 1:0 მენდი (44), 1:1 სიმპსონი (53), 2:1 ფეგანი (69), 2:2 ბრანტი (73-პენ)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 19(8)-15(6); **ჯარიმა:** 14-12; **კუთხური:** 8-6; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 24 879

### მიდლსბრო-ბლექბერნი 0:0

**მიდლსბრო:** ჯოუნსი, ჰოითი, რიგოტი, პოგატეცი, უიტერი, ბეიტსი, უოქერი, ადამ ჯონსონი, დოუნინგი, თუნჯაი (65. ალფონსო ალვესი), მარლონ კინგი (65. ემნესი).

**ბლექბერნი:** პოლ რობინსონი, ნელსენი, სამბა, უორნოკი, ოოიერი, გრელა, ენდრიუსი (43. თუგაი), პედერსენი, ემერტონი (50. დანი), მაკარტი (73. რობერტსი), სანტა კრუსი.

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 8(1)-18(9); **ჯარიმა:** 9-19; **კუთხური:** 3-9; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 24 303

### მანჩესტერ იუნ.-ევერტონი 1:0

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ვიდიჩი, რიო ფერდინანდი, ოში, გარი ნევილი (56. ბრაუნი), ფლეტჩერი (75. გიგზი), ქერიკი, პარკი, რონალდო, ტევესი, ბერბატოვი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ჯაგიელკა, ბეინსი, ჰიბერტი, ფილ ნევილი, არტეტა, პინაარი, ოსმანი, ტიმ კაჰილი, ფელაინი (68. ანიჩებე).

**გოლები:** 1:0 კრისტიანო რონალდო (44-პენ)

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 20(8)-8(3); **ჯარიმა:** 15-17; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 75 399

### ნიუკასლი-სანდერლენდი 1:1

**ნიუკასლი:** ჰარპერი, ბასონგი, კოლოჩინი (90. ედგარი), ხოსე ენრიკე, სტივ ტეილორი, ნოლანი, ბატი, გუტიერესი, დაფი, ქეროლი (83. ლოველ კრანდლი), ამეობი.

**სანდერლენდი:** ფულოპი, კოლინსი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი, ბერდსლი, უაითჰედი, რიჩარდსონი, მალბრანკი (90. ლიდბიტერი), ედვარდსი (71. რიდი), ჯოუნსი, სისე (55. ჩოპრა).

**გოლები:** 0:1 სისე (32), 1:1 ამეობი (68- პენ)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 15(4)-16(5); **ჯარიმა:** 14-22; **კუთხური:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 52 085

### ლივერპული-ჩელსი 2:0

**ლივერპული:** ... , კარაგერი, აურელიო, არბელოა, ჩაბი ალონსო, მასკერანო (83. ბაბელი), ტორესი (90. ნგოგი), ჯერარდი, რიერა (74. ბენაიუნი), კუიტი.

**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, ალექსი, ეშლი კოული, ბოსინგვა, ობი მიკელი, ლემპარდი, ბალაკი, მალუდა (69. დეკუ), ანელკა (69. დროგბა), კალუ (85. სტოხი).

**გოლები:** 1:0 ტორესი (89), 2:0 ტორესი (90)

**გაძევება:** ლემპარდი (60. ჩელსი)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 25(9)-8(2); **ჯარიმა:** 26-16; **კუთხური:** 12-1; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 44 174

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 23 | 16 | 5 | 2 | 40-10 | 53 |
| 3. ლივერპული | 24 | 14 | 9 | 1 | 39-15 | 51 |
| 2. ჩელსი | 24 | 14 | 6 | 4 | 44-15 | 48 |
| 4. ასტონ ვილა | 24 | 14 | 6 | 4 | 38-24 | 48 |
| 5. არსენალი | 24 | 12 | 7 | 5 | 38-25 | 43 |
| 6. ევერტონი | 24 | 10 | 7 | 7 | 31-28 | 37 |
| 7. ვიგანი | 24 | 9 | 6 | 9 | 26-24 | 33 |
| 8. ვესტ ჰემი | 24 | 9 | 6 | 9 | 31-31 | 33 |
| 9. ფულჰემი | 23 | 7 | 8 | 7 | 20-19 | 29 |
| 10. მანჩესტერ სიტი | 23 | 8 | 4 | 11 | 41-32 | 28 |
| 11. ჰალ სიტი | 24 | 7 | 7 | 10 | 31-46 | 28 |
| 12. ბოლტონი | 24 | 8 | 3 | 13 | 27-34 | 27 |
| 13. სანდერლენდი | 23 | 7 | 6 | 11 | 25-33 | 27 |
| 14. ტოტენჰემი | 24 | 6 | 6 | 12 | 26-31 | 24 |
| 15. ნიუკასლი | 24 | 5 | 9 | 10 | 30-40 | 24 |
| 16. პორტსმუთი | 23 | 6 | 6 | 11 | 23-38 | 24 |
| 17. სტოკ სიტი | 24 | 6 | 6 | 12 | 21-38 | 24 |
| 18. ბლექბერნი | 23 | 5 | 8 | 10 | 27-38 | 23 |
| 19. მიდლსბრო | 24 | 5 | 7 | 12 | 18-35 | 22 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 24 | 6 | 4 | 14 | 22-44 | 22 |

**ბომბარდირები:** 14 - ანელკა (ჩელსი); 11 - კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი), რობინიო (მანჩესტერ სიტი); 10 - ზაქი (ვიგანი), დეფო (პორტსმუთი/ტოტენჰემი); 9 - აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), დარენ ბენტი (ტოტენჰემი), სისე (სანდერლენდი), ლემპარდი (ჩელსი), ჯერარდი (ლივერპული), ვან პერსი (არსენალი).

### ჩემპიონშიპი

#### XXIX ტური

**ბრისტოლი-ბარნსლი 2:0**

გოლები: 1:0 ვილიამსი (65), 2:0 მაკინდო (79)

**ბარნლი-ჩარლტონი 2:1**

გოლები: 0:1 ბეილი (41), 1:1 ტომპსონი (76), 2:1 ტომპსონი (90)

**კარდიფი-ნოტინგემი 2:0**

გოლები: 1:0 პერი (18), 2:0 ბუთროიდი (87)

**დერბი-ქოვენტრი 2:1**

გოლები: 1:0 პალსი (14), 2:0 კომონსი (16), 2:1 დოილი (53)

**იფსვიჩი-პლიმუთი 0:0**

**კრ.პალასი-ბლექპული 0:1**

გოლი: 0:1 კემბელი (41-პენ)

გაძევება: რაჩუბკა (3. ბლექპული)

**პრესტონი-შეფილდ იუნ. 0:0**

**ქუინზ პარკი-რედინგი 0:0**

**საუთჰემპტონი-სვონსი 2:2**

გოლები: 1:0 საგანოვსკი (17), 1:1 გომესი (33), 1:2 პინტადო (65), 2:2 საგანოვსკი (76)

გაძევება: მოლინექსი (53. საუთჰემპტონი)

**ვულვერჰემპტონი-უოტფორდი 3:1**

გოლები: 1:0 ებანქს-ბლეიკი (23), 2:0 კიოგი (67), 2:1 მარიაპა (81), 3:1 ვოუქსი (90)

**შეფილდ უენ.-ბირმინგემი 1:1**

გოლები: 1:0 ბექფორდი (57), 1:1 ფილიპსი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვულვერჰემპტონი | 30 | 19 | 5 | 6 | 60-37 | 62 |
| 2. რედინგი | 30 | 17 | 7 | 6 | 58-26 | 58 |
| 3. ბირმინგემი | 30 | 16 | 8 | 6 | 37-27 | 56 |
| 4. კარდიფი | 29 | 13 | 12 | 4 | 41-26 | 51 |
| 5. შეფილდ იუნ. | 30 | 13 | 9 | 8 | 40-26 | 48 |
| 6. პრესტონი | 30 | 14 | 6 | 10 | 42-38 | 48 |
| 7. ქუინზ პარკი | 30 | 12 | 10 | 8 | 31-27 | 46 |
| 8. ბარნლი | 30 | 13 | 7 | 10 | 43-43 | 46 |
| 9. სვონსი | 30 | 10 | 15 | 5 | 43-33 | 45 |
| 10. იფსვიჩი | 30 | 11 | 10 | 9 | 42-31 | 43 |
| 11. ბრისტოლი | 29 | 10 | 11 | 8 | 36-34 | 41 |
| 12. კრ.პალასი | 29 | 11 | 7 | 11 | 39-34 | 40 |
| 13. შეფილდ უენ. | 30 | 10 | 9 | 11 | 32-42 | 39 |
| 14. ქოვენტრი | 30 | 9 | 10 | 11 | 33-37 | 37 |
| 15. ბლექპული | 30 | 9 | 10 | 11 | 30-38 | 37 |
| 16. პლიმუთი | 29 | 9 | 7 | 13 | 27-33 | 34 |
| 17. ნოტინგემი ფ. | 30 | 8 | 9 | 13 | 32-41 | 33 |
| 18. დერბი | 29 | 8 | 8 | 13 | 30-41 | 32 |
| 19. ბარნსლი | 30 | 9 | 5 | 16 | 29-41 | 32 |
| 20. ნორვიჩი | 30 | 8 | 7 | 15 | 39-46 | 31 |
| 21. დონკასტერი | 29 | 8 | 7 | 14 | 21-33 | 31 |
| 22. უოტფორდი | 30 | 8 | 6 | 16 | 42-53 | 30 |
| 23. საუთჰემპტონი | 30 | 6 | 10 | 14 | 28-46 | 28 |
| 24. ჩარლტონი | 30 | 5 | 7 | 18 | 31-53 | 22 |

### I ლიგა

ბრაიტონი-ჰარტლპული 2:1, კარლაისლი-კოლჩესტერი 0:2, ჩელტენჰემი-მილტონი 3:5, ქრუ-ტრანმერი 2:1, ჰადერსფილდი-პიტერბორო 1:0, ლეიტონი-იოვილი 0:1, მილუოლი-სკანთორპი 1:2, ნორთჰემპტონი-ლესტერი 1:2, ოლდჰემი-სვინდონი 0:0, საუთენდი-ბრისტოლი 1:0, სტოკპორტი-ჰერეფორდი 4:1, უოლსოლი-ლიდსი 1:0.

### II ლიგა

ოლდერშოტი-როჩდეილი 2:4, ბრედფორდი-გრიმსბი 2:0, ჩესტერი-ჯილინგემი 0:1, დაგენჰემი-დარლინგტონი 0:1, ექსეტერი-ბარნეტი 2:1, ლინკოლნი-ბორნმუთი 3:3, ლუტონი-ბერი 1:2, მორკომბი-პორტ ვეილი 1:1, ნოთს ქაუნთი-ჩესტერფილდი 0:1, როტერჰემი-მაკლსფილდი 2:0, შრუსბერი-ბრენტფორდი 1:3, ვიკომბი-აქრინგტონი 2:1.

### კონფერენსი

ბეროუ-სელისბერი 0:0, ისტბორნი-მანსფილდი 1:2, ვოკინგი-ნორთვიჩი 4:1, ოქსფორდი-ლუისი 2:1, რაშდენი-კემბრიჯი 1:2, ებსფლიტი-კიდერმინსტერი გადაიდო, იორკი-სტივენიჯი გადაიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

XXII ტური

**ოსერი-ლორიანი 0:0**

**ოსერი:** სორენი, ენგბარტი, კულიბალი, მინო, გრიმტინგი, ნარი, პედრეტი, შაფნი, ლეჟონი (58. კალენბერგი), იელენი, ნიკულაე (57. კიტამბალა).

**ლორიანი:** კაპონე, კალვე (86. გენტონი), მარშალი, სიანი, მორელი, ამალფიტანო, აბრიელი, ევოლო, ჟუფრე (70. ნამუში), ობერტანი (57. ვაირუა), გამეირო.

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 11 972

**ჰავრი-ნანსი 2:3**

**ჰავრი:** რევო, მარანჟი, ნესტორი (79. დავიდა), ფრანკარი, ბაკა, ბენ-იდირი (46. ნორო), დიოზი, ლესაჟი, ალა, დიალო, ალასანი.

**ნანსი:** ბრასილიანო, შრეტიენი, ანდრე ლუისი, მაკალუსო, ბაისკალანი, ბ. გავანონი (90. ნ'გემო), ბერენგერი, ბრისონი, ფერე (66. ა. ნ'დიაიე), ი. ჰაჯი, ი. დია (78. ზერკა).

**გოლები:** 1:0 ალასანი (12), 1:1 ფერე (16), 1:2 ბრისონი (30), 2:2 ალასანი (90+2), 2:3 ნ'გემო (90+3)

**გაფრთხილება:** 3-3

**მაყურებელი:** 12 017

**ლე მანი-ნანტი 0:2**

**ლე მანი:** ი. პელე, ბენ ფრეჯი, გედერი, სედრანი, ბუპურსი, კუტადორი, ლუეიონი (59. ესტიგარიბია), სტრომსტადი (69. ლამა), ჟერვინიო, მაიგა, პელსტადი.

**ნანტი:** ალონზო, მულეკი, პიერი, პულარი, მარეველი, და როშა, რ. ფატი, აბდუნი, ა. კაპუე (90+2. გიიონი), ვენკორი (80. დე ფრეიტასი), ჯორჯევიჩი (82. კლასნიჩი).

**გოლები:** 0:1 პულარი (53), 0:2 და როშა (65)

**გაფრთხილება:** 3-4

**მაყურებელი:** 10 030

**მონაკო-გრენობლი 1:0**

**მონაკო:** რუფიე, მოდესტო, შიმიჩი, მიულერი, მურატორი, მოლო, გოსო, პოკრივაცი, დიაზი (46. ლიკატა), პარკი, პინო (74. საგბო).

**გრენობლი:** ვიმბე, ჟემალი (77. რავე), ფოაშე, პეიო, რობენი, ფეგული, ბატლი, რომაო, კურტუა (64. ელ-მუბარაკი), აკრური (55. ბანინგი), ლ. ტური.

**გოლი:** 1:0 ლიკატა (66)

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 6 710

**პსჟ-კაენი 2:0**

**პსჟ:** ლანდრო, სეარა, ზ. კამარა, სახო, არმანი, მაკელელე, კლემანი, სესენონი, ჟიული (66. შანტომი), ლუინდულა (74. კეჟმანი), ოარო (86. პანკრატი).

**კაენი:** პლანტე, ბარზოლა, ლეკა, ორბონი, ლემაეტრი, სეობი, ნივე, დერუანი, ბენ ხალფალა (83. ადნანი), ეოუჩანსი (61. ტუდირი), საეიდანი.

**გოლები:** 1:0 ოარო (49), 2:0 ლუინდულა (58)

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 39 187

**რენი-ტულუზა 0:0**

**რენი:** დუმე, ფანი, მანგანი, ჰანსონი, ბოკანეგრა, მ'ბია, ლემუანი, ჟ. ლერუა (82. გიანი), სოუ (71. ეკოკო), პაჟისი, ბრიანი.

**ტულუზა:** კარასო, კონგრე, სეტო, მ. ფოფანა, მ'ბენგა, ე. კაპუე, მ. სისოკო, სირიეი, ბრაატენი, მატიო, გინიაკი.

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 27 030

**ვალანსი-ნიცა 1:0**

**ვალანსი:** პენეტო, მატერი, რაფაელი, ბიშევაცი, ტიენე, დანიკი (90+2. დუკურტუა), ბელმადი, სანჩესი, საესი (72. პუჟოლი), ოდელი, დარშევილი (87. ლაკური).

**ნიცა:** ოსპინა, ჟონეშამი (85. მოდესტო), სიდი, აპამი, როოლი, ელებუიკი, საბლე, ფაე, კულიბალი (82. ბენ საადა), რემი, ბამოგო (82. მულუნგი).

**გოლი:** 1:0 პუჟოლი (77)

**ბორდო-ლილი 2:2**

**ბორდო:** რამე, ს. დიავარა, შალმე, ენრიკე, ტრემულინასი, ა. დიარა, გურკუფი, ვენდელი, ოუსი (66. ფერნანდო), კავენაგი, ბელიონი (74. გუფრანი).

**ლილი:** მალიჩკი, ბერია, ემერსონი, რამი, პლესტანი, ბალმონი, ობრანიაკი, მავუბა, კაბეიე (74. დუმონი), მიშელ ბასტოსი (81. პაზარი), ფრო (59. ფოვერგი).

**გოლები:** 1:0 ბელიონი (15), 1:1 ობრანიაკი (48), 1:2 რამი (57), 2:2 გურკუფი (60)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 20 000

**სოშო-მარსელი 1:0**

**სოშო:** რიშერი, პიშო, დაფი, ფატი, პერკისი, კარლაო, პიტო, ბუდებუ, სვერკოსი, მორის-ბელეი, ერდინგი (86. პრივა).

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, როდრიგესი, ტაიუო, ჰილტონი, ზიანი (85. კაბორე), შეირუ, ვალბუენა (69. დენუნი), მ'ბამი, ვილტორი (69. სამასა), ბრანდაო.

**გოლი:** 1:0 ერდინგი (24)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 19 000

**ლიონი-სტ. ეტიენი 1:1**

**ლიონი:** ლორისი, ბუმსონგი, კრისი, გროსო, ტულალანი, კალსტრიომი (72. მუნიე), ფაბიო სანტოსი, ჟუნინიო (79. მაკუნი), დელგადო (33. ედერსონი), ბენზემა, პიკიონი.

**სტ. ეტიენი:** ჟანო, ვარო, დაბო, ბეიალსალი, ბენალუანი, ოტკოერი, მატუიდი (88. მაშადო), ილანი, გომისი, მირალა (72. რივიერი), პეიე (64. დერნისი).

**გოლები:** 0:1 მირალა (49), 1:1 ჟუნინიო (53)

**გაძევება:** პიკიონი (54. ლიონი)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 38 590

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 22 | 12 | 7 | 3 | 27-14 | 43 |
| 2. ბორდო | 22 | 12 | 6 | 4 | 39-22 | 42 |
| 3. პსჟ | 22 | 12 | 3 | 7 | 28-22 | 39 |
| 4. მარსელი | 22 | 10 | 8 | 4 | 37-25 | 38 |
| 5. რენი | 22 | 9 | 11 | 2 | 25-14 | 38 |
| 6. ტულუზა | 22 | 10 | 8 | 4 | 23-15 | 38 |
| 7. ლილი | 21 | 9 | 9 | 3 | 31-21 | 36 |
| 8. ნიცა | 21 | 9 | 6 | 6 | 25-20 | 33 |
| 9. ლორიანი | 22 | 7 | 8 | 7 | 27-25 | 29 |
| 10. ნანსი | 21 | 7 | 7 | 7 | 21-22 | 28 |
| 11. მონაკო | 22 | 7 | 6 | 9 | 26-27 | 27 |
| 12. ნანტი | 22 | 7 | 5 | 10 | 20-28 | 26 |
| 13. ლე მანი | 21 | 7 | 4 | 10 | 26-31 | 25 |
| 14. გრენობლი | 22 | 6 | 7 | 9 | 13-21 | 25 |
| 15. კაენი | 21 | 5 | 9 | 7 | 25-25 | 24 |
| 16. ოსერი | 22 | 5 | 6 | 11 | 14-23 | 21 |
| 17. სტ.ეტიენი | 22 | 6 | 3 | 13 | 17-31 | 21 |
| 18. სოშო | 22 | 3 | 11 | 8 | 21-27 | 20 |
| 19. ვალანსი | 21 | 4 | 7 | 10 | 18-26 | 19 |
| 20. ჰავრი | 22 | 3 | 3 | 16 | 16-40 | 12 |

**ბომბარდირები:** 13 - გინიაკი (ტულუზა), ოარო (პსჟ); 12 - კავენაგი (ბორდო); 10 - ბენზემა (ლიონი); 9 - ბასტოსი (ლილი); 8 - საეიდანი (კაენი), ობრანიაკი (ლილი); 7 - რემი (ნიცა), ერდინგი (სოშო), ლიკატა (მონაკო), ალასანი (ჰავრი), ოდელი (ვალანსი).

### II დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ბასტია-სტრასბური | 1:1 |
| ბრესტი-ტრუა | 4:1 |
| შატორუ-ლავალი | 0:0 |
| დიჟონი-აიაკიო | 2:1 |
| მეცი-ამიენი | 2:1 |
| ნიმი-კლერმონი | 1:1 |
| რეიმსი-ბუნიაკი | 0:0 |
| სედანი-ანჟერსი | 0:0 |
| ვანი-ტური | 1:0 |
| ბულონი-მონპელიე | დღეს |

## ჰოლანდია

XX ტური

| | |
|---|---|
| როდა-ჰერაკლესი | 3:1 |
| დენ ჰააგი-გრონინგენი | 0:1 |
| ბრედა-ვოლენდამი | 1:1 |
| ვილემი-ვიტესი | 0:2 |
| აიაქსი-ჰერენვეენი | 0:1 |
| ტვენტე-უტრეხტი | 0:0 |
| გრაფსხაპი-ეინდჰოვენი | 0:3 |
| ნიმეგენი-ფეიენოორდი | 1:0 |
| სპარტა-ალკმაარი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 20 | 16 | 2 | 2 | 43-11 | 50 |
| 2. აიაქსი | 20 | 13 | 2 | 5 | 45-21 | 41 |
| 3. ტვენტე | 20 | 12 | 5 | 3 | 37-18 | 41 |
| 4. ჰერენვეენი | 20 | 11 | 5 | 4 | 42-38 | 38 |
| 5. ეინდჰოვენი | 20 | 10 | 5 | 5 | 36-20 | 35 |
| 6. გრონინგენი | 20 | 10 | 3 | 7 | 39-25 | 33 |
| 7. ბრედა | 20 | 9 | 5 | 6 | 30-29 | 32 |
| 8. ნიმეგენი | 20 | 8 | 6 | 6 | 28-22 | 30 |
| 9. უტრეხტი | 20 | 7 | 7 | 6 | 27-25 | 28 |
| 10. ვილემი | 20 | 7 | 4 | 9 | 25-30 | 25 |
| 11. ჰერაკლესი | 20 | 5 | 6 | 9 | 21-33 | 21 |
| 12. ფეიენოორდი | 20 | 5 | 5 | 10 | 32-31 | 20 |
| 13. სპარტა | 20 | 5 | 5 | 10 | 34-47 | 20 |
| 14. დენ ჰააგი | 20 | 5 | 4 | 11 | 22-29 | 19 |
| 15. ვიტესი | 20 | 4 | 7 | 9 | 18-32 | 19 |
| 16. როდა | 20 | 4 | 6 | 10 | 25-38 | 18 |
| 17. გრაფსხაპი | 20 | 4 | 4 | 12 | 13-39 | 16 |
| 18. ვოლენდამი | 20 | 3 | 3 | 14 | 20-49 | 12 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

აპელდორნი-დენ ბოში 3:2; დორდრეხტი-ემენი 1:0; ფორტუნა-ექსელსიორი 1:1; იგლზი-ვაალვეიკი 0:0; ჰელმონდი-მაასტრიხტი 2:1; ტოპ ოსი-ტელსტარი 3:0; ვენლო-ეინდჰოვენი A 6:0.

## ბელგია

XX ტური

| | |
|---|---|
| ბერსხოტი-ვესტერლო | 2:1 |
| ბრიუგე-ტუბიზე | 3:1 |
| კორტრეიკი-ანდერლეხტი | 1:3 |
| მონსი-სერკლი | 1:1 |
| მუსკრონი-დენდერი | 0:2 |
| სტანდარდი-რუზელარე | 3:0 |
| ვარეგემი-მეხელენი | 1:1 |
| შარლერუა-გენტი | 2:5 |
| ლოკერენი-გენკი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 20 | 13 | 4 | 3 | 37-19 | 43 |
| 2. ანდერლეხტი | 19 | 13 | 2 | 4 | 47-20 | 41 |
| 3. ბრიუგე | 20 | 11 | 4 | 5 | 36-27 | 37 |
| 4. გენკი | 20 | 11 | 3 | 6 | 31-27 | 36 |
| 5. სერკლი | 20 | 10 | 2 | 8 | 32-31 | 32 |
| 6. ვესტერლო | 20 | 9 | 4 | 7 | 25-24 | 31 |
| 7. ლოკერენი | 20 | 7 | 9 | 4 | 26-19 | 30 |
| 8. გენტი | 19 | 8 | 5 | 6 | 40-27 | 29 |
| 9. მუსკრონი | 20 | 8 | 5 | 7 | 31-27 | 29 |
| 10. ვარეგემი | 20 | 8 | 4 | 8 | 30-27 | 28 |
| 11. კორტრეიკი | 20 | 7 | 7 | 6 | 22-28 | 28 |
| 12. ბერსხოტი | 20 | 6 | 6 | 8 | 25-25 | 24 |
| 13. შარლერუა | 20 | 6 | 3 | 11 | 26-36 | 21 |
| 14. მეხელენი | 20 | 4 | 8 | 8 | 22-34 | 20 |
| 15. ტუბიზე | 20 | 5 | 3 | 12 | 24-41 | 18 |
| 16. დენდერი | 20 | 4 | 6 | 10 | 25-37 | 18 |
| 17. მონსი | 20 | 3 | 7 | 10 | 21-29 | 16 |
| 18. რუზელარე | 20 | 3 | 4 | 13 | 17-39 | 13 |

### II დივიზიონი

XXII ტური. 31 იანვარი

დაინცე-ტინენი 3:1; ეუპენი-ტურნე 0:1; ბრიუსელი-ოლ. შარლერუა 0:0; ლიერსი-ნამენი 4:0; ლომელი-ოსტენდე 0:0; სტ. ტრუიდენი-ანტვერპენი 0:0; ვირტონი-ჰამე 1:1; ჰეევერლე-ვაასლანდი 0:1; რონსე-ლიეჟი 2:1.

## შოტლანდია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| სტ. მირენი-კილმარნოკი | 1:1 |
| ფალკირკი-აბერდინი | 1:0 |
| ჰამილტონი-ჰართსი | 2:0 |
| ჰიბერნიანი-მაზერველი | 1:1 |
| რეინჯერსი-დანდი იუნ | 2:0 |
| ინვერნესი-სელტიკი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 24 | 17 | 4 | 3 | 52-25 | 55 |
| 2. რეინჯერსი | 24 | 16 | 5 | 3 | 53-18 | 53 |
| 3. დანდი იუნ | 24 | 10 | 8 | 6 | 33-30 | 38 |
| 4. ჰართსი | 24 | 11 | 5 | 8 | 25-26 | 38 |
| 5. აბერდინი | 24 | 11 | 4 | 9 | 29-25 | 37 |
| 6. ჰიბერნიანი | 24 | 8 | 7 | 9 | 30-32 | 31 |
| 7. მაზერველი | 24 | 8 | 5 | 11 | 27-33 | 29 |
| 8. ჰამილტონი | 24 | 9 | 2 | 13 | 23-36 | 29 |
| 9. კილმარნოკი | 24 | 8 | 3 | 13 | 23-32 | 27 |
| 10. სტ. მირენი | 24 | 7 | 5 | 12 | 19-28 | 26 |
| 11. ფალკირკი | 24 | 5 | 7 | 12 | 25-35 | 22 |
| 12. ინვერნესი | 24 | 5 | 3 | 16 | 22-41 | 18 |

### I დივიზიონი

XXIII ტური

ეირდრი-პარტიკი 0:1; დანფერმლაინი-ქუინი 0:2; დანდი-კლაიდი 2:1; მორტონი-სტ. ჯონსტონი 0:0; ლივინგსტონი-როსი 4:2.

### II დივიზიონი

XXIII ტური

არბროთი-ალოა 1:0; ეირი-რეითი 2:2; ბრეჩინი-სტირლინგი 1:2; ისტ ფაიფი-პიტერჰედი 0:3; ქუინზ პარკი-სტრანრაერი 1:1.

### III დივიზიონი

XXIII ტური

ალბიონი-ფორფარი 2:0; ბერვიკი-ისტ სტირლინგი გადაიდო; კოუდენბითიანენი 1:0; დამბარტონი-მონროუზი 1:1; სტენჰაუზმური-ელჯინი 4:2.

## პორტუგალია

XVI ტური

| | |
|---|---|
| სეტუბალი-გიმარაეში | 2:4 |
| ტროფენსე-სპორტინგი | 0:0 |
| ბენფიკა-რიუ ავე | 1:0 |
| აკადემიკა-ამადორა | 2:2 |
| მარიტიმუ-ნავალი | 1:0 |
| ნასიონალი-ლეიშოეში | 0:0 |
| ბელენენსეში-პორტუ | 1:3 |
| ბრაგა-ფერეირა | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 16 | 10 | 4 | 2 | 29-12 | 34 |
| 2. ბენფიკა | 16 | 9 | 6 | 1 | 26-12 | 33 |
| 3. სპორტინგი | 16 | 9 | 4 | 3 | 19-8 | 31 |
| 4. ლეიშოეში | 16 | 7 | 7 | 2 | 17-12 | 28 |
| 5. ბრაგა | 16 | 7 | 5 | 4 | 16-8 | 26 |
| 6. ნასიონალი | 16 | 7 | 5 | 4 | 23-19 | 26 |
| 7. მარიტიმუ | 16 | 7 | 5 | 4 | 18-14 | 26 |
| 8. გიმარაეში | 16 | 5 | 6 | 5 | 17-17 | 21 |
| 9. ამადორა | 16 | 5 | 5 | 6 | 14-20 | 20 |
| 10. ნავალი | 16 | 5 | 4 | 7 | 14-16 | 19 |
| 11. აკადემიკა | 16 | 4 | 6 | 6 | 12-16 | 18 |
| 12. ფერეირა | 16 | 4 | 3 | 9 | 20-28 | 15 |
| 13. ბელენენსეში | 16 | 3 | 5 | 8 | 13-25 | 14 |
| 14. ტროფენსე | 16 | 3 | 4 | 9 | 13-21 | 13 |
| 15. სეტუბალი | 16 | 3 | 3 | 10 | 9-22 | 12 |
| 16. რიუ ავე | 16 | 2 | 4 | 10 | 10-20 | 10 |

### II დივიზიონი

XVI ტური

ეშტორილი-ოლანენსე 2:1; გონდომარი-ფეირენსე 0:1; კოვილია-ავეში 0:2; ვიზელა-ბოავიშტა 0:0; ჟილ ვისენტე-ოლივეირენსე 1:1; ლეირია-ფრეამუნდე 3:0; ვარზიმი-პორტიმონენსე 1:0; სანტა კლარა-ბეირა მარი 1:0.

## საბერძნეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ოფი-ლარისა | 1:2 |
| ირაკლისი-არისი | 0:1 |
| პანიონიოსი-პანთრაკიკოსი | 3:0 |
| პანსერაიკოსი-ტრასიბულოსი | 1:0 |
| ლევადია-პანათინაიკოსი | 1:2 |
| პაოკ-ერგოტელისი | 2:0 |
| აეკ-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| ქსანთი-ასტერასი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 20 | 16 | 3 | 1 | 34-8 | 51 |
| 2. პაოკ | 20 | 11 | 7 | 2 | 23-9 | 40 |
| 3. პანათინაიკოსი | 20 | 11 | 6 | 3 | 36-15 | 39 |
| 4. აეკ | 20 | 8 | 10 | 2 | 24-17 | 34 |
| 5. ლარისა | 20 | 7 | 9 | 4 | 26-19 | 30 |
| 6. პანიონიოსი | 20 | 8 | 4 | 8 | 26-25 | 28 |
| 7. არისი | 20 | 7 | 7 | 6 | 15-18 | 28 |
| 8. ქსანთი | 20 | 5 | 10 | 5 | 13-12 | 25 |
| 9. პანთრაკიკოსი | 20 | 7 | 4 | 9 | 12-21 | 25 |
| 10. ერგოტელისი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-30 | 23 |
| 11. ლევადია | 20 | 6 | 4 | 10 | 17-20 | 22 |
| 12. ირაკლისი | 20 | 5 | 7 | 8 | 15-20 | 22 |
| 13. ასტერასი | 20 | 4 | 9 | 7 | 19-20 | 21 |
| 14. პანსერაიკოსი | 20 | 3 | 6 | 11 | 11-27 | 15 |
| 15. ოფი | 20 | 3 | 5 | 12 | 21-35 | 14 |
| 16. ტრასიბულოსი | 20 | 3 | 4 | 13 | 16-33 | 13 |

### II დივიზიონი

XX ტური

კალითეა-პიერიკოსი 1:1; აგროტიკოსი-იონიკოსი 1:0; აპოლონი-კავალა 0:2; დიაგორასი-ეთნიკოსი 2:2; ეთნიკოსი (ა)-კალამატა 1:1; ილისიაკოსი-ანაგენისი 0:1; კერკირა-ვერია 3:1; იანინა-კასტორია 3:1; ოლიმპიაკოსი (ვ)-ატრომიტოსი დღეს.

## თურქეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| კაისერი-სივასი | 0:0 |
| კოჯაელი-გენჩლერი | 0:2 |
| ანკარა-ტრაბზონი | 0:2 |
| დენიზლი-გალათასარაი | 0:2 |
| ანკარაგიუჯუ-კონია | 1:3 |
| ბურსა-ჰაჯეთეფე | 0:0 |
| ესქიშეჰირი-ბუიუქშეჰირი | 6:1 |
| ფენერბაჰჩე-გაზიანთეპი | 1:1 |
| ბეშიქთაში-ანთალია | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სივასი | 18 | 11 | 5 | 2 | 30-12 | 38 |
| 2. ტრაბზონი | 18 | 11 | 5 | 2 | 26-14 | 38 |
| 3. გალათასარაი | 18 | 11 | 3 | 4 | 40-21 | 36 |
| 4. ფენერბაჰჩე | 18 | 10 | 4 | 4 | 32-19 | 34 |
| 5. ბეშიქთაში | 18 | 10 | 4 | 4 | 29-18 | 34 |
| 6. ანკარა | 18 | 10 | 3 | 5 | 27-14 | 33 |
| 7. კაისერი | 18 | 7 | 7 | 4 | 18-10 | 28 |
| 8. გაზიანთეპი | 18 | 7 | 6 | 5 | 25-23 | 27 |
| 9. ბურსა | 18 | 7 | 5 | 6 | 23-24 | 26 |
| 10. ესქიშეჰირი | 18 | 5 | 7 | 6 | 26-26 | 22 |
| 11. გენჩლერი | 18 | 5 | 5 | 8 | 23-26 | 20 |
| 12. კონია | 18 | 5 | 5 | 8 | 18-27 | 20 |
| 13. ბუიუქშეჰირი | 18 | 5 | 4 | 9 | 18-29 | 19 |
| 14. ანთალია | 18 | 3 | 7 | 8 | 17-25 | 16 |
| 15. დენიზლი | 18 | 4 | 3 | 11 | 22-34 | 15 |
| 16. ანკარაგიუჯუ | 18 | 3 | 6 | 9 | 15-27 | 15 |
| 17. კოჯაელი | 18 | 3 | 3 | 12 | 23-42 | 12 |
| 18. ჰაჯეთეფე | 18 | 2 | 4 | 12 | 9-30 | 10 |

### II დივიზიონი

XX ტური

ქართალი-ქასიმფაშა 1:3; მანისა-მალათია 4:1; ადანა-საქარია 1:0; ბოლუშიდიარბაქირი 2:0; ერჩიესი-ბბ გაზიანთეპი 3:1; გირეშუნი-სამსუნი 1:0; გიუნგორენი-ქარაბუქი 0:2; ორდუ-რიზე 2:0; ქარსიაქა-ალთაი დღეს.

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ლუგანო-ციურიხი | 1:4 |
| ქსამაქსი-ბაზელი | 2:0 |
| ცსკა (ს)-ალზანი | 2:3 |
| ჰაიდუკი-რიდი | 1:2 |
| ობერჰაუზენი-ვერდენი | 2:0 |
| ვიბორგი-მიდტიულანდი | 0:2 |
| დინამო (მ)-კოპენჰაგენი | 0:1 |

## კვიპროსი

XX ტური

| | |
|---|---|
| აპოპ-ანორთოსისი | 0:3 |
| ალკი-ატრომიტოსი | 2:2 |
| ეთნიკოსი-აპოელ | 0:1 |
| აელ-ეთნიკოსი | 2:0 |
| აპეპ-დოქსა | 2:1 |
| აეკ-აპოლონი | 1:5 |
| ომონია-აეპ | 3:0 |

## ისრაელი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (თ-ა) | 3:0 |
| მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (ფ-თ) | 2:1 |
| ბნეი სახნინი-ჰაპოელი (ქ-შ) | 1:0 |
| მაკაბი (ნ)-ჰაკოახი | 2:2 |
| ბეითარი-აშდოდი | 3:2 |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ჰ) | დღეს |

## ჩრ. ირლანდია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| კრუზეიდერსი-კოლრეინი | 2:1 |
| გლენავონი-ლინფილდი | 1:4 |
| ინსტიტუტი-ბალიმენა | 0:0 |
| დუნგანონი-ლისბერნი | გადაიდო |
| ნიური-კლიფტონვილი | გადაიდო |
| გლენტორანი-ბანგორი | გადაიდო |

## უელსი

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ქეარნარფონი-ნიუთაუნი | 0:0 |
| პორთმადოგი-ქეარსუსი | 0:1 |
| ნითი-ქონასი | 0:1 |

## მექსიკა

### კლაუსურა

III ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-კრუს ასული | 1:0 |
| ხაგუარესი-სან ლუისი | 1:2 |
| მონტერეი-ჩივასი | 1:2 |
| მორელია-ამერიკა | 1:0 |
| ატლასი-ტიგრესი | 1:1 |
| ნეკაქსა-ინდიოსი | 2:2 |
| პაჩუკა-ატლანტე | 1:1 |
| ტოლუკა-პუმასი | გვ. დასრულდა |
| სანტოსი-პუებლა | გვ. დასრულდა |

## ჩილე

I ტური

| | |
|---|---|
| კურიკო-კოლო კოლო | 2:2 |
| უაჩიპატო-უნ. კონსეპსიონი | 0:1 |
| ნუბლენსე-ავდაქსი | 2:1 |
| ევერტონი-უნ. ესპანიოლა | 0:1 |
| მუნისიპალი-უნ. კატოლიკა | 0:4 |
| კობრესალი-ო'ჰიგინსი | 1:1 |
| ს. მორნინგი-კობრელოა | გვ. დასრულდა |
| რანგერსი-ლა სერენა | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

I ტური

| | |
|---|---|
| მანტა-ბარსელონა | 0:0 |
| მაკარა-ელ ნასიონალი | 1:0 |
| ლიგა დე კიტო-ოლმედო | 1:1 |
| დეპ. კიტო-კათ. უნივერსიდადი | 1:1 |
| ემელეკი-პორტოვიეხო | გვ. დასრულდა |

პორტსმუთი



# გრანტი ადამსის ნაცვლად?

## ადამსი: არ გადავდგები

"პორტსმუთის" ხელმძღვანელობა ბოლოდროინდელი შედეგებით ძლიერ შეშფოთებულია. "პომპებმა" ბოლო შვიდი თამაშიდან ექვსი შეხვედრა დათმეს და გასავარდნ ზონას სახიფათო მანძილზე მიუახლოვდნენ – გუნდი ამჟამად მე-16 ადგილზეა. "ტაიმსის" ინფორმაციით, ამ დღეებში კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ სტორი** და მესაკუთრე **ალექსანდრ გაიდამაკი** ერთმანეთს შეხვდებიან და მთავარი მწვრთნელის, **ტონი ადამსის** მომავალზე იმსჯელებენ. ბოლო ტურში "ფულჰემთან" წაგებული შეხვედრის შემდეგ აღმასრულებელი დირექტორი იმდენად აღშფოთებული იყო, რომ "ქრევენ კოტეჯი" მთავარი მწვრთნელისთვის სიტყვის უთქმელად დატოვა. მოგვიანებით მასთან მხოლოდ ტელეფონზე დაკავშირება ინება. მიუხედავად იმისა, რომ გაიდამაკი კლუბის გასხვისებას აპირებს, ის არ გეგმავს გაყიდვამდე კლუბის საცოდაობას უყუროს. შესაბამისად, მან შეიძლება რადიკალური ნაბიჯი გადადგას და ლეგენდარული ფეხბურთელი გუნდიდან დაითხოვოს. იგივე "ტაიმსი" გვამცნობს, რომ "პორტსმუთის" მწვრთნელობის მთავარი პრეტენდენტი "ჩელსის" ყოფილი დამრიგებელი **ავრაამ გრანტია**. საინტერესოა, რომ ლონდონში გადასვლამდე ებრაელი სპეციალისტი სწორედ "პომპების" ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა. შესაბამისად, მას გაიდამაკთან მშვენიერი ურთიერთობა აქვს.

გავრცელებულ ხმებზე კომენტარი გააკეთა თავად ტონი ადამსმა. წარუმატებელი თამაშის მიუხედავად, ის დანებებას არ აპირებს. *"ჩვენ ძალებს მოვიკრებთ და შემდეგ შეხვედრას მაღალ დონეზე ჩავატარებთ. განცხადებას გადადგომაზე ვერ ელირსებით. მე ბრძოლას ვაპირებ. ჩემმა ფეხბურთელებმაც უნდა იბრძოლონ. ისინი ერთ მუშტად უნდა შეიკრნენ. თუკი საჩხუბარია, ვიჩხუბებთ კიდეც,"* – ოპტიმიზმს არ კარგავს მწვრთნელი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**P.S.** გუშინ გვიან სალამოს ცნობილი გახდა, რომ "პორტსმუთმა" ლევერკუზენის "ბაიერიდან" 28 წლის ბერძენი ფორვარდი **თეოფანის გეკასი** გადაიბირა. ტონი ადამსს მოთამაშის ყიდვა სურდა, თუმცა გერმანელები მხოლოდ საიჯარო კონტრაქტს დათანხმდნენ. ბერძენი "ბაი არენას" მიმდინარე წლის ივლისიდან დაუბრუნდება. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემათ ინგლისელებს ოდესლაც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირთან სრულფასოვანი ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა. *"ჩვენი ახალწვეული მოწინააღმდეგის კარზე დაგეშილი თავდამსხმელია. ის ყოველთვის მეტოქის ბოლო მცველის ახლო მახლო მოქმედებს. მას შესანიშნავი საგოლე ალღო აქვს,"* – აცხადებს "პომპების" დამრიგებელი.

თეოფანისის ანგარიშზე ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში თხუთმეტი თამაშია და მათ შორის არც ერთი ძირითად შემადგენლობაში. გასაკვირი არ არის, რომ მან სულ ორი გოლის გატანა მოახერხა. შეგახსენებთ, რომ **ბრუნო ლაბადია** ბრმად ენდობა **პატრიკ ჰელმესისა** და **შტეფან კისლინგის** დუეტს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა საქმიანი

# ქართუ, ქართული ჭიდაობა გიხმობს!

რაც დრო გადის, აშკარად შეიმჩნევა, რომ სპორტულ ფედერაციებში მეტი და მეტი საქმისთვის გულანთებული ხალხი მოდის. მთავარია, ეს საქმეს ეტყობა. დიდი ხანი არ არის, რაც ქართულ ჭიდაობაში **უშანგი ყურაშვილი** მისივე სურვილით და ეროვნული საუნჯისადმი ბავშვობიდან გამოყოლილი სიყვარულით მოვიდა ფედერაციის პრეზიდენტად. ესეცაა, როცა ყველა ხედავს, რომ მინდობილი საქმისადმი ადამიანი არაფერს იშურებს, სხვებიც მზად არიან დახმარების ხელის გასაწვდენად. მით უფრო, თუ საქმე საზიაროა, ანუ საერთო ზრუნვის საგანია. ქართული ჭიდაობა კი სწორედ ასეთ ყურადღებას იმსახურებს.

ფედერაციის პრეზიდენტმა დაპირებების რეალიზება მოსვლის პირველი დღიდანვე დაიწყო. ახლა, ვისაც შეხვდება, საუბარს ქართული ჭიდაობით იწყებს და ამთავრებს - ზოგს გულთან ახლოს მიაქვს, ზოგს...

ამ დღეებში ალტაცებულმა დაგვირეკა: „ვერ წარმოიდგენთ, როგორი სტიმულია, როცა კაცი სიტყვას მოგცემს და უმალვე საქმეს მოაყოლებს", - გვითხრა. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** საჭიდაო ლეიბებს დაპირებია და ორ დღეში მიუღიათ კიდეც. მეშვიდე ცაზე იყო სიხარულით: „ვენაცვალე, სიტყვის კაცი ყოფილა". ამ ფრაზას არ მოვიტანდით, მსგავსი შეფასებების დეფიციტი რომ არ გაგვაჩნდეს ქვეყანაში. როცა ყველა თანამდებობის პირი სიტყვას საქმედ აქცევს, - აი, მაშინ ვიქნებით ძლიერები ყველა ერთად.

„ერთსაც გეტყვით, ახლა „ქართუ ბანკს" ვუტრიალებ, რომლის საარაკო ქველმოქმედება საყოველთაოდ ცნობილია. მინდა მისი ხელმძღვანელობა და ფონდი მხარში დაგვიდგეს, რომ ქართული ჭიდაობა საერთაშორისო სარბიელზე, რაც შეიძლება მალე გავიტანოთ", - ესეც უშანგი ყურაშვილმა გვითხრა.

იმრავლოს სიტყვამ საქმიანმა...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ქართული ჭიდაობა და მკლავჭიდი. სიმონ მაისურაძის სახელობის ტურნირი





# დღესასწაული ამაგის დასაფასებლად

ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნულ სახეობათა ასოციაციის (პრეზიდენტი **დიმიტრი დუნდუა**) ინიციატივითა და თბილისის მერიის მატერიალური დახმარებით გასულ უქმეებზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში პირველად გაიმართა სახელოვანი სპორტსმენის, ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონისა და 1952 წლის ფალავნის **სიმონ მაისურაძის** სახელობის ტურნირი. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 70-მდე მოჭიდავე და ამდენივე მკლავჭიდელი მონაწილეობდა.

ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან საპრიზო ადგილებისთვის სახელოვანი ათლეტებიც იბრძოდნენ. მაგალითად, მძიმე წონის ფინალში ერთმანეთს სამბოში ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორი **ზვიად ჩინჩალაძე** და **დიმიტრი ტურაშვილი** დაუპირისპირდნენ. მინიმალური უპირატესობით ჩინჩალაძემ გაიმარჯვა.

ასევე დაძაბული გამოდგა გადამწყვეტი პაექრობა 60 კილოში. სპეციალისტთა ვარაუდის საპირისპიროდ, ახალგაზრდა **ამირან თამლიანმა** სამბოში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის პრიზიორ **ავთანდილ ცინცაძეს** აჯობა.

- მესტიიდან ძიუდოისტთა მსოფლიოს თასის საყურებლად ჩამოვედი, - მითხრა სახელოვანი ფალავნის **ნესტორ ხერგიანის** ძმამ **გიორგიმ**, რომელიც სვანეთში ჭიდაობის მწვრთნელად მუშაობს. - სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრებს რამდენიმე ჩემი შეგირდიც ესწრებოდა; მათ შორის - ამირან თამლიანი. რომ გავიგე, ქართული ჭიდაობის ბერმუხის - სიმონ მაისურაძის ტურნირი იმართებოდა, სპეციალურად დავრჩი ამ შეჯიბრებისთვის და ამირანს ვთხოვე, ეჭიდავა. როგორც ხედავთ, იმედები გამიმართლა. დიდი მადლობა ასპარეზობის ორგანიზატორებს ლამაზი ღონისძიებისთვის, თუმცა ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი სიმონი - კაცი ლეგენდა, უფრო ფართომასშტაბიან ტურნირს იმსახურებს, რომელშიც მთელი საქართველო იქნება ჩაბმული...

გაუწყებთ შეჯიბრების გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**ქართული ჭიდაობა. 60 კგ.** 1. ამირან თამლიანი (მესტია), 2. ავთანდილ ცინცაძე (მცხეთა), 3. ლაშა შავდათუაშვილი (გორი). **65 კგ.** 1. შოთა ბეჟიტაშვილი (თბილისი), 2. ლევან შერმადინი, 3. ლევან ქოჩიევი (ორივე მცხეთა). **72 კგ.** 1. კახა მამულაშვილი (კასპი), 3. ლევან ნახუცრიშვილი, 3. თემურ ოქრუაშვილი (ორივე - მცხეთა), **80 კგ.** 1. გიგა ნიკლაური, 2. ზაქრო მუმლაური (ორივე - მცხეთა), 3. თენგიზ მამადაშვილი (თბილისი). **90 კგ.** 1. გიორგი ცოციაშვილი (მცხეთა), 2. დევიკო გობეჯიშვილი (თბილისი), 3. ლაშა ბერიძე (რუსთავი). **მძიმე წონა.** 1. ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი), 2. დიმიტრი ტურაშვილი (საგარეჯო), 3. ვალერი იმერლიშვილი (თელავი).

**მკლავჭიდი. 60 კგ.** 1. ლაშა კახელაშვილი, 2. გიორგი ფურცელაძე, 3. ნიკა წერეთელი (სამივე თბილისი). **70 კგ.** 1. ზაზა თაბაგარი (ჭიათურა), 2. რევაზ გოგიაშვილი (თბილისი), 3. პაატა მახარაშვილი (რუსთავი). **80 კგ.** 1. გიორგი ალბუთაშვილი (თბილისი), 2. ზურაბ ბახტაძე (კასპი), 3. გიორგი გაიხარაშვილი (თბილისი). **90 კგ.** 1. გიორგი თვალიაშვილი (თბილისი), 2. მალხაზ ხვედელიძე (საჩხერე), 3. ბესიკ ლეკიაშვილი (რუსთავი). გოგონებში სულ ორი მონაწილე იყო. პირველ-მეორე ადგილები თამარ წერეთელმა (თბილისი) და თამარ დავითურმა (კახეთი) გაინაწილეს.

კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ასული სპორტსმენები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებით, ფასიანი საჩუქრებითა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

**დიმიტრი დუნდუა**: - უპირველესად, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის მერიასა და მის სპორტის სამსახურს, რომლებმაც ეს ღონისძიება დააფინანსეს და დიდებული დღესასწაული უძღვნეს როგორც ასპარეზობის მონაწილეებს, ასევე, ამაგდარ პიროვნებას - სიმონ მაისურაძეს, რომლის წინაშეც ქართული ჭიდაობის სამყარო ვალშია. იგი არა მარტო ჩვენი ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონი და ფალავანია, არამედ ათჯერ თბილისის პირველობის გამარჯვებული და ორგზის დედაქალაქის ფალავანიცაა. ბატონი სიმონი წლების განმავლობაში არა მხოლოდ პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაც ილვწოდა ქართული ჭიდაობის განვითარება-პოპულარიზაციისთვის. ვეცდებით, მომდევნო ტურნირები უფრო მასშტაბური გავხადოთ.

**სიმონ მაისურაძე**: - რა უნდა გითხრათ: გახარებული ვარ. ხალიჩაზე დაძაბული ორთაბრძოლები ვიხილეთ. დიდი მადლობა შეჯიბრების ორგანიზატორებს, რომლებმაც ამ მხცოვან კაცს ამაგი არ დამიკარგეს და ასეთი საინტერესო დღესასწაული მაჩუქეს.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ფიზ. ოლიმპიადა

# გაცუდებული ფინალი

29-31 იანვარს ქართველმა ტყვიის მსროლელებმა მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს. ბუნებრივია, ჩვენ პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის, **ნინო სალუქვაძის** გვეიმედებოდა. პნევმატური იარაღიდან სროლაში ქალთა შორის პირველი შეჯიბრება 29 იანვარს გაიმართა. ნინო სალუქვაძემ და **თამილა ასათიანმა** ვერ შეძლეს ფინალში გასვლა. ნინოს სულ ერთი საფეხური დააკლდა ამისთვის, 382 ქულით მე-9 ადგილზე გავიდა. არადა, ამდენივე ქულა დააგროვა მერვე ადგილზე გასულმა ფრანგმა **სელინ გობერვილმა**. თამილა ასათიანი 370 ქულით 61 მონაწილეს შორის 52-ე იყო.

მეორე დღეს ვაჟთა შორის პნევმატური იარაღიდან სროლაში **ლევან ქადაგიძე** 71 მონაწილეს შორის 68-ე იყო 555 ქულით. შაბათს, ქალთა შორის კიდევ ერთი შეჯიბრება გაიმართა, რომელშიც სალუქვაძემ 388 ქულა დააგროვა და ფინალის საგზური მოიპოვა. ამდენივე ქულა ჰქონდა **მიროსლავა საგუნ-ლევანდოვსკას**. მათ ქულით უსწრებდა რუსი **გალინა ბელიაევა**. სამწუხაროდ, ნინომ ძალზე სუსტად იასპარეზა ფინალში - 95,7 ქულა შეპმატა მონაგარს და საბოლოოდ 483,7 ქულით მეშვიდე ადგილს დასჯერდა. ფინალში ჩვენებურზე ცუდად მხოლოდ ლიდერმა ბელიაევამ ითამაშა. ტურნირი კი საგუნ-ლევანდოვსკამ 487,1 ქულით მოიგო. რაც შეეხება თამილა ასათიანს, მან 58-ე ადგილი დაიკავა (368 ქულა). ვაჟთა შორის კიდევ ერთ შეჯიბრებაში ლევან ქადაგიძემ (549 ქულა) 69 მონაწილეს შორის 67-ე ადგილი დაიკავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი



# ჩიხლაძემ ნახევარფინალი იმყოფინა

ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში, საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) ლადო ჩიხლაძე ნახევარფინალში გავიდა.

ამ ტურნირის შესახებ ჩვენ თხრობა მეოთხედფინალზე შევწყვიტეთ, ლადოს მეტოქე მესამე წრეში ირლანდიელი **კოლინ ობრაიენი** (716) იყო, ქართველმა ჩოგბურთელმა ორ სეტში იმარჯვა - 7:6 (4), 6:3. ჩიხლაძეს, ნესით, ფინალში გასვლის კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ ლადომ ვერაფერი გააწყო 19 წლის ავსტრიელ **ნიკოლას რაისიგთან** (923) - 3:6, 4:6. ზალცბურგის ტურნირის გამარჯვებული 21 წლის სლოვაკი **მილოსლავ მეჩირი** (624) გახდა, რომელმაც ფინალში რაისიგს იოლად მოუგო - 6:3, 6:4.

ზალცბურგში კიდევ ერთი ტურნირი (10 ათასი $) იწყება - „ბერგჰაიმ ტროფი". ამ შეჯიბრებაში ლადოს მიმდინარე რეიტინგით უწევს ფონს გასვლა, ასე რომ, იგი საკვალიფიკაციო ბადეშია, სადაც მე-9 ნომრად განთესეს. ჩიხლაძე 17 წლის გერმანელ **სებასტიან ჰანს** ეთამაშება. „ბერგჰაიმ ტროფიზე" ლადო ეული ქართველი არ არის - საკვალიფიკაციო ბადეში მე-5 ნომრად **ლაზარე კუხალაშვილია** (920) განთესილი. ლაზარე 5 თებერვალს 18 წლის გახდება, სეზონი კი მისთვის ახლა იწყება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

# ზირაქაშვილის მორიგი ლელო და გამარჯვება

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტარულ, პირველ დივიზიონში, რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ათი ტური დარჩა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საპლეიოფო ოთხეულის ვინაობა გარკვეულია. ისევე როგორც შარშანდელ სეზონში, „სტად ფრანსეს", „ტულუზს", „პერპინიანს" და **დავით ზირაქიშვილის** „კლერმონს" ჩემპიონობას ალბათ ვერავინ შეეცილება. რაც შეეხება ცხრილის ფსკერს, აქ გავარდნის რეალური **კანდიდატები ირაკლი გიორგაძის** „დაქსი", **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი", **დავით ქუბრიაშვილისა** და **გია ლაბაძის** „ტულონი" არიან.

მე-16 ტურში „კლერმონმა" საკუთარ მოედანზე ბასკური „ბაიონი" მიიღო და იოლად სძლია - 44:10. დავით ზირაქაშვილი თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო და ექვს წუთში მეტოქეს ლელო გაუტანა. ვულკანებს ახლა 50 ქულა აქვთ და მეოთხე ადგილზე არიან. მათ ათი ქულით ჩამორჩება მეხუთეადგილოსანი „ბაიონი".

უაღრესად საჭირო გამარჯვება მოიპოვა უშუალო კონკურენტ „მონ დე მარსანთან" საშინაო შეხვედრაში დავით ქუბრიაშვილისა და გია ლაბაძის „ტულონმა" - 38:22. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 70-ე წუთზე შეცვალეს. ლაბაძე განაცხადში არ იყო.

ასევე საკუთარ მოედანზე დამარცხა ირაკლი გიორგაძის „დაქსი" **მამუკა გორგოძის** „მონპელიემ" - 23:14. გორგოძე თამაშში 43-ე წუთიდან ჩაერთო. გიორგაძე განაცხადში არ იყო.

ფრედ 11:11 დასრულდა კასტრში აქვსენტი გიორგაძის „კასტრისა" და **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივის" დაპირისპირება. ორივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. ხინჩაგიშვილი 49-ე წუთზე შეცვალეს. გიორგაძემ მოედანზე 11 წუთით მეტი დაჰყო.

სტუმრად „ბურგუენთან" დამარცხდა **გოდერძი შველიძის** „მონტობანი" - 15:25. ქართველი მერკინების პირველხაზელი თამაშში 75-ე წუთიდან ჩაერთო.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XVI ტური. **ტულონი-მონ დე მარსანი 38:22, კასტრი-ბრივი 11:11, კლერმონი-ბაიონი 44:10, ბიარიცი-ტულუზი 17:13, მონპელიე-დაქსი 23:14, ბურგუენი-მონტობანი 25:15, სტად ფრანსე-პერპინიანი 13:13.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტულუზი - 58 ქულა, 2. სტად ფრანსე - 56, 3. პერპინიანი - 54, 4. კლერმონი - 50, 5. ბაიონი - 40, 6. ბრივი - 39, 7. მონტობანი - 37, 8. მონპელიე - 36, 9. ბიარიცი - 34, 10. ბურგუენი - 28, 11. დაქსი - 26, 12. ტულონი - 25, 13. კასტრი - 24, მონ დე მარსანი - 20.**

მეორე დივიზიონში 18 ტურის შემდეგ კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგი". პარიზელებმა ამჯერად უშანსოდ დატოვეს **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი" - 32:10. ჩხაიძე ძირითად შემადგენლობაში იყო. კუთარაშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

ლეგიონერები

სტუმრად **დავით აშვეთიას** „ოიონაქსთან" დამარცხდა ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი, **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** „აჟენი" - 3:19. სამივე ქართველმა ძირითად შემადგენლობაში იასპარეზა. აშვეთია 63-ე წუთზე შეცვალეს, ფეიქრიშვილმა კი, მოედანზე მასზე ორი წუთით მეტი დაჰყო. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

შინ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა უშუალო კონკურენტ **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიესთან" დაპირისპირებაში **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემ" - 12:6. ქართველ მორაგბეებს ამ თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. საკუთარ მოედანზე გაიმარჯვა „ლიონთან" მატჩში **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმა" - 16:19. მაგრაქველიძე შეხვედრაში 69-ე წუთიდან ჩაერთო. სტუმრად წააგო „ბორდოსთან" მალხაზ ურჯუკაშვილის, გიორგი ელენტისა და ლევან დათუნაშვილის „ორიაკმა" - 18:29. ურჯუკაშვილმა, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, ერთი საჯარიმო გაიტანა (სამი ქულა). ელენტი და დათუნაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

II დივიზიონი. **ალბი-ბურგ ან ბრესი 31:18, ოში-ლა როშელი 5:6, ბეზიე-კოლომიე 12:6, პო-გრენობლი 9:8, ტარბი-ლიონი 19:16, ოიონაქსი-აჟენი 19:3, მეტრო რასინგი-ნარბონი 32:10, ბორდო-ორიაკი 29:18.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. მეტრო რასინგი - 59 ქულა, 2. ალბი - 56, 3. ლა როშელი - 53, 4. ოიონაქსი - 52, 5. აჟენი - 48, 6. პო - 47, 7. ლიონი - 43, 8. ტარბი - 42, 9. ორიაკი - 42, 10. გრენობლი - 41, 11. ოში - 37, 12. ბორდო - 33, 13. ნარბონი - 33, 14. კოლომიე - 32, 15. ბეზიე - 26, 16. ბურგ ან ბრესი - 16.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. მეტოქეები

**საქსონები-პორტუგალია 66:0**

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ, პორტუგალიის ეროვნულმა ნაკრებმა საწვრთნელი შეხვედრა გამართა სტუმრად ინგლისელ საქსონებთან და მშრალი ანგარიშით - 0:66 დამარცხდა. საქსონებმა პორტუგალიელებს 10 უპასუხო ლელო გაუტანეს.

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიის ნაკრებს ბორჯღალოსნები 14 თებერვალს თბილისში უმასპინძლებენ. მანამდე კი, ერთი კვირით ადრე გერმანელებს ვესტუმრებით ჰაიდელბერგში. ლობუშები ამ დროს ლისაბონში მიიღებენ რუსთა ნაკრებს.

პორტუგალიის ნაკრები საქსონების წინააღმდეგ:

15. პედრო კაბრალი, 14. ადერიტო ესტევესი, 13. დიოგო მატეუში, 12. ფრანსისკო მირა, 11. გონსალო ფორო, 10. დუარტე პინტო, 9. ჟოზე პინტო. 1. ჟორჟე სეგურადო, 2. ჟოაო კორეია, 3. ჟოან მურე, 4. ჟუან სევერინო, 5. გონსალო უვა, 6. ედუარდო აკოსტა, 7. სალვადორ პალპა, 8. ვასკო უვა.

16. ჟორო ჟუნიორი, 17. ნუნო ტაფული, 18. დავიდ დოს რეისი, 19. ანტონიო დუარტე, 20. პედრო ლეალი, 21. პედრო სილვა, 22. ანტონიო აგილარი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს მე-18 ჩემპიონატი. მე-10 ტური

# თებერვალი დადგა...

01.02. თბილისი, სპორტის სასახლე

**მაკაბი–შსს 77:102**

14:15, 20:32, 26:25, 17:30

მაკაბი: კილაძე (12 ქ. 5 მ), ანთაძე (18 ქ. 9 მ. 4 პ), ლონდარიძე (12 ქ. 10 მ), ახმედიანი (5 ქ. 4 მ), ჯანგველაძე (21 ქ. 8 მ. 3 პ), ბიბილური (4 ქ. 10 მ), თევზაძე, არონია, სუდაძე (5 ქ), მჭედლიშვილი

შსს: შენგელია (15 ქ. 9 მ. 5 პ), მიქაბერიძე (1 ქ. 3 პ), ბერუაშვილი (4 ქ. 5 მ), ბ. ნოზაძე (12 ქ. 14 მ. 2 დ), ნინუა (12 ქ. 5 პ. 5 ჩ), პატარაია (16 ქ. 3 პ. 6 ჩ), გოლეთიანი (22 ქ. 5 მ. 3 პ) ამაშუკელი (2 ქ), ფაიქრიძე (1 ქ), აბულაძე (15 ქ. 6 მ), ი. ბაქრაძე, ბერია (2 ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**დინამო–თსუ 76:91**

12:24, 19:19, 23:29, 22:19

დინამო: გ. ბაქრაძე (9 ქ. 5 პ), ნანიტაშვილი (6 ქ), სორდია, ლაფანაშვილი (22 ქ. 9 მ. 5 პ), სიგუა (5 ქ. 5 მ. 3 პ), დოლიძე (2 ქ), ბოლქვაძე (14 ქ), ქადარია (9 ქ. 5 მ), ხანიაშვილი (6 ქ), კობიძე (3 ქ), ხიზანიშვილი

თსუ: ივანეიშვილი (3 ქ), ფანჩულიძე (3 ქ), გაფრინდაშვილი (6 ქ. 5 პ), ელანიძე (3 ქ), კოხრეიძე (15 ქ. 11 მ. 4 პ), შანიძე (3 ქ), ლოსაბერიძე (9 ქ), მარკოიშვილი (29 ქ. 6 მ), კუჭავა (2 ქ), ხეცურიანი (18 ქ. 10 მ. 4 პ. 3 ჩ), დეკანოიძე

**სასოფლო–ენერჯი 64:81**

16:22, 16:15, 12:21, 20:23

სასოფლო: გულისაშვილი (3 ქ. 7 მ), მ. ბერიშვილი (11 ქ. 8 მ. 2 დ), მარხვაშვილი (13 ქ. 3 პ), ტყეშელაშვილი (6 მ), ნივნიძე (16 ქ. 5 მ. 5 პ), ათანელიშვილი (2 ქ. 5 მ) ყველაშვილი (4 ქ), გ. ბარბაქაძე (15 ქ)

ენერჯი: გამყრელიძე (13 ქ. 3 პ. 7 მ), ბაბიაშვილი (8 ქ. 7 მ), ლეჟავა (11 ქ), დოდია (8 ქ), ცაკავა, ტულუში (20 ქ), უგრეხელიძე (7 ქ), არნიკიძე, ტუჯანი (12 ქ. 8 მ), ჭოჭუა (2 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**ნტდ\თბილისი–ავიამშენი 88:89**

27:22, 23:21, 17:22, 21:24

ნტდ\თბილისი: ტეტელაშვილი (2ქ), ჩიტაშვილი (6ქ. 3პ), ფაშაევი (17ქ. 7მ. 5პ), სარიევი, ნიფტალიევი (6ქ. 3პ), გლოველი (8ქ), ბახშიევი (20ქ. 5მ), სუხიშვილი (22ქ. 7მ), დ. ბარბაქაძე (5ქ. 5მ. 4პ. 3ჩ), ათუაშვილი (2ქ)

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (13ქ. 7პ. 3ჩ), ნიკოლაძე (17ქ. 3პ), მინაშვილი (1ქ), მათიაშვილი (16ქ. 12მ), ნინიაშვილი (4ქ), ნაცვლიშვილი (14ქ. 6მ), პირველაშვილი (2ქ), ბოისა (13ქ. 5პ. 5მ), დ. ბერიშვილი (9ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ზ. მაჩალაძე



უტევს ტურის სნაიპერი გიორგი მარკოიშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თებერვლის დადგომასთან ერთად წყალი ჩადგა საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში (დაიწყო მეორე წრე), ხოლო გაფურჩქვნას გაზაფხულზე, პლეი ოფებიდან უნდა ველოდეთ. ნამდვილი კალათბურთი ხომ NBA-შიც პლეი ოფიდან იწყება. სპორტის სასახლეში ერთმანეთის მიყოლებით 4 მატჩი გაიმართა, თუმცა ვიდრე ამ შეხვედრებს შევეხებოდეთ, ერთ სამწუხარო ამბავს ვერ ავუვლით გვერდს: ტურის ცენტრალური შეხვედრის დაწყების წინ დიქტორმა გამოაცხადა - გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ევროპის ჩემპიონისა და ჩემპიონთა თასის მფლობელის **ვლადიმერ უგრეხელიძის** ხსოვნას...

ტურის პირველ მატჩში ერთმანეთს „მაკაბი" და შსს დაუპირისპირდნენ. ძალოვნებს მოგებათა მარაგის ორამდე გაზრდის შანსი ჰქონდათ, რაც ხელიდან არ გაუშვეს - 102:77 **კახა შენგელიას** გუნდის სასარგებლოდ. კახა შსს-ს პირველი წრის ბოლოს დაემატა და „მაკაბისთან" დაპირისპირება მისთვის სეზონში მესამე იყო. კახამ კალათბურთელობასთან ერთად მწვრთნელობა შეითავსა, რაც მისთვის უცხო ხილი არაა - პარალელურად ბავშვთა გუნდებს ავარჯიშებს.

თუკი „მაკაბი"-შსს-ს მატჩის ოქმს გადავხედავთ, ორი ციფრი გვეცემა თვალში - მაკაბელთა 27 მოხსნა მეტოქის ფარზე (რაც მათ იერიშებისას სათანადოდ ვერ გამოიყენეს) და შსს-ელთა 19 ჩაჭრა. ამ კომპონენტში **შოთა პატარაიამ** და **მანუჩარ ნინუამ** იყოჩაღეს. პირველმა ბურთი 6-ჯერ ჩაჭრა, მეორემ - ხუთჯერ.

მეორე შეხვედრის დაწყებამდე საინტერესო იყო თსუ-ს შემადგენლობის გადახედვა - უფულობის გამო ვინ დატოვა გუნდი და ვინ გადაწყვიტა უხელფასოდ თამაში. თსუ-დან ოთხი კალათბურთელი რომ წავიდა, უკვე გითხარით. **ბარბაქაძეების, ყველაშვილის** და **დათო ბერიშვილის** წასვლით გუნდი ნამდვილად დასუსტდა, მაგრამ არა ისე, რომ ოთხეულისთვის ბრძოლაზე ხელი აელო. თანაც, თსუ-ს დაუბრუნდა ამერიკამოვლილი **მიხეილ ფანჩულიძე**.

**გიორგი მარკოიშვილის** სამქულიანების წყალობით სტუდენტებმა „დინამოსთან" თავიდანვე 12-ქულიანი ფორა მოიპოვეს, რომლის შენარჩუნება ბოლო პერიოდამდე მოახერხეს. მეოთხე ათწუთეულს მარკოიშვილი 22 ქულით შეხვდა და სავსებით რეალური იყო მისი მხრიდან რეკორდის გაუმჯობესება. თუმცა, გიორგიმ ბოლო ათწუთეულში 7 ქულა ჩააგდო, 29 ქულას მოუყარა თავი, რაც მხოლოდ მატჩის სნაიპერობისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ერთ მატჩში ჩაგდებული ქულების მიხედვით ჩემპიონატის ბომბარდირი კვლავაც **დავით იმნაძეა** - 34 ქულა. თსუ-ს კაპიტნისთვის, **შიო ხეცურიანისთვის** ორმაგი დუბლი უცხო ხილი არ არის (მან „დინამოსთან" 18 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა), გამთამაშებელი **შალვა კოხრეიძის** მიერ ჩაგდებულ 15 ქულასა და 11 მოხსნას კი ხაზი აუცილებლად უნდა გაესვას.

ტურის ფრაზაც ამ შეხვედრაში მოვისმინეთ: *„ხეცურიანი ძიუდოს ჭიდაობს, მიხედეთ"*, - მსაჯებს მიუთითა „დინამოს" მწვრთნელმა **ზაზა ცაგარეიშვილმა**.

იანვრის ბოლოს, საქართველოს თასის ნახევარფინალში ერთმანეთს „ენერჯი"-"სასოფლო" და „ავიამშენი"-"ნტდ/თბილისი" დაუპირისპირდნენ. იკითხავთ: რა შუაშია თასი ჩემპიონატთან? მეორე წრის პირველ ტურშიც იგივე გუნდები შეხვდნენ ერთურთს.

თასის ნახევარფინალის მატჩები გუშინდელებს სცენარითაც ძალიან ჰგავდა. რუსთავის "ენერჯის" "სასოფლოსთან" პირველ ტაიმში ამჯერადაც გაუჭირდა, მესამე პერიოდში კი **კოტე ტულუშის** დამაჯერებელი თამაშის წყალობით სოლიდური სპურტი მოაწყო და მატჩი მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე. მესამე ათწუთეულის შუაში სხვაობა მხოლოდ 2 ქულას შეადგენდა (39:37 "ენერჯის" სასარგებლოდ), როცა ტულუშმა ორქულიანებს სამიანები მიაყოლა და 11:0 გაქცევა გამოაცხო.

სასოფლოელებმა **გიგი ბარბაქაძის** წინამძღოლობით მეოთხე პერიოდში სხვაობის 7 ქულამდე შემცირება შეძლეს, თუმცა თამაშის შემოსატრიალებლად ძალა აღარ ეყოთ.

"ავიამშენი"-ნტდ-ს მატჩის დაწყებამდე პრესლოჟაში ითქვა: ტურის ცენტრალური მატჩი სწორედ ნტდ -"ავიაა" და ტელევიზიითაც ის უნდა გადაცემულიყოო. შეხვედრამ მოლოდინი გაამართლა. მატჩის ბედი საფინალო სირენამდე 3 წამით ადრე გადაწყდა...

დასაწყისში "ნტდ\თბილისის" მწვრთნელმა, **ნუგზარ კანდელაკმა** მეტოქეს სიურპრიზი შესთავაზა – სასტარტო შემადგენლობაში დააყენა ორი გამოუცდელი ახალგაზრდა, **გიორგი ტეტელაშვილი** და **გიორგი გლოველი**. მათ მწვრთნელის იმედები გაამართლეს და მეტოქის კალათს თამამად შეუტიეს. შედეგად ნტდ-მ პირველი პერიოდი 27:22 მოიგო. მეორე და მესამე ათწუთეულები თანაბარ ბრძოლაში გაილია, თუმცა მცირე უპირატესობას მაინც "თბილისი" ინარჩუნებდა.

მესამე მეოთხედიდან "ავიამშენის" რიგებში გამოჩნდა გამოცდილი, **ვახტანგ ნაცვლიშვილი**, რომელმაც მეოთხე პერიოდის დასაწყისში ქულა ქულას მიაყოლა და თანაგუნდელებს 8-ქულიანი უპირატესობა მოუტანა – 81:73. ნუგზარ კანდელაკის შეგირდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფარ-ხმალი არ დაყარეს და სირენამდე 26 წამით ადრე **ზაურ ფაშაევმა** სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა – 87:87. ისევე როგორც ამ გუნდების თასის ნახევარფინალურ შეხვედრაში, მატჩის ბედი "ავიატორმა" **ირაკლი ბერიშვილმა** გადაწყვიტა. მან სირენამდე 6 წამით ადრე დრიბლინგი ორქულიანით დააგვირგვინა. ამას მოჰყვა ერთი მხრიდან ფაშაევის (ერთი), მეორე მხრიდან იმავე ბერიშვილის აცილებული საჯარიმოები და "ავიამ" 89:88 გაიმარჯვა.

ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო კალათბურთელად ვატო ნაცვლიშვილი დავასახელეთ. მან თამაშის ბედი "ავიას" სასარგებლოდ შემოატრიალა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი NBA-ში

# 27, 27, 27...

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" განვლილ უქმეებზე ერთმანეთს ორი მატჩი მიაყოლა. ჯერ "ნიუ ჯერსი ნეთსს" უმასპინძლა, შემდეგ "მილუოკი ბაქსს" ესტუმრა. ჯორჯიელებმა შინ გაიმარჯვეს – 105:88, ხოლო მილუოკიში დამარცხდნენ – 107:110.

**ელ ჰორფორდის** არყოფნაში ზაზა ფაჩულია "ჰოქსის" სასტარტო ცენტრია და კვლავ საკმარისი სათამაშო დრო აქვს. "ნიუ ჯერსისთან" ზაზამ იმდენი წუთი ითამაშა, რა ნომერიც ზურგზე აწერია – 27. ამ დროში მას მეტოქის კალათის მიმართულებით თამაშიდან ერთი ტყორცნაც არ შეუსრულებია. მსგავსი შემთხვევა მიმდინარე სეზონში ერთხელ მოხდა – 5 დეკემბერს "ნიუ იორკთან" მატჩისას. თუმცა მაშინ ზაზამ 13 წუთი ითამაშა და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ სროლისთვის ვერ მოიცალა. მეორე დღეს, 6 დეკემბერს კი მან სეზონის პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა: "დალასთან" 13 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა...

დავუბრუნდეთ "ნიუ ჯერსისთან" დაპირისპირებას, რომელშიც ქართველმა ცენტრმა მხოლოდ საჯარიმოები ისროლა, 8-დან 7 კალათში მოათავსა. ბოლო ორი საჯარიმო ფაჩულიამ მესამე პერიოდის დასრულებამდე 40 წამით ადრე შეასრულა და თანაგუნდელები 80:71 დააწინაურა.

მეოთხე პერიოდში მასპინძელთა მწვრთნელმა, **მაიკ ვუდსონმა** ჩვეულ ტაქტიკას მიმართა, აქცენტი ტანდაბლებზე გადაიტანა (ზაზას აღარ უთამაშია) და **მაიკ ბიბისა** და **ჯო ჯონსონის** დამაჯერებელი თამაშის წყალობით "ატლანტამ" მესამე პერიოდის ბოლოს მიღწეული უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

ჯო ჯონსონმა 29 ქულა მიითვალა, **ფლიპ მიურეიმ** – 23, ხოლო მაიკ ბიბიმ – 20. ზაზამ კი იმდენი ჩააგდო, რა ნომრითაც საქართველოს ნაკრებში თამაშობს – 7.

ზაზა ფაჩულია მილუოკის ტკბილი მოგონებებით ეწვია, რადგან სამი წლის წინ სწორედ იქ დააფასეს იგი მწვრთნელებმა, თუმცა ამჯერად მილუოკიდან უკმაყოფილო დაბრუნდა – "ირმებმა" "ქორები" ბოლო წუთებზე 110:107 დაამარცხეს.

ამ შეხვედრაში ზაზა მესამე პერიოდში გაიხსნა, 11-დან 7 ქულა სწორედ მესამე თორმეტწუთეულში მიითვალა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჯორჯიელებს მასპინძლების შეჩერება გაუჭირდათ და 34 ქულა ჩააგდებინეს. ამავე მეოთხედში მილუოკელთა გაქცევა ზაზას მოედნიდან გასვლას და **ენდრიუ ბოგუტის** (სხვათა შორის, "ბაქსის" ხელმძღვანელობა ფაჩულიას იმიტომ შეელია, რომ დრაფტზე ბოგუტი აიყვანა) გააქტიურებას მოჰყვა. მესამე პერიოდის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მწვრთნელმა დაღლილი ზაზა მიურეითი შეცვალა (ანგარიშზე 64:70). ამის შემდეგ ბოგუტმა 5 ქულა 2 პასი გააკეთა, მას თანაგუნდელები შეეშველნენ და მეოთხე პერიოდის დასაწყისში ბოგუტის საჯარიმოს მერე "მილუოკი" 88:74 დაწინაურდა. მწვრთნელმა იმ ეპიზოდში მოედანზე ფაჩულია დააბრუნა, მაგრამ ვერც ქართველმა უშველა და ვერც თამაშის ასწრაფებამ – 107:110.

ფაჩულია-ბოგუტის დუელს "ატლანტას" მწვრთნელი მაიკ ვუდსონიც გამოეხმაურა: *"ენდრიუ ბოგუტი მაღალი კლასის კალათბურთელია. როცა იგი ბურთს ფარქვეშ მოიხელთებს, ძალიან საშიშია. ზაზა ფაჩულიამ ყველაფერი გააკეთა მის შესაჩერებლად"*.

დასაწყისში რიცხვი 27 ვახსენეთ. გითხარით, რომ ზაზა NBA-ში ამ ნომრით თამაშობს. აქ კიდევ სამი 27-იანი უდა მოვიხმოთ: "ატლანტა ჰოქსი" 27 მოგებაზეა შეჩერებული (20 წაგების ნილ). ჯორჯიელებთან გამარჯვებით 27 წაგებაზე შეყოვნდა "მილუოკი ბაქსი", ხოლო "ჰოქსთან" მარცხი "ნიუ ჯერსისთვის" 27-ე იყო.

"ატლანტას" წაფორხილებით ვერ ისარგებლა "დეტროიტ პისტონსმა", რომელსაც 25 მოგება (20 წაგება) აქვს და აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-5 ადგილზეა. ზაზას თანაგუნდელების მთავარი ამოცანა მეოთხე პოზიციის შენარჩუნება იქნება, რადგან მესამეადგილოსანი "ორლანდო" მდევრებს ძალიან დაშორდა – 35 მოგება, 10 წაგება.

**ფაჩულიას მონაცემი ნიუ ჯერსისთან**

27 წუთი: 7 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 შეცდომა, 3 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 09:35 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 09:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 08:53 | საჯარიმოები: 2\1 (5:9) |
| 08:39 | ფოლი: 1 |
| 06:10 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 04:04 | საჯარიმოები: 2\2 (3ძ, 18:21) |
| 03:37 | ზაზა სმითმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 06:23 | ზაზამ ჯონსი შეცვალა |
| 06:09 | საჯარიმოები: 2\2 (5ძ, 33:37) |
| 04:46 | შეცდომა: 1 |
| 04:09 | პასი: 1 (ბიბი 2ძ, 39:41) |
| **III პერიოდი** | |
| 10:09 | ფოლი: 2 |
| 06:34 | ფოლი: 3 |
| 00:40 | საჯარიმოები: 2\2 (7ძ, 80:71) |

**ფაჩულიას მონაცემი მილუოკისთან**

20 წუთი: 11 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 2 შეცდომა, 4 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 09:09 | ფოლი: 1 |
| 06:39 | ფოლი: 2 |
| 06:39 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 05:23 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |
| 01:14 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:08 | საჯარიმოები: 2\2 (2ძ, 46:51) |
| 00:51 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 00:49 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 10:23 | საჯარიმოები: 2\2 (4ძ, 52:59) |
| 08:39 | ორქულიანი: 6ძ (59:64) |
| 07:30 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:30 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 07:30 | საჯარიმოები: 2\1 (7ძ, 62:66) |
| 06:33 | ორქულიანი: 9ძ (64:70) |
| 06:02 | შეცდომა: 1 |
| 05:38 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 05:31 | ფოლი: 3 |
| 05:31 | ზაზა მიურეიმ შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:27 | ზაზამ ჯონსი შეცვალა |
| 10:00 | დაფარება: 1 |
| 09:14 | შეცდომა: 2 |
| 09:09 | ჩაჭრა: 1 (ბელს ჩაუჭრა) |
| 08:57 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 08:56 | ორქულიანი: 11 ძ (76:88) |
| 08:04 | ფოლი: 4 |
| 07:27 | ზაზა უილიამსმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

სამთო-თხილამურები

# ნარუმატებელი უქმეები

FIS-ის ეგიდით იტალიურ ალპე დი სიუზიში გამართული გიგანტ სლალომი საქართველოს სამთო-მეთხილამურეთა ნაკრების ოთხივე ნევრისთვის უიღბლო გამოდგა. არადა, წინა დღით ჩვენმა ლიდერმა **იასონ აბრამაშვილმა** გიგანტ სლალომში 29-ე ადგილი დაიკავა. 30 იანვარს პირველი ცდა გაუცუდდათ იასონ აბრამაშვილს და **ვახტანგ თედიაშვილს**, მეორე - **ალექსი ბენიანიძეს** და **კოტე ვახტანგიშვილს**.

გუშინ იასონ აბრამაშვილმა კარიერაში მეორედ იასპარეზა მსოფლიოს თასის ეტაპზე გარმიშ პარტენკირხენში (გერმანია) სლალომი გაიმართა, რომლის პირველივე ცდაზე გამოეთიშა ბრძოლას ჩვენებური. მსოფლიოს თასის ეს ეტაპი იტალიელმა **მანფრედ მოილგმა** მოიგო.

ნაკრების დანარჩენი ნევრები, რომელთაც 15 წლის **ჯაბა გელაშვილი** დაემატათ, იტალიურ პოცა დი ფაზაში გადავიდნენ, სადაც ახალგაზრდულ ტურნირში იასპარეზეს. გიგანტ სლალომი ნარუმატებლად დასრულდა, ოთხივე ჩვენებურმა ბრძოლა ნაადრევად შეწყვიტა. იგივე გამეორდა მეორე დღეს (ანუ გუშინ) კიდევ ერთ გიგანტ სლალომში, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ჯაბა გელაშვილი სტარტზე აღარ გამოსულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 69 წლისა გარდაიცვალა სახელგანთქმული კალათბურთელი, ოლიმპიური თამაშების მეორე და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი, სსრკ ჩემპიონი და ოთხგზის პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

**ვლადიმერ (პტიცა) უგრეხელიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული კალათბურთელის, ოლიმპიური თამაშების (1960) ვერცხლის მედალოსნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის

**ვლადიმერ (პტიცა) უგრეხელიძის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

## მაია ლომინეიშვილი:

# ცეკვაზე მიმიყვანეს, ჭადრაკში აღმოვჩნდი



2008 წლის ნოემბერში დრეზდენში გამართულ 38-ე საჭადრაკო ოლიმპიადზე ქართველი მოჭადრაკე ქალების გამარჯვებამ საქართველოს უდიდესი სიხარული მიანიჭა. ოლიმპიური ნაკრების წევრმა მაია ლომინეიშვილმა ორიოდ თვეში კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია - საქართველოს ჩემპიონატში ყველას აჯობა. ჩემპიონატში მეც ვმონაწილეობდი და თავად შევიგრძენი ჩემპიონატის სურნელი, მაგრამ ჩემპიონის თვალით ტურნირის შეფასება სულ სხვაა და ამიტომ მაიას კომენტარი ვთხოვე.

**- მაია, პირველ რიგში, გილოცავთ წარმატებას. ოლიმპიადის შემდეგ, ძლიერი შთაბეჭდილებებიდან და სიხარულის ეიფორიიდან გამოსული არ იყავი, რომ ისევ საჭადრაკო დაფას მიუჯექი და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშიც წარმატებით იასპარეზე. რთული იყო ტიტულის მოპოვება?**

- საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ ფსიქოლოგიურად არ იყო იოლი საქართველოს ჩემპიონატში თამაში. პასუხისმგებლობაც ორმაგი მქონდა - ცუდი თამაში არ მეპატიებოდა. პირველ ტურში სოფიკო ხუხაშვილს შევხვდი და ერთგვარ უხერხულობას ვგრძნობდი მასთან დაპირისპირებისას, ამიტომ შუა თამაშში, როცა პოზიცია გათანაბრდა, ყაიმი შევთავაზე, თუმცა უარი მივიღე. იძულებული გავხდი, ბრძოლა გამეგრძელებინა და საბედნიეროდ, პარტია გამარჯვებამდე მივიყვანე.

**- საქართველოს ქალთა 66-ე ჩემპიონატი გამორჩეული იმით იყო, რომ ტურნირში მრავალი წლის შემდეგ კვლავ ვიხილეთ ლეგენდარული მოჭადრაკე, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი. ახალგაზრდებიც საკმაოდ იყვნენ. როგორ შეაფასებთ მომავალი თაობის ასპარეზობას?**

- მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონ ნონასთან გავიმარჯვე, თამაში საინტერესო და საკმაოდ რთული გამოდგა.

რაც შეხება ახალგაზრდებს, ნამდვილად კარგი თაობა მოდის. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ნაზი პაიკიძე. ძალიან ნიჭიერი გოგონაა. ორი წლის წინათ რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად და აშკარად დაეტყო რუსული სკოლა. ვფიქრობ, მან დაიმსახურა სამეულში გასვლა, თუმცა დროზე ადრე ირწმუნა ეს ყოველივე და ყურადღება მოადუნა, რამაც გამოიწვია მისი მარცხი ბოლო ორ ტურში.

**- რომელ პარტიას გამოარჩევდით? თქვენი აზრით, რომელი პარტიის მოგებამ გადაწყვიტა ჩემპიონობის ბედი?**

- ჩემპიონი ისე ვერ გახდები, თუ "კაისა" შენს მხარეს არაა. მესამე ტურში თქვენთან მთელი პარტია ცუდად ჩავატარე და ალბათ, უნდა წამეგო, მაგრამ თქვენ ვერ მოახერხეთ სწორი გზების მოძიება და შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

**- ამ ტურნირის ბოლო პარტია თქვენთვის საკმაოდ დრამატული გამოდგა - წააგეთ, მაგრამ მაინც ჩემპიონი გახდით...**

- სამწუხაროდ, ერთი სისუსტე გამაჩნია -" ბოლო პარტიის სინდრომი". ოლიმპიადაზე ამის გამო არ მათამაშეს ბოლო ტურში. მადლობა ღმერთს, მანამდე იმდენი ქულა დავაგროვე, რომ ჩემპიონობისთვის საკმარისი აღმოჩნდა. თუმცა, უნდა მოგახსენოთ, რომ შარშან ევროპის ჩემპიონატზე ეს უსიამო ტრადიცია დავარღვიე, ბოლო პარტია მოვიგე და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოვიპოვე.

**- როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება 38-ე საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ?**

- პირველ რიგში მიხარია, რომ ხალხს უდიდესი სიხარული მივანიჭეთ. ნაცნობი თუ უცნობი ყველა გვილოცავდა. ხალხისგან ნამდვილად სათანადოდ დაფასდა ჩვენი წარმატება, მაგრამ სახელმწიფომ პრემიების დანაპირები რაოდენობა არ მოგვცა. ჩვენც დაგვაზარალა „ეკონომიკურმა კრიზისმა" ...

**- რა ადგილი უკავია ჭადრაკს თქვენს ცხოვრებაში, რა არის თქვენთვის ჭადრაკი - სპორტი, ხელოვნება, მეცნიერება თუ?...**

- ჭადრაკი ჩემთვის ყველაფერია!. ჩემი ცხოვრების სტილია, ჭადრაკში ვახდენ თვითრეალიზაციას, ბევრი რამ მასწავლა ჭადრაკმა. ძალიან მიყვარს...

**- რა არის საჭირო წარმატებისთვის, რას აკეთებთ მიზნის მისაღწევად?**

- პირველ რიგში, უნდა გიყვარდეს შენი საქმე, მოვალეობის მოხდით დიდ შედეგებს ვერ მიაღწევ. უნდა იყო შრომისმოყვარე, მიზანდასახული, ბუნებით ლიდერი და უნდა გჯეროდეს საკუთარი თავის.სხვათა შორის, ნაგება ჩემზე კარგად მოქმედებს - უფრო კონცენტრირებული ვხდები და ხელის ჩაქნევა არ მჩვევია. საკმაოდ შრომისმოყვარე ვარ. ბავშვობაში ჩემი თანატოლები ეზოში რომ თამაშობდნენ, მე ჭადრაკში ვმეცადინეობდი. ფაქტობრივად, ბავშვობა არ მიგრძნია, მაგრამ გული არ მწყდება, რადგანაც შრომა დამიფასდა.

**- თუ ყოფილა დაღლის მომენტი და თუ გიფიქრიათ ჭადრაკისთვის თავის დანებება?**

- 2007 წლის ივნისში საჯარო სამსახური დავიწყე და ჭადრაკიდან წასვლას ვაპირებდი; მაგრამ მას მერე შედეგებმა ერთი-ორად იმატა. რეიტინგი 2437 არასოდეს მქონია. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც მოვიპოვე, ოლიმპიადაც მოვიგე და 6-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონიც გავხდი. სამსახურის დაწყებასთან ერთად ცხოვრების სტილიც შევიცვალე. მართალია, 7-8 საათს ჭადრაკს ველარ ვუთმობ, მაგრამ ფსიქოლოგიური ბარიერი მომეხსნა და უფრო თამამად და თავისუფლად ვთამაშობ. თამაშისაგან სიამოვნებას ვიღებ....

**- ტურნირის წინ თუ გაქვთ რაიმე რიტუალი, ცნობილ მოჭადრაკეებს უყვართ რიცხვი „13". შენს შემთხვევაში როგორაა?**

- საკმაოდ ცრუმორწმუნე ვარ. ორი წლის წინათ გერმანიაში მოსაცმელი ვიყიდე. ევროპის ჩემპიონატზე, როცა ის მეცვა, ყველა პარტიას ვიგებდი, მინიმუმ ყაიმით მაინც ვამთავრებდი პარტიას. ბოლო ტურში, ყაიმის შემთხვევაში მე-2 ადგილზე გავდიოდი. რადგან მთელი ტურნირი მეცვა, ბოლო დღეს სხვა სამოსი მოვისხი და ექვსსაათიანი ბრძოლის შემდეგ დავმარცხდი, რითაც ბევრი რამ დავკარგე. ახლა მთელი ტურნირი არ მომიშორებია ის მოსასხამი. (იღიმება)

**- როგორ დაიწყეთ ჭადრაკის თამაში? მწვრთნელებიდან ვინ შეიტანა განსაკუთრებული წვლილი თქვენს კარიერაში?**

- ჭადრაკის თამაში ბაბუამ მასწავლა. იტალიურ ეზოში ვცხოვრობდით. სალამოობით მეზობლები იკრიბებოდნენ და თამაშობდნენ, მეც ინტერესით ვადევნებდი თვალს. 5 წლის ვიყავი, როცა დედამ ბაბუას სთხოვა, რკინიგზელთა სახლში ქართულ ცეკვაზე მივეყვანე. შესვენება დაემთხვა და იქვე ჩემთვის წყნარად ვიჯექი. ამ დროს ჭადრაკის მასწავლებელმა გამოიარა და მკითხა აქ რას აკეთებო, ცეკვაზე მომიყვანეს და არ მინდა-მეთქი, ვუპასუხე. ასე აღმოვჩნდი ჭადრაკზე. ჩემი და ბაბუას „საიდუმლო" დიდხანს ვერ გაგრძელდა, ბიძის ქორწილში დედაჩემმა მითხრა, აბა, მაია, გვაჩვენე რა ისწავლე ცეკვაზეო და იქ გამჟღავნდა ჩვენი საიდუმლო (იცინის).

მინდა განსაკუთრებით გამოვყო პირველი მწვრთნელი **პავლე ხიზანიშვილი**, მან შემაყვარა ჭადრაკი. შემდეგ ბატონი **გოგი მაჭარაშვილი** მამეცადინებდა, რომლის შემდეგ ოფიციალური მწვრთნელი არ მყოლია, თუმცა შიგადაშიგ ესა თუ ის მწვრთნელები მეხმარებოდნენ.

**- პირველი წარმატებები როდის მოვიდა?**

- პირველი სერიოზული გამარჯვება 1991 წელს, 14 წლამდე ევროპის ჩემპიონობა იყო. მაშინ საქართველო ჯერ არ იყო დამოუკიდებელი და საბჭოთა კავშირის სახელით გამოვდიოდით. მახსოვს, მოსკოვიდან რუმინეთში მივფრინავდით და წინა ღამით საქართველოს ფედერაციიდან დამირეკეს - სასწრაფოდ ჩამოდი უკან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერის მოღალატე იქნებიო. დედამ მაინც გამიშვა....მახსოვს, როცა ჩემპიონი დავბრუნდი, ერთ-ერთი გაზეთის პირველ გვერდზე ეწერა - ლომინეიშვილი-CCCP". არადა, ვიდეოც მაქვს გადაღებული, კვარცხლბეკზე მდგარი საქართველოს დროშას რომ ვაფრიალებდი. მართლაც, რამდენიმე თვეში დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ.

**- თუ გყავთ სამაგალითო მოჭადრაკე ან ზოგადად, სამაგალითო პიროვნება?**

-კლასიკოს მოჭადრაკეებს თუ მივიღებთ მხედველობაში, მიყვარს ალიოხინი და ანანდი. ცხოვრებაში კერპი ნამდვილად არ მყავს. ვცდილობ, რელიგიურად ვიცხოვრო, თუმცა ყოველთვის არ გამომდის.

**- სამომავლო გეგმები როგორი გაქვთ?**

- გეგმებს რაც შეეხება, მალე გავემგზავრები ანტალიაში, თურქეთის საკლუბო ჩემპიონატში ვთამაშობ. მარტში პეტერბურგში, ევროპის ჩემპიონატზე ვიასპარეზებ, აპრილში კი, სავარაუდოდ, დუბაის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე გავემგზავრები. შემოდგომით ევროპის გუნდური ჩემპიონატი იმართება და იქაც ვითამაშებ.

**მირანდა მიქაძე**

---

მკითხველის რეპლიკა

## ვის სურს შეცდომაში შეგვიყვანოს?

საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებულებზე, ოლიმპიური ჩემპიონები არიანო, არ ითქმის...

ვიცი არ დაბეჭდავთ, მაგრამ მაინც გწერთ, გულს ვიოხებ. სპორტი ვის არ უყვარს, ვის არ ახარებს ჩვენი სპორტსმენების წარმატებები, მათ შორის მოჭადრაკეების, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი კი არ უნდა დავარქვათ, უკვე პქვია და ნუ ვიჩემებთ ალტაცებით იმას, რაც არ ვართ, ან ნუ მივიწერთ, რაც ბუნებაში არ არსებობს. სიცრუეს სპორტი მაინც განარიდეთ. იცით, რა ძნელი ასატანია, თვალში რომ ნაცარს გაყრიან და ტყუილი სურთ დაგაჯერონ?

მორჩა: გეტყვით პირდაპირ. გულით გავიხარეთ ყველამ ჩვენი მ ოჭადრაკე ქალების შარშანდელი წარმატებით დრეზდენში. ისინი საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებულები არიან და არა ოლიმპიური ჩემპიონები. „ლელო" ამ თემაზე ოდესლაც, თუ არ ვცდები, წერდა კიდეც...

ოლიმპიური ჩემპიონი, ხალხო, ხომ იცით, არის ის, ვინც იმარჯვებს ზაფხულის ან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. მორჩა! ჭადრაკი ხომ ოლიმპიური სახეობაც არ არის. თუ მართლა ოლიმპიური ჩემპიონები არიან საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულები, რაც, ცხადია, აბსურდია, რატომ „გვძინავს", რატომ არ ვაგდებთ საერთო სათვალავში, რატომ ვამბობთ, რომ მხოლოდ 33 ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს და 36 ოლიმპიური ოქროს მფლობელები ვართ. არ ვითვლით იმიტომ, რომ არ იქნება სწორი. მაშ, თავს რატომ ვიგდებთ უხერხულობაში?

მავანი იტყვის, ოლიმპიადა ხომ ტარდებაო. კი ბატონო, საჭადრაკო ოლიმპიადა და არა ოლიმპიური თამაშები. ეს სხვადასხვაა და ყველამ უნდა იცოდეს, მით უფრო სპორტში მოღვაწეებმა. ნუ შეეცდებით მოგვატყუოთ თქვენს საჯარო გამოსვლებსა და ინტერვიუებში. მავანის ლოგიკას რომ მივდიოთ, ოლიმპიურ ჩემპიონებად უნდა ვაღიაროთ ყველა, ვინც გაიმარჯვა მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში მოსწავლეთა ოლიმპიადებში, სულაც სიმღერისა და ცეკვის ოლიმპიადებში და ა.შ.

საგანგებოდ ჩავიხედე ოლიმპიურ ქარტიაში, რომელსაც, სხვათა შორის, ძლივს მივაკვლიე. იქ სწორედ ის სწერია, რაზედაც ზემოთ ვთქვი, თუ ვინ ითვლება ოლიმპიურ ჩემპიონებად.

ერთადერთი ვინც საჯარო გამოსვლაში თავისი სახელი დაარქვა საჭადრაკო ოლიმპიადის გმირებს, იყო ქვეყნის პრეზიდენტი, როცა ავლაბრის რეზიდენციაში მიღებისას მოჭადრაკეებს წარმატება მიულოცა როგორც ოლიმპიადაში გამარჯვებულებს და არა როგორც ოლიმპიურ ჩემპიონებს.

თავს უხერხულად ვგრძნობ, რომ საჩოთირო თემას შევეხე, მაგრამ წაყრუებაც არ იქნება. ჩვენს გმირ მოჭადრაკე ქალებს იმით არაფერი დააკლდებათ, თუ მათ მაღალ მიღწევას ისე მოვიხსენიებთ, როგორც უნდა მოვიხსენიებდეთ...

**გელა ტალიაშვილი**
თბილისი

---

# გიბრალტარში - მეტოქეებისა და ფუნტების დევნაში...

ქართველ ქალ მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო რეიტინგოსანი **ნანა ძაგნიძე** (2518) გიბრალტარშია და დიდ საერთაშორისო ტურნირში თამაშობს. ტურნირი ტრადიციულია და მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეების ყურადღებასაც იპყრობს. მართალია, მთლად სუპერვარსკვლავები არ მონაწილეობენ, მაგრამ ბევრად რომ არ ჩამორჩებიან მსოფლიო მასშტაბის დიდოსტატებს, ვხედავთ. წლევანდელ შეჯიბრებაში ორი მოჭადრაკეა, რომელსაც სუპერრეიტინგი აქვს: აზერბაიჯანელი **ვუგარ გაშიმოვი** და რუსი **პეტერ სვიდლერი** - ორივეს ქულათა მარაგი 2723 - ია. 2700-იან ზღვართან მყოფთა შორის კი ამერიკელი **ჰიკარუ ნაკამურა** (2699) და ფრანგი **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (2696)**. ათეულში სხვა ძლიერებიც შედიან: ინდოელი **ჰარიკრიშნა პენტალა (2673)**, შვეიცარიელი **ვადიმ მილოვი (2669)**, ჰოლანდიელი **ივან სოკოლოვი (2657)**, უნგრელი **ფერენც ბერკეში (2651)**, ებრაელი **მიხაილ როიზი (2647)** და სლოვენიელი **ალექსანდრ ბელიავსკი (2646)**. ამას გარდა, ცნობილი ქალი დიდოსტატებიც საკმაოდ მრავლად არიან: სულ თექვსმეტი ქალბატონი შეიკრიბა და მათ შორის გამორჩეულ ყურადღებას, ცხადია, **პია კრამლინგი, ანტუანეტა სტეფანოვა, ქეთევან არახამია-გრანტი, ირინა კრუში, ვიქტორია ჩმილიტე** და ნანა ძაგნიძე იმსახურებენ.

ტურნირში 199 მონაწილეა და საერთო საპრიზო ფონდი 100 ათასი ინგლისური ფუნტის ტოლია. მთავარი ტურნირის გამარჯვებულს 15 ათასი ფუნტი ერგება, მეორეზე გასული10 ათასი, შემდეგ შესაბამისად მე-10 ადგილის ჩათვლით 7, 5, 3, 2,5 2, 1,5, - 1 და 1 ათასი ფუნტი. ინგლისური ფუნტის მაღალკონვერტირებადობა კარგად მოეხსენება ყველას, ამიტომ საპრიზო არეალში მოხვედრა საკმაოდ მომგებიანია. ცალკე საპრიზო ფონდია ქალბატონთა შორის საუკეთესო შედეგებისთვის. აქ ექვსი პრიზია დაწესებული: პირველადგილოსანი 6 ათას ფუნტს მიიღებს, მომდევნო ადგილზე გასულები კი, შესაბამისად, 3, 2,5, 2, 1,5 და ათასს. დიდი იმედი გვაქვს, რომ ძაგნიძე რომელიმე მაღალ პრიზს შეწვდება. დებულებით მოჭადრაკეს მხოლოდ ერთ პრიზს გადასცემენ. არსებობს კიდევ ერთი გზა პრიზის მისაღებად: 2500 დან 2599-მდე რეიტინგისანთა შორის საუკეთესოც დაჯილდოვდება სოლიდური თანხით - გამარჯვებული 2 ათას ფუნტს მიიღებს, მეორეადგილოსანი - ათასს.

ძაგნიძეს სტარტი შესანიშნავი ჰქონდა და სამიდან სამი ქულა დააგროვა. მესამე ტურში შავებით მოუგო ტურნირის მეოთხე ნომერს, საფრანგეთის და მსოფლიო ჭადრაკის ამომავალ ვარსკვლავ მაქსიმ ვაშიე-ლაგრავს. მეოთხე ტურში თეთრებით შეხვდა კიდევ ერთ ფავორიტს, პოლონელ **ბარტოშ სოცკოს (2631)** და აუჩქარებლად ყაიმს დასჯერდა, რაც მშვენიერ შედეგად უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, ნანამ მეხუთე ტურში გამოცდილ სლოვენიის სახელით მოთამაშე ალექსანდრ ბელიავსკის(2646) ვერაფერი მოუხერხა და დამარცხდა, - ქართველი შავი ფიგურით იყო. ამ მარცხამდე ნანა ქალთა შორის ლიდერობდა, მაგრამ მეექვსე ტურისთვის პია კრამლინგმა მოახერხა გადაწევა - მვედს 4 ქულა აქვს. 3,5 ქულა მოაგროვეს ანტუანეტა სტეფანოვამ და ქეთევან არახამია - გრანტმა, რომელიც შოტლანდიის სახელით გამოდის. 3,5 ქულა გაუხდა ესპანელ **მონიკა გალძეტასაც**. მონიკა ფავორიტი არ არის, მაგრამ რიგიან მოჭადრაკედ კი ითვლება. ამის მიუხედავად, მისი დამარცხება ალბათ არ გაუჭირდება სტეფანოვას, რომელსაც წილისყრამ მეტოქედ სწორედ ესპანელი არგუნა.

ძაგნიძის მეტოქე ამერიკელი **ვარუშან აკობიანია**. ვარუშანი ძლიერი დიდოსტატია. იგი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებში თამაშობდა 38-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე. რეიტინგიც შესაბამისად მაღალი აქვს - 2619. ნანა თეთრებით არის და, იმედია, კარგადაც გამოიყენებს ფერის უპირატესობას.

ტურნირს კი 4,5-4,5 ქულით სლოვენიელი ალექსანდრ ბელიავსკი და ბერძენი **ვასილიოს კოტრონიასი** (2603) ლიდერობენ; ოთხი ქულით მათ კვალში თორმეტი მონაწილე უდგას.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, ცხრა ტურად იმართება.

შუალედში, დასვენების დღეს, ბლიც-ტურნირიც ჩატარდა. მონაწილეებისგან სახელდახელო, ოთხკაციანი გუნდები შეიქმნა - ორი კაცი და ორი ქალი, სახელიც დაირქვეს და ერთმანეთს გუნდურად გაეჯიბრნენ. ნანა ძაგნიძე girls'N roses - ში მოხვდა ჰიკარუ ნაკამურას, ვადიმ მილოვსა და ინდოელ ტანია საჩდევთან ერთად. ქართველმა და მისმა მეგობრებმა ყველას აჯობეს და 9,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. გამარჯვებაში ძაგნიძემ მნიშვნელოვანი წილი დადო...

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კრივი




# 20 ივნისს სტემფორდ ბრიჯზე

სუპერმძიმე წონაში IBF-ისა და WBO-ის ჩემპიონმა **ვლადიმერ კლიჩკომ** დაადასტურა, რომ პრაქტიკულად დასრულებულია ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან** მოლაპარაკებები. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბრძოლა 20 ივნისს ლონდონში, საფეხბურთო კლუბ "ჩელსის" კუთვნილ სტადიონზე - "სტემფორდ ბრიჯზე" გაიმართება.

*"საორგანიზაციო ნაწილი ბოლომდე მოგვარებულია. ბრძოლის გამართვის შესახებ კონტრაქტი ჯერ გაფორმებული არ არის, მაგრამ ვფიქრობ, ეს უახლოეს დროში მოხდება"*, - განაცხადა უკრაინელმა მოკრივემ.

უმცროსი კლიჩკო ამბობს, რომ ჰეი მწარედ ინანებს თავის ბოლო საქციელს. უკრაინელს მხედველობაში აქვს ცნობილი ფოტოკოლაჟი, რომელშიც ბრიტანელ მოკრივეს ვლადიმერის მოჭრილი თავი უჭირავს ხელში: *"ჰეი ამ სურათისთვის პასუხს აგებს - მე ამას გპირდებით. მას საზოგადოებაში მოქცევას ვასწავლი. ის ჩემთან ბრძოლაში 12 რაუნდს ვერ გაუძლებს"*.

როგორც ბრიტანული პრესა წერს, ჰეის გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ კონტრაქტის გაფორმებამდე მხარეებს შორის ყველაზე ცხარე კამათს ბრძოლის ჩატარების ადგილი გამოიწვევს. კლიჩკოსა და მის მენეჯერებს ჯერ არ განუცხადებიათ თანხმობა შეხვედრის "სტემფორდ ბრიჯზე" ჩატარების შესახებ. ისინი დაითვლიან ლონდონსა და გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში ბრძოლის გამართვისგან მიღებულ სავარაუდო ფინანსურ მოგებას და ამის შემდეგ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

ვლადიმერ კლიჩკომ ისიც განაცხადა, რომ მისი წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებენ პერსპექტიულ ამერიკელ მძიმეწონოსან **კრის არეოლასთან**. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ ჰეი ბოლო მომენტში თავს აარიდებს უკრაინელთან შებრძოლებას. *"დიახ, ჩემი გუნდი ამ ბრძოლაზეც აწარმოებდა მოლაპარაკებებს. უფრო მეტსაც გეტყვით: თუ ჰეისთან ბრძოლა არ შედგება, კრის არეოლას 18 მაისს ლოს ანჯელესში შევხვდები"*, - აღნიშნა ვლადიმერმა.

უმცროსმა კლიჩკომ საკუთარი კარიერის განვითარების სხვა ვარიანტებზეც ილაპარაკა. კერძოდ, განაცხადა, რომ მის უახლოეს გეგმებში არ შედის რუს **ალექსანდრ პოვეტკინთან** შეხვედრა: *"დღეს პოვეტკინთან ბრძოლაზე ლაპარაკიც კი არ არის. მას შეეძლო ჩემთან 13 დეკემბერს შეხვედრა, მაგრამ ტრავმა მიიღო. ახლა იმ პრეტენდენტებს ვირჩევ, ვინც მე მ ინტერესებს. პოვეტკინი კი მათ რიცხვში არ შედის"*.

ამასთან, ვლადიმერ კლიჩკომ მის ტიტულებზე სხვა პრეტენდენტთან - WBO-ის რეიტინგის პირველ ნომერ **ალექსანდრ დიმიტრენკოსთან** ბრძოლის სურვილი გამოთქვა. *"დიმიტრენკოსთან შესახვედრად მზად ვარ. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ის უკრაინელია. არ მაინტერესებს ჩემი მეტოქეების კანის ფერი ან წარმომავლობა. ნებისმიერთან საჩხუბრად მზად ვარ, ვისაც ჩემს ტიტულზე პრეტენდენტად აირჩევენ"*, - ასრულებს Southwark News-თვის მიცემულ ინტერვიუს კლიჩკო.

■ ■ ■

ამასობაში, კრივის მსოფლიოს საბჭომ (WBC) მხარი დაუჭირა ამ ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის **ვიტალი კლიჩკოს** სურვილს, ნებაყოფლობით დაიცვას ტიტული რუს **ნიკოლაი ვალუევთან** ორთაბრძოლაში. ეს ბრძოლა იმ შემთხვევაში შედგება, თუ უფროსი კლიჩკო 21 მარტს, შტუტგარტში კუბელ **ხუან კარლოს გომესს** დაამარცხებს. ეს ინფორმაცია WBC-ის პრეზიდენტმა **ხოსე სულეიმანმა** დაადასტურა.

*"თუ ვიტალი გომესთან ბრძოლაში თავის ტიტულს დაიცავს და ვალუევის წინააღმდეგ რინგზე გასვლას ინდომებს, WBC ამ ბრძოლის გამართვაზე თანხმობას განაცხადებს"*, - ამბობს სულეიმანი.

ვიტალი კლიჩკოსა და ნიკოლაი ვალუევის ორთაბრძოლა ერთგვარად ტიტულების გამაერთიანებელ შეხვედრად უნდა ჩაითვალოს, რადგან რუსი მოკრივე WBA-ის ვერსიით დროებით ჩემპიონად ითვლება. ამ ორგანიზაციის საჩემპიონო ქამარი ერთადერთია, რომელიც კლიჩკოების საოჯახო კოლექციაში არ მოიპოვება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# ნადალი WADA-ის წინააღმდეგ

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ახალი ანტისადოპინგო კოდექსის წინააღმდეგ გამოდის, რომელიც 2009 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. ესპანელი ჩოგბურთელის აღშფოთება იმ წესმა გამოიწვია, რომლის მიხედვითაც, სპორტსმენებმა მუდმივად უნდა შეატყობინონ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) თავიანთი ადგილსამყოფელი.



ნადალის თქმით, ასეთი მოთხოვნები სპორტსმენების პირადი ცხოვრებისადმი უპატივცემლობაა. რაფამ WADA-ს ახალ წესს "სამარცხვინო" უწოდა.

WADA-ს მოთხოვნა შემდეგში მდგომარეობს: სპორტსმენებმა რეგულარულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთი ადგილმდებარეობის შესახებ და თუ 18 თვის განმავლობაში სპორტსმენს სამჯერ ვერ იპოვიან იქ, სადაც მისივე ინფორმაციის თანახმად უნდა იმყოფებოდეს, ეს ანტისადოპინგო კანონის დარღვევად ჩაითვლება.

ნადალმა აღნიშნა, რომ ხანდახან დედამისმა და ოჯახის სხვა წევრებმაც კი არ იციან მისი ადგილსამყოფელის შესახებ. ესპანელმა ჩოგბურთელმა აღნიშნა, რომ ადამიანებს სჩვევიათ ბოლო მომენტში საკუთარი გეგმების შეცვლა.

რაფაელმა განაცხადა, რომ უკვე ჰქონდა შეხება WADA-ს წარმომადგენლებთან, რომლებიც მასთან სახლში ერთ შაბათ დღეს, დილის რვა საათზე მივიდნენ. არადა, ესპანელი ახალი დაბრუნებული იყო ღამის კლუბიდან.

ნადალის თქმით, ის მზად არის შეუერთდეს იმ 65 სპორტსმენისგან შემდგარ ჯგუფს, რომელიც WADA-ს ახალი კოდექსის წინააღმდეგ სასამართლოში აპირებს ჩივილს.

მძლეოსნობა

# გრინი ბოლტს აქებს

100 მეტრზე მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი **მორის გრინი** აცხადებს, რომ იამაიკელ სპრინტერ **უსაინ ბოლტს** შეუძლია თავისი ამჟამინდელი რეკორდის გაუმჯობესება. როგორც ცნობილია, დღეს სპრინტში მსოფლიოს რეკორდი 9.69 წამს უტოლდება. ამერიკელ მძლეოსანს სჯერა, რომ ბოლტი შეძლებს 100 მეტრის 9.5 წამში გარბენას.




პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ბოლტმა 100 და 200 მეტრ დისტანციებზე მსოფლიოს რეკორდები დაამყარა, გარდა ამისა, იამაიკის ნაკრებს 4x100 მეტრზე ესტაფეტა მოაგებინა.

გრინი აღნიშნავს, რომ ამ მომენტისთვის 22 წლის ბოლტს ფიზიკური სრულყოფისთვის ჯერ არ მიუღწევია. ამერიკელის აზრით, მომავალში იამაიკელ მორბენალს დიდი გამარჯვებები ელის. ამასთან, გრინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ უსაინმა აუცილებლად ბევრი უნდა იმუშაოს სირბილის ტექნიკის გაუმჯობესებაზე.

*"თუ უსაინი საკუთარი თავის უკეთ მართვას ისწავლის და თავისი ორგანიზმის შესაძლებლობებს ასი პროცენტით გამოიყენებს, მას დიდი სიმაღლეების დაპყრობის საშუალება მიეცემა. ბოლტი უნიჭიერესი სპორტსმენია. ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და შესაბამისად, მისი სხეული ბოლომდე მომძლავრებული არ არის. ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ის ჯერ მხოლოდ ბავშვია. ჩემი აზრით, მას თავისუფლად შეუძლია 100 მეტრის 9.5 წამში გარბენა"*, - ამბობს ამერიკელი ვეტერანი.

თავად გრინი სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი 100 მეტრ დისტანციაზე და 1999 წელს პირველი მძლეოსანი გახდა, რომელმაც მსოფლიოს ერთ ჩემპიონატზე 100 და 200 მეტრზე სირბილში გაიმარჯვა. იმავე სეზონში ამერიკელი "მოკლე სპრინტში" მსოფლიოს რეკორდსმენი გახდა, შედეგით 9.79 წამი.

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**30 იანვარი**

**ნიუ ჯერსი-პიტსბურგი 4:3 (ო)**

1:2, 0:0, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 ტელბოტი-6 (რეი უიტნი-8, სკუდერი-10), 0:2 კროსბი-19 (მალკინი-53, სიკორა-18), 1:2 პოლიკი-3 (შენეჰანი-1, რუპი-5), 1:3 მალკინი-20 (კროსბი-47), 2:3 შენეჰანი-3 (ჯონტა-30, ზუბრუსი-18), 3:3 ლანგენბრუნერი-13 (პარიზე-29, ზაიაცი-26), 4:3 ლანგენბრუნერი-14 (ზაიაცი-27, ე. გრინი-27).

**კოლამბუსი-ოტავა 1:0**

0:0, 1:0, 0:0

გოლი: 1:0 ვორაჩეკი-8 (პეკა-10, ჩიმერა-12).

**ტამპა ბეი-ფილადელფია 1:6**

1:1, 0:2, 0:3

გოლები: 0:1 მ. რიჩარდსი-17 (ნუბლი-14, საიმონ განიე-27), 1:1 პროსპალი-13 (რეინჯერი-10), 1:2 რ. ჯონსი-2 (მ. რიჩარდსი-32, მ. კარლი-10), 1:3 მ. რიჩარდსი-18 (ლუპული-14, რ. ჯონსი-2), 1:4 ჯ. კარტერი-31 (პარტნელი-17, ტიმონენი-26), 1:5 პარტნელი-18 (ვაანანენი-9, ნიტიმაკი-1), 1:6 ჯ. კარტერი-32.

**კალგარი-ნეშვილი 3:1**

0:0, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 ლომბარდი-5 (გლენკროსი-16, მოსი-9), 2:0 ა. როი-3 (ნისტრომი-4, ბოიდი-6), 2:1 დუმონი-10 (ბონკი-11), 3:1 ა. იკუანი-7 (კამალერი-23, ლენგკოუ-22).

**ედმონტონი-მინესოტა 3:1**

2:0, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 პენერი-15 (გრებეშკოვი-19, ჰორკოფი-22), 2:0 მორო-11 (კოლიანო-14, პუიო-8), 3:0 ვიშნევსკი-8 (რ. ნილსონი-9, კოლიანო-15), 3:1 შეპარდი-4 (ბუშარი-17, შულტცი-17).

**31 იანვარი**

**ვაშინგტონი-დეტროიტი 4:2**

1:1, 1:1, 2:0

გოლები: 0:1 ლეინო-1 (დაციუკი-39), 1:1 ვიქ. კოზლოვი-11 (იურჩინა-8, ნიულანდერი-19), 2:1 მ. გრინი-14 (ბექსტრომი-37, ფერი-7), 2:2 ფრანცენი-22 (ფილპულა-16, ჰუდლერი-23), 3:2 ოვეჩკინი-32 (ვიქ. კოზლოვი-19, მ. მორისონი-4), 4:2 ოვეჩკინი-33 (ბექსტრომი-38, მ. გრინი-22).

**კოლამბუსი-დალასი 3:7**

1:3, 1:2, 1:2

გოლები: 0:1 ნილი-14 (ნისკანენი-13, მოდანო-18), 0:2 ერიქსონი-24, 0:3 სატერბი-4 (ერიქსონი-12, ბ. რიჩარდსი-30), 1:3 ჰუსელიუსი-14 (პეიდა-9, მეტროტი-8), 2:3 ტოუტონი-5 (ჰუსელიუსი-21, ნეში-25), 2:4 ნილი-15 (მოდანო-19, კონერი-6), 2:5 ოტი-8 (ლეპტინენი-9, რიბეირო-32), 3:5 ბოლი-3 (ჯეისონ უილიამსი-14, მოდინი-15), 3:6 დელი-6 (პეტერსენი-6, სიდორი-8), 3:7 პათრიქსონი-1 (გროსმანი-5, ნილი-8).

**მონრეალი-ლოს ანჯელესი 4:3**

1:1, 1:2, 2:0

გოლები: 0:1 პანიკუში-8 (დ. ბრაუნი-18, ფროლოვი-13), 1:1 პლეკანეცი-10 (ჰამრლიკი-14, დ'აგოსტინი-4), 2:1 ა. კოსტიცინი-17 (ს. კოივუ-18), 2:2 დ. ბრაუნი-20 (კალდერი-12, სტოლი-15), 2:3 სტოლი-12 (კალდერი-13), 3:3 პიგინსი-6 (ლაპიერი-7, კოსტოპულოსი-10), 4:3 ს. კოივუ-8 (მარკოვი-32, ლანგი-21).

**კაროლინა-ატლანტა 2:0**

2:0, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 კულენი-12 (ლაროუზი-5), 2:0 რუთუტენი-16 (კულენი-9, კორვო-14).

**კოლორადო-ანაჰაიმი 3:4**

1:2, 2:1, 0:1

გოლები: 1:0 ლაილსი-7 (პ. სტასტნი-6, პენსიკი-13), 1:1 პარონი-4 (მიკელსონი-1, გეტცლაფი-42), 1:2 გეტცლაფი-18 (კუნიტცი-17, ს. ნიდერმაიერი-29), 2:2 ჰეიდუკი-18, 3:2 ლაპერიერი-5 (მაკ.უოდი-3), 3:3 ს. ნიდერმაიერი-6 (რაიანი-17, გეტცლაფი-43), 3:4 სელანე-15 (პერონი-9, ს. ნიდერმაიერი-30).

**ტორონტო-პიტსბურგი 5:4**

1:1, 2:0, 2:3

გოლები: 1:0 ი. უაიტი-7 (ჯ. მიტჩელი-11, კუბინა-15), 1:1 მატანი-14 (ტელბოტი-6), 2:1 ანტროპოვი-15 (კულემინი-10, სტრალმანი-7), 3:1 პონიკაროვსკი-15 (მური-19, ჯ. ბლეიკი-20), 3:2 კროსბი-20 (მალკინი-54, კუკი-12), 4:2 სტაიანი-12 (მენი-5, სტეპნიაკი-18), 4:3 მალკინი-21 (რაიან უიტნი-9, კროსბი-48), 4:4 კენედი-9 (დუპუი-5), 5:4 ჯ. ბლეიკი-17 (კუბინა-16, მური-20).

**აილენდერსი-ფლორიდა 3:1**

1:0, 0:0, 2:1

გოლები: 1:0 კომრი-7, 2:0 გერინი-15 (კომრი-11, ნილსენი-11), 3:0 ოკპოსო-10 (ჰანტერი-16, კამპოლი-10), 3:1 გ. კემპბელი-10 (ბალარდი-16, ბოინტონი-10).

**სენტ ლუისი-ფილადელფია 4:0**

1:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 მაკლემანი-5 (ვინჩესტერი-3, ომი-8), 2:0 კოლაიაკოვო-2 (ტკაჩუკი-17, ბოიესი-18), 3:0 ბეკსი-17 (სტინი-12, მეისონი-1), 4:0 ბერლგუნდი-15 (ბოიესი-19, ომი-9).

**ფინიქსი-ბაფალო 0:2**

0:0, 0:2, 0:0

გოლები: 0:1 კონოლი-9 (ვანეკი-19, როვე-10), 0:2 პეი-5 (დ. როი-29, ბატლერი-2).

**ვანკუვერი-მინესოტა 3:4 (ო)**

0:2, 1:0, 2:1, 0:1

გოლები: 0:1 მ. კოივუ-14 (ბერნსი-13, პ-ა. ბუშერონი-14), 0:2 პ-ა. ბუშერონი-6 (ბუშარი-18), 1:2 კესლერი-10 (ოლუნდი-12, ბიეკსა-20), 2:2 უდლერი-4 (პ. სედინი-38), 2:3 ბელანჟე-10 (ბუშარი-19), 3:3 კესლერი-11 (სალო-9, ედლერი-16), 3:4 პ-ა. ბუშერონი-7 (ბუშარი-20, ფოდლიცკი-18).

**სან ხოსე-ჩიკაგო 2:4**

1:1, 0:2, 1:1

გოლები: 0:1 ტეივზი-15 (ლედი-21, ბ. კემპბელი-27), 1:1 ერპოლდი-5 (ქლოუ-22, პაველსკი-21), 1:2 ვერსტიგი-14 (ბოლანდი-19), 1:3 ტეივზი-16 (ცეინი-27, ბარკერი-17), 1:4 კეინი-6 (სიბრუკი-10, ვერსტივეგი-24), 2:4 მ. მიხალეკი-14 (პაველსკი-22, რ. ბლეიკი-24).

**ბოსტონი-რეინჯერსი 1:0**

0:0, 1:0, 0:0

გოლი: 1:0 სავარი-19 (უიდემანი-24, ლუჩიჩი-17).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ალენმა სერ ჩარლზს გაუსწრო

შაბათს ალენ აივერსონმა "ბოსტონთან" შეხვედრაში 19 ქულა დააგროვა და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის ბომბარდირთა დავაში მე-16 ადგილზე გადაინაცვლა. ვეტერანმა მცველმა ლეგენდარულ **ჩარლზ ბარკლის** გაუსწრო.

უკვე პირველ ნახევარში აივერსონის ანგარიშზე 10 ქულა იყო, რამაც მისი კარიერული მონაგარი 23 759 ქულამდე აიყვანა, რაც ერთი ქულით მეტია ბარკლის შედეგზე. ალენის მორიგი სამიზნე "ნიუ იორკ ნიქსის" ყოფილი ცენტრი **პატრიკ იუინგია**, რომელსაც აივერსონზე ათასით მეტი ქულა აქვს დაგროვილი.

მოქმედ კალათბურთელებს შორის აივერსონზე წინ მხოლოდ "ფინიქს სანზის" ცენტრი **შაკილ ო'ნილი** დგას, ყველა დროის ლიდერი კი **ქარიმ აბდულ-ჯაბარია**, რომელსაც კარიერაში 38 387 ქულა აქვს მოპოვებული.



■ ■ ■

ამავე ტურში შეწყდა "ტორონტო რეპტორზის" ესპანელი მცველის - **ხოსე მანუელ კალდერონის** ბრწყინვალე სერია. ამ გამთამაშებელმა ზედიზედ 87 საჯარიმო შეასრულა ზუსტად და "მილუოკისთან" მატჩის ბოლო მეოთხედში, 88-ე ცდაზე შეცდა.

კალდერონის სერია, რომელიც სიგრძის მიხედვით მეორეა ეროვნულ საკალათბურთო ისტორიაში, 2008 წლის 11 აპრილს დაიწყო. ესპანელს ლიგის აბსოლუტურ რეკორდამდე 10 ზუსტი საჯარიმო დააკლდა. ეს რეკორდი 1993 წელს "მინესოტას" მცველ მაიკლ უილიამსის მიერ არის დამყარებული.

### 30 იანვარი

**დეტროიტი-ბოსტონი 78:86**

16:23, 25:20, 15:19, 22:24

დ: აივერსონი (19), სტაკი (19), ჰემილტონი (14), რ. უოლასი (12), მაკდაისი (3+14 მოხსნა), მაქსიელი (5).

ბ: გარნეტი (22+9 მოხსნა), პირსი (20), რ. ალენი (14), რონდო (8+12 პასი).

**ინდიანა-მაიამი 114:103**

29:26, 37:23, 27:24, 21:30

ი: დანლივი (30), გრეინჯერი (19), მერფი (19+12 მოხსნა), ჯეკი (15), ფორდი (12), ბასტონი (12+7 მოხსნა).

მ: უეიდი (24+7 მოხსნა), ბრიუერი (17+8 მოხსნა), ჯ. ჯონსი (13), დ. კუკი (11), ბიზლი (11+11 მოხსნა).

**ფილადელფია-ვაშინგტონ 104:94**

32:17, 14:22, 28:31, 30:24

ფ: უ. გრინი (20), იგუოდალა (20), ტ. იანგი (18+9 მოხსნა), ლ. უილიამსი (14+7 პასი), ა. მილერი (6+9 პასი).

ვ: ჯეიმისონი (25+15 მოხსნა), კ. ბატლერი (20), მაკგუაირი (16), კრიტენტონი (15+7 პასი), სონგაილა (10).

**ტორონტო-მილუოკი 85:96**

30:24, 17:25, 12:21, 26:26

ტ: ბოში (18+9 მოხსნა+3 დაფარება), ბარნიანი (16), ჯ. ო'ნილი (16+8 მოხსნა), ე. პარკერი (12), კალდერონი (7+11 პასი).

მ: ვილანუევა (26+13 მოხსნა), რ. ჯეფერსონი (17), რიდნური (15), ბოგუტი (13+8 მოხსნა), ჩ. ბელი (11).

**ატლანტა-ნიუ ჯერსი 105:88**

25:28, 30:25, 25:18, 25:17

ა: ჯო ჯონსონი (29), მიურეი (23+3 ჩაჭრა), ბიბი (20+4 ჩაჭრა), მ. უილიამსი (16+11 მოხსნა).

ნ-ჯ: დ. ჰარისი (20+6 პასი), ვ. კარტერი (18), რ. ანდერსონი (17), ბ. ლოპესი (15), ბუნი (10).

**კლივლენდი-კლიპერსი 112:95**

26:26, 28:28, 29:19, 29:22

კლივ: ლ. ჯეიმსი (25+7 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), მ. უილიამსი (23+6 პასი), ილგაუსკასი (20+11 მოხსნა), შჩერბაკი (15), პაველიჩი (15), ბ. უოლესი (0+11 მოხსნა).

კლიპ: ე. გორდონი (27+7 მოხსნა), ნოვაკი (19), ტორნტონი (14), რ. დევისი (11), ბ. დევისი (9+7 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა).

**მინესოტა-ლეიკერსი 119:132**

31:33, 29:31, 25:36, 34:32

მ: ელ ჯეფერსონი (34+13 მოხსნა+4 დაფარება), ფოიე (27), გომესი (14), ლავი (14+9 მოხსნა), მ. მილერი (11+6 პასი), ტელფეარი (10+7 პასი).

ლ: ბრაიანტი (30+8 მოხსნა), ბაინუმი (27+15 მოხსნა), პ. გასოლი (21+9 მოხსნა), უოლტონი (11), ფიშერი (10), ოდომი (10+3 დაფარება), ტელფეარი (10).

**დენვერი-შარლოტი 110:99**

24:19, 33:23, 29:29, 24:28

დ: ნენე (22+12 მოხსნა), კლეიზა (21), კ. ენტონი (19), ბილაპსი (12+6 პასი), სმიტი (10).

შ: რ. ბელი (27), დიაო (16), ჯ. ჰოვარდი (11), ოკაფორი (10), ფელტონი (9+9 პასი).

**იუტა-ოკლაჰომა 110:90**

28:26, 36:25, 31:24, 15:15

ი: დ. უილიამსი (24+12 პასი+4 ჩაჭრა), ოქური (20+7 მოხსნა), მილსეპი (16+9 მოხსნა+7 პასი), რ. ბრიუერი (15+4 ჩაჭრა), მაილზი (15).

ო: დურანტი (29+10 მოხსნა), უესტბრუკი (20+8 მოხსნა), ჯ. გრინი (11), კოლისონი (8+9 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-გ. სტეიტი 87:91**

27:19, 17:28, 21:18, 22:26

ნ-ო: პოლი (31+8 პასი+3 ჩაჭრა), დ. უესტი (12+15 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (11).

გ-ს: მაგეტი (19), კროუფორდი (17), ელისი (15), ს. ჯექსონი (15+7 პასი+3 ჩაჭრა), ბიედრინსი (12+9 მოხსნა), ტურიაფი (4+11 მოხსნა+3 დაფარება).

**საკრამენტო-ჩიკაგო 88:109**

22:34, 21:20, 20:29, 25:26

ს: მარტინი (27), სალმონსი (16), ტომპსონი (15+12 მოხსნა).

ჩ: ბ. გორდონი (20), დენგი (20+7 მოხსნა), ნოა (17+3 დაფარება), ტ. ტომასი (14+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნოჩიონი (10), ჰაინრიხი (11+7 პასი), დ. როუზი (4+11 პასი).

### 31 იანვარი

**ინდიანა-ნიუ იორკი 113:122**

28:29, 27:38, 32:32, 26:23

ი: ფორდი (36), გრეინჯერი (19+8 მოხსნა+4 დაფარება), დანლივი (14+7 მოხსნა), ს. გრეჰემი (14), ჯეკი (10), ფოსტერი (7+10 მოხსნა), მერფი (6+11 მოხსნა).

ნ-ი: ელ ჰარინგტონი (31+8 მოხსნა), დ. ლი (23+17 მოხსნა), ჩენდლერი (16+8 მოხსნა+6 პასი), კ. რიჩარდსონი (15), რობინსონი (14+6 პასი), მერფი (13+7 პასი).

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 83:85**

31:31, 27:19, 17:15, 8:20

ფ: ა. მილერი (19+7 მოხსნა+7 პასი), იგუოდალა (18), ტ. იანგი (11+3 ჩაჭრა+4 დაფარება), ბრენდი (5+9 მოხსნა).

ნ-ჯ: ბ. ლოპესი (24+17 მოხსნა+4 დაფარება), დ. ჰარისი (17+6 პასი+3 ჩაჭრა), დუდლი (11), ჯ. ჰეიესი (11), რ. ანდერსონი (2+9 მოხსნა).

**ფინიქსი-ჩიკაგო 111:122**

25:29, 34:33, 24:24, 28:36

ფ: ბარბოზა (32), ჰილი (19), შ. ო'ნილი (18+8 მოხსნა), ნეში (15+10 პასი), ჯ. რიჩარდსონი (12), სტაუდემაიერი (12).

ჩ: ბ. გორდონი (26+6 პასი), დ. როუზი (26), დენგი (17+10 მოხსნა), ჰაინრიხი (15+6 პასი+3 ჩაჭრა), სეფოლოშა (11+8 მოხსნა), ნოჩიონი (11), ტ. ტომასი (10).

**მაიამი-დალასი 96:111**

15:24, 34:33, 21:28, 26:26

მ: უეიდი (30), ბიზლი (18+10 მოხსნა), ჩალმერსი (17+4 ჩაჭრა), ქუინი (10), ჰასლემი (10+7 მოხსნა), მაგლოირი (2+9 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (30+7 მოხსნა), ტერი (20), ჯ. ჰოვარდი (15), ბასი (11), ბარეა (11), კიდი (7+11 პასი).

**მემფისი-ლეიკერსი 98:115**

29:26, 32:29, 21:36, 16:24

მ: გეი (23), მაიო (21), კონლი (13+7 პასი), მ. გასოლი (13), არტური (11+7 მოხსნა), უორიკი (11+7 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (25+7 პასი+3 ჩაჭრა), პ. გასოლი (24+8 მოხსნა), ფიშერი (14), ოდომი (13), არიზა (11).

**ვაშინგტონი-კლიპერსი 106:94**

26:22, 32:25, 23:28, 25:19

ვ: ჯეიმისონი (25+12 მოხსნა), ნ. იანგი (22), მაკგი (18+9 მოხსნა), კ. ბატლერი (16+13 მოხსნა+7 პასი).

კ: ე. გორდონი (25), ბ. დევისი (17+6 პასი), ნოვაკი (17), სკინერი (14+10 მოხსნა), კემბი (6+9 მოხსნა+4 დაფარება).

**ჰიუსტონი-გ. სტეიტი 110:93**

25:20, 28:31, 28:24, 29:18

ჰ: არტესტი (27+7 მოხსნა+7 პასი), იაო მინი (25+11 მოხსნა), ბრუკსი (22+9 პასი), ლენდრი (17+8 მოხსნა).

გ-ს: მაგეტი (17), ს. ჯექსონი (16), კროუფორდი (14), ს-ჯ. უოტსონი (12), ელისი (10), ტურიაფი (4+10 მოხსნა+4 დაფარება).

**მილუოკი-ატლანტა 110:107**

29:22, 24:26, 34:26, 23:33

მ: ვილანუევა (27+7 მოხსნა+6 პასი), სესენსი (20+7 პასი), რ. ჯეფერსონი (20), ჩ. ბელი (16), რიდნური (12+9 პასი).

ა: ბიბი (24), ჯო ჯონსონი (22+9 პასი), ჯ. სმიტი (18+11 მოხსნა+3 დაფარება), მიურეი (18), ფლორენსი (11).

**ს. ანტონიო-ნიუ ორლეანი 106:93**

28:20, 22:22, 30:29, 26:22

ს-ა: ტ. პარკერი (25+7 პასი), ჯინობილი (22), დუნკანი (20), ბონერი (13), დანკანი (12+8 მოხსნა+7 პასი), რ. მეისონი (10+4 ჩაჭრა).

ნ-ო: პოლი (38), დ. უესტი (16+10 მოხსნა), დ. ბრაუნი (10).

**პორტლენდი-იუტა 122:108**

33:26, 19:21, 38:26, 32:35

პ: როი (30), ბატუმი (16), ოლდრიჯი (14), პრზიბილა (14+17 მოხსნა), ფერნანდესი (13), აუტლო (11), როდრიგესი (9+7 პასი).

ი: დ. უილიამსი (35), ოქური (18+7 მოხსნა), რ. ბრიუერი (17), მაილზი (12).

# კეფის ციხე ემუქრება

გასულ პარასკევს ატლანტის სასამართლომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი მოთამაშის **ჯეისონ კეფის** დაპატიმრების ორდერი გასცა. კალათბურთელი ალიმენტების გადაუხდელობაშია დადანაშაულებული. კეფიმ არ შეასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება და თავისი ერთ-ერთი შვილის დედას - **ლორუნდა ბრაუნს** ალიმენტის სახით 200 ათასი დოლარი არ გადაუხადა. სულ კალათბურთელს რვა სხვადასხვა ქალისგან ცხრა შვილი ჰყავს.

გასული წლის ოქტომბერში კეფი შეეცადა საკუთარი თავი ბანკროტად გამოეცხადებინა, რათა თავიდან აეცილებინა მრავალრიცხოვანი გადასახადები, მაგრამ სასამართლომ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა.




კეფი "ჩიკაგო ბულზმა" 1995 წლის დრაფტზე მე-12 ნომრად აირჩია. მაიკლ **ჯორდანის** ეპოქის "ბულზში" ჯეისონმა ორჯერ მოიგო ჩემპიონის ტიტული და მესამედაც გახდებოდა საჩემპიონო ბეჭდის მფლობელი, 1997-98 წლების სეზონში "გოლდენ სტეიტში" რომ არ გაეშვათ. 2000 წელს კეფი "მილუოკიში" გადაბარგდა და იქ სამი წლის შემდეგ კარ ერა დაასრულა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

#### გერმანია

| | |
|---|---|
| სკაილაინერსი-კიოლნი | 72:57 |
| ბრაუნშვაიგი-ულმი | 100:74 |
| ჯაიანტსი-პადერბორნი | 79:71 |
| ოლდენბურგი-ტელეკომი | 91:73 |
| ტიუბინგენი-ერტლანდი | 84:71 |
| დიუსელდორ.-ბერემერჰავ. | 79:84 |
| ალბა-ჰესენი | 98:77 |
| ბამბერგი-გეტინგენი | 88:78 |

#### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| კოლოსოსი-მარუსი | 81:77 |
| ეგალეო-არისი | 80:66 |
| პანელინიოსი-პაოკ | 68:65 |
| პანიონიოსი-აეკ | 88:67 |
| ოლიმპიაკოსი-ოლიმპია | 78:73 |
| ლარისა-პანათინაიკოსი | 78:83 |
| ტრიკალა-კავალა | 86:82 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| ბარსელონა-გრან კანარია | 81:67 |
| ფუენლაბრადა-სარაგოსა | 103:80 |
| გრანადა-ტაუგრესი | 86:87 (ო) |
| მანრესა-ხუვენტუდი | 83:84 |
| მენორკა-მურსია | 84:94 |
| უნიკახა-ბილბაო | 84:73 |
| ესტუდიანტესი-ვალენსია | 77:81 |
| ბრუესა-კახასოლი | 63:70 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| ტერამო-ბიელა | 89:87 (ო) |
| ვირტუსი-მილანი | 70:60 |
| ბენეტონი-სიენა | 67:84 |
| რიეტი-აველინო | 79:74 |
| რომა-ფორტიტუდო | 87:71 |
| სკავოლინი-ფერარა | 91:86 |
| სნაიდერო-მონტეგრანარო | 85:79 |
| კანტუ-კაზერტა | 99:71 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| გრაველინი-შოლე | 65:85 |
| ნანსი-ტულონი | 98:87 |
| რუანი-დიჟონი | 100:106 (ო) |
| სტრასბური-ვიში | 76:54 |
| შალონი-ლე მანი | 78:67 |
| პავრი-ბეზანსონი | 95:97 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| დინამო(მ)-ტორპედო | 4:2 |
| ავანგარდი-სიბირი | 7:1 |
| ლადა-ს. იულიაევი | 5:2 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (მ) | 5:1 |
| მვდ-ცსკა | 2:0 |
| დინამო (მნ)-სპარტაკი | 0:2 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| მიკულაში-სკალიცა | 1:4 |
| ჟილინა-კეჟმაროკი | 4:3 |
| ზვოლენი-კოშიცე | 3:5 |
| ნიტრა-მარტინი | 4:4 |
| სლოვანი-ტრენჩინი | 5:1 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ილვესი-ლუკო | 4:2 |
| კერპეტი-კიეკო | 1:3 |
| პელიკანსი-კალპა | 4:5 |
| ტპს-ტაპარა | 2:3 |
| ჰპკ-სეიპა | 2:6 |
| იუვიასკიულა-იოკერიტი | 0:1 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-კარლოვი ვარი | 2:2 |
| პარდუბიცე-სპარტა | 2:2 |
| ტრშინეცი-ბუდეიოვიცე | 1:6 |
| ზნოიმო-ბოლესლავი | 0:1 |
| კლადნო-ზლინი | 2:2 |
| ლიტვინოვი-ვიტკოვიცე | 3:3 |
| პლზენი-სლავია | 2:6 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბილი-ციურიხი | 4:7 |
| კლოტენი-ამბრი | 2:2 |
| ლანგნაუ-ცუგი | 2:2 |
| ლუგანო-დავოსი | 2:2 |
| რაპერსვილი-ჟენევა | 3:5 |
| ფრიბურგი-ბერნი | 3:3 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ლულეო-ბრიუნესი | 5:0 |
| როგლე-სიოდერტალე | 6:2 |
| ტიმრა-ფერიესტადი | 6:0 |
| ფრიოლუნდა-აიკ | 1:0 |
| იურგორდენი-ჰვ71 | 3:5 |
| ლინჩოპინგი-მოდო | 6:1 |

### ხელბურთი

#### მს. ჩემპიონატი. კაცები

მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| დანია-პოლონეთი | 23:31 |

ფინალი

| | |
|---|---|
| ხორვატია-საფრანგეთი | 19:24 |

## TV პროგრამა

### 2 თებერვალი. ორშაბათი

#### I არხი

23:00 საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:30 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-სანდერლენდი.
09:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-სენტ-ეტიენი.
11:10 ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-სევილია.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-არმინია.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბარსელონა.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლილი.
20:50 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:10 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. კაიზერსლაუტერნი-მაინცი (LIVE).
01:15 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ტოტენჰემი.
03:05 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. კაიზერსლაუტერნი-მაინცი.
04:55 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
05:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-სენტ-ეტიენი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-იუვენტუსი.
09:45 პროფესიული კრივი. 2008 წლის საუკეთესო ბრძოლები.
10:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ვერდერი-არმინია.
12:40 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. პონტე პრეტა-პალმეირასი.
14:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-სანდერლენდი.
16:15 მძლეოსნობა. Samsung Gala. შვედეთი.
19:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:10 მშვილდოსნობა.
19:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბარსელონა.
21:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
00:05 სპორტული სამყარო.
00:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
01:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:10 პროფესიული კრივი. ნიკოლაი ვალუევი-სერგეი ლიახოვიჩი.
05:20 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. პონტე პრეტა-პალმეირასი.
07:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ვერდერი-არმინია.

#### EUROSPORT

11:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ირლანდია.
12:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. კაცები. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია.
13:30 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). რბოლა გამოდევნებით. კაცები. კანადა.
14:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). რბოლა გამოდევნებით. ქალები. კანადა.
14:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS134. საპორო. იაპონია.
15:30 ველოსპორტი. კატარის ტური. I ეტაპი.
16:00 ველოსპორტი. კატარის ტური. II ეტაპი (LIVE).
16:55 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა.
17:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). რბოლა გამოდევნებით. კაცები. კანადა.
17:30 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). რბოლა გამოდევნებით. ქალები. კანადა.
18:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ფინალი. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS134. საპორო. იაპონია.
21:45 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - ლეონელ მესი.
22:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ფინალი. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - ლუკას პოდოლსკი.
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ფინალი. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ლაკროსი. რეგულარული სეზონი. აშშ.
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ოლიმპია.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ლაკროსი. რეგულარული სეზონი. აშშ.
18:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ოლიმპია.
19:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. გერმანია.
19:45 ახალი ამბები.
20:00 სნოუბორდი. ავსტრია.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
22:00 მოტორბოლა - ენდურო. მსოფლიოს თასი. ჯენოა. იტალია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 სნოუბორდი. იაპონია.
23:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XVII ტური.
01:30 სუპერკროსი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ლონდონი. იტალია.
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# როჯერის ცრემლები და რაფას პირველი ავსტრალიური



როგორც ჩანს, შარშან **რაფაელ ნადალთან** ოთხი ნაგების (მათ შორის თავისი საყვარელი უიმბლდონის ფინალის) შემდეგ, **როჯერ ფედერერს** "ნადალის კომპლექსი" ჩამოუყალიბდა. ესპანელს კი "დიდი სლემის" მოგების შანსი გაუჩნდა. როლან გაროსი და უიმბლდონი მას მოგებული აქვს, იქნებ წელსაც შეინარჩუნოს ეს ტიტულები და თუ ამას ამერიკის ღია პირველობის ტიტულსაც დაუმატებს, 1969 წლის შემდეგ პირველი ჩოგბურთელი გახდება, ვინც სეზონში ოთხ დიდ ტურნირს მოიგებს.

გუშინდელი ფინალი როჯერმა ნერვიულად დაიწყო - ძალიან უხეში შეცდომების შემდეგ, შვეიცარიელმა საკუთარ მოწოდებაზე გეიმი წააგო. შეხვედრის სტარტზე იდეალურად არც ნადალი მოქმედებდა და მან მომენტალურად მისცა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა. ბრძოლის გარეშე არც მომდევნო გეიმებს ჩაუვლია. პირველმა მორიგი ბრეიკი ფედერერმა გააკეთა, მაგრამ ვერც მან შეინარჩუნა ეს უპირატესობა - ორმაგი შეცდომის შემდეგ საკუთარი მოწოდება მეორედ წააგო. ხოლო ბადესთან არადამაჯერებელი მოქმედების შემდეგ, მე-11 გეიმში როჯერმა კიდევ ერთი ბრეიკი დაუთმო ნადალს და ესპანელმა პირველი სეტი 7:5 მოიგო.

**მეორე პარტიაში ნადალი აქტიურად ამოქმედდა, თანაც მის დარტყმებს სი**ზუსტეც არ დაუკარგავს და თავიდან ისე ჩანდა, რომ ეს სეტის მოსაგებად საკმარისი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, პირველი ბრეიკი ესპანელმა გააკეთა. თითქოს რაფას უნდა გაემყარებინა ეს უპირატესობა, მაგრამ მოულოდნელად ჩოგბურთელებმა ადგილები გაცვალეს - ახლა ნადალმა დაიწყო შეცდომების დაშვება, როჯერმა კი პირიქით, თავისი თამაში იპოვა და მომენტალურად დაეუფლა ინიციატივას. გადამწყვეტი მერვე გეიმი გახდა - მეხუთე ბრეიკპოინტიდან შვეიცარიელმა მეტოქის მოწოდება აილო და შემდეგ სეტზე დამაჯერებლად ჩაანოდა.

მესამე პარტიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამას ჩოგბურთელებიც აცნობიერებდნენ და ამჯერად მათ აღარ დაუთმეს ერთმანეთს საკუთარი მოწოდებები. უფრო ახლოს გამარჯვებასთან ფედერერი იყო, რომელმაც მეტოქის ბოლო ორ გეიმზე ექვსი ბრეიკპოინტი გაანიავა! გადამწყვეტ მომენტებში ნადალი უნაკლო ჩოგბურთს აჩვენებდა. ასევე იყო ტაიბრეიკშიც, სადაც 3:3-ის შემდეგ, ესპანელმა ზედიზედ ოთხი გათამაშება მოიგო და სეტებს შორის ისევ წაიყვანა ანგარიში.

უცნაურად განვითარდა მოვლენები მეოთხე სეტში. შვეიცარიელმა ბრეიკით **დაიწყო, იქვე მომენტალურად დააბრუნა თავის მოწოდებაზე ერთი გეიმი და კინალამ მეორეც ზედ მიაყოლა. ახლა** უკვე როჯერმა მოიგერია ხუთი ბრეიკპოინტი, რის მერეც განაწყენებულ მოწინააღმდეგეს კიდევ ერთი ბრეიკი ააცალა, შემდეგ კი იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 2:2.

სავარაუდოდ, ფსიქოლოგიური უპირატესობა ფედერერის მხარეს უნდა გადასულიყო, თანაც **ფერნანდო ვერდასკოსთან** ხუთსაათიანი ნახევარფინალის შემდეგ, ნადალს, წესით, დაღლა უნდა დატყობოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ფედერერმა მეოთხე გეიმი ოთხი უხეში შეცდომის (მათ შორის ერთი ორმაგი შეცდომაც იყო) გამო წააგო. ნადალს ისღა რჩებოდა, საკუთარი მოწოდებები შეენარჩუნებინა და ტიტულიც მას დარჩებოდა. ასეც მოხდა. თავისი მოწოდების წაგების შემდეგ, ფედერერის თამაში საბოლოოდ მოიშალა და მან არათუ ბრეიკისთვის იბრძოლა, საკუთარი მოწოდებაც დათმო.

დაჯილდოების ცერემონიაზე მტირალი როჯერ ფედერერი ვიხილეთ, რომელსაც ნადალი აწყნარებდა. ესპანელი მოერიდა კიდეც თავისი წარმატების ემოციურად გამოხატვას, რაც ამ ორ ჩოგბურთელს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობაზე მეტყველებს. ვინ იცის, იქნებ ოდესმე შეძლოს ფედერერმა **პიტ სამპრასის** რეკორდის გამეორება. შეგახსენებთ, რომ ამერიკელს "დიდი სლემის" 14 ტიტული აქვს მოგებული, შვეიცარიელი კი კვლავინდებურად 13 ტიტულზეა შეჩერებული.

ნადალმა პირველად მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და ამ ტურნირის პირველი ესპანელი ტრიუმფატორი გახდა.

*"რაფა იმსახურებდა ამ გამარჯვებას და ვულოცავ მას წარმატებას. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მხარს მიჭერდა და მათ ერთი წლის შემდეგ შეხვედრას ვპირდები"*, - განაცხადა ფედერერმა.

*"მაპატიე, როჯერ, მესმის, როგორი მძიმეა შენთვის ეს სიტუაცია. შენ დიადი ჩემპიონი ხარ და მალე მოიგებ მე-14 ტიტულს. ამ თასის როდ ლეივერისგან მიღება ჩემთვის სიზმარივითაა. მადლობას ვუხდი ჩემს გუნდს: ტონის, კარლოს, მამაჩემს, მწვრთნელებს. ეს შესანიშნავი ორი კვირა იყო და მეც ერთი წლის შემდეგ შეხვედრას გპირდები"*, - ასეთი იყო პრიზის მიღების შემდეგ ნადალის სიტყვა.

■ ■ ■

მამაკაცთა ფინალი საერთოდ არ ჰგავდა ქალების გადამწყვეტ შეხვედრას, რომელიც ერთი დღით ადრე გაიმართა. **სერენა უილიამსს** ზუსტად 59 წუთი დასჭირდა **დინარა საფინას** დასამარცხებლად და კარიერაში "დიდი სლემის" რიგით მეათე ტიტულის მოსაპოვებლად.

ფინალის პირველ სეტში ბრძოლა არ ყოფილა. რუსმა ჩოგბურთელმა თავის მოწოდებაზე პირველი გეიმი ორმაგი შეცდომით დაიწყო და იქედან მოყოლებული, საერთოდ დაკარგა თამაშზე კონტროლი. პირველი სეტი 22 წუთში 6:0 დასრულდა. ტრიბუნებზე შეკრებილმა მაყურებელმა, რომელიც საინტერესო ფინალს ელოდა, მსუბუქი შოკი მიიღო.

საფინას მონდომების მიუხედავად, მეორე პარტია უბრალო ფორმალობად გადაიქცა. რუსი ჩოგბურთელის მიერ მოგებულმა სამმა გეიმმა დროში ოდნავ გაწელა ფინალი, თორემ მისი საბოლოო შედეგი ისედაც ცნობილი იყო. ამ მატჩის ცალკეული მომენტების გარჩევას აზრი არ აქვს - იმ დღეს, მელბურნ-პარკის ცენტრალურ კორტზე მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი - სერენა უილიამსი თამაშობდა.

ამერიკელს არ დასჭირვებია მთელი თავისი არსენალის საქმეში ჩართვა. მას სრული ძალით არ უთამაშია და თან მინიმალური რაოდენობის შეცდომას უშვებდა. გარდა ამისა, მეტოქეც ეხმარებოდა პასიური თამაშით. ეს მატჩი ძალიან ჰგავდა ავსტრალიის ლიაზე ორი წლის წინანდელ ფინალს, როცა სერენამ კიდევ ერთი რუსი - **მარია შარაპოვა** გაანადგურა.

დინარას ეყო სიმამაცე, ეღიარებინა მოწინააღმდეგის მაღალი კლასი და თავისი უნიათობა: *"პირველ რიგში, ვულოცავ სერენას ბრწყინვალე გამარჯვებას. დღეს ის ძალიან კარგად თამაშობდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დღეს კორტზე უბრალო ბოლბოი (ბურთის მიმწოდებელი ბავშვები - რედ.) ვიყავი. იმედი მაქვს, მომდევნო ჯერზე აქ უკეთესად გამოსვლას შევძლებ"*.

მატჩის წინ სერენა ამბობდა, რომ ცრურწმენების არ სჯერა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - უმცროსი უილიამსი ავსტრალიაში ერთი წლის გამოტოვებით იმარჯვებს, თანაც კენტ წლებში - 2003, 2005, 2007 და 2009 წლებში. 2007 წელს სერენა ორ მატჩში ახლოს იყო დამარცხებასთან, მაგრამ შეძლო კრიზისის დაძლევა და როგორც ზემოთ გითხარით, ფინალში შარაპოვა გაანადგურა. დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია იყო ამ ჩემპიონატშიც, როცა სერენასთან ბრძოლაში ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან **ვიქტორია აზარენკა** და **სვეტლანა კუზნეცოვა**.

"დიდი სლემის" მეათე ტიტულმა სერენა უილიამსს ბევრი ბონუსი მოუტანა. ის მოქმედ ჩოგბურთელებს შორის ყველაზე ტიტულოვანია. კარიერის განმავლობაში მას ყველაზე მეტი ჰონორარი აქვს გამომუშავებული, თანაც არა მარტო ჩოგბურთელებს, არამედ საერთოდ ქალ სპორტსმენებს შორის. ამ ტურნირზე სერენამ არა მარტო **ლინდსი დავენპორტს**, არამედ შვედ გოლფისტ **ანიკა სიორენსტრიომს** გაუსწრო. დაბოლოს, ფინალის მოგებით უილიამსი WTA-ის რეიტინგის პირველი ნომერი გახდა, რომელსაც ადრე 61 კვირის განმავლობაში ინარჩუნებდა.

პირველად სერენა კლასიფიკაციის პირველი ჩოგანი 2002 წელს, უიმბლდონის მოგების შემდეგ გახდა. მან ეს სტატუსი 57 კვირის განმავლობაში, 2003 წლის 10 აგვისტომდე შეინარჩუნა. გასულ წელს, ამერიკის ღია პირველობის მოგების შემდეგ, უილიამსი ისევ მოექცა რეიტინგის სათავეში, ოლონდ იქ მხოლოდ ოთხი კვირა გაძლო.

აქვე შეგახსენებთ, რომ სერენა უილიამსმა ავსტრალიის ლიაზე დუბლი შეასრულა - ერთი დღით ადრე თავის დასთან, **ვენუსთან** ერთად წყვილთა თანრიგი მოიგო.

■ ■ ■

მამაკაცთა წყვილებშიც ოჯახურმა დუეტმა მოიგო. ტყუპი ძმების - **ბობ** და **მაიკ ბრაიანების** წყვილმა ფინალში **მაეშ ბჰუპატისა** (ინდოეთი) და **მარკ ნოულზის** (ბაჰამის კუნძულები) ინტერნაციონალური დუეტი დაამარცხა.

არადა, ამერიკელებმა ფინალი ცუდად დაიწყეს და პირველი სეტი 2:6 წააგეს. მეორეში მეტოქეები დამაჯერებლად იგებდნენ საკუთარ მოწოდებებს და ყველაფერი ტაიბრეიკისკენ მიდიოდა, მაგრამ მე-12 გეიმში ბრაიანებმა ბრეიკი გაახერხეს და სეტებში ანგარიში გაათანაბრეს. იმედგაცრუებულმა ბჰუპატიმ და ნოულზმა მესამე სეტში ერთი გეიმიც ვერ აიღეს და ტიტული ამერიკელებს დაუთმეს.

ბრაიანებმა ATP-ის რიგით 51-ე ტურნირი მოიგეს, ავსტრალიის ღია პირველობაზე კი მესამედ გაიმარჯვეს, სულ მათ ანგარიშზე "დიდი სლემის" შვიდი ტიტული მოდის. ამ მაჩვენებლით ისინი გაუთანაბრდნენ თანამემამულეებს - **პიტერ ფლემინგსა** და **ჯონ მაკინროის**, აგრეთვე ავსტრალიელებს - **ჯონ ნიუკომბსა** და **პიტერ როუჩს**. პირველ ადგილზე კი ავსტრალიელების - **ტოდ ვუდბრიჯისა** და **მარკ ვუდფორდის** ლეგენდარული დუეტი იმყოფება - მათ "დიდი სლემის" 11 ტურნირი აქვთ მოგებული.

სხვათა შორის, ამ გამარჯვებით ბრაიანებმა წყვილების რეიტინგში პირველი ადგილი დაიბრუნეს, რომელიც მათ შარშან სერბმა **ნენად ზიმონჯიჩმა** და კანადელმა **დანიელ ნესტორმა** ჩამოართვეს.

**კაცები**

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 2) 5:7, 6:3, 6:7(3), 6:3, 6:2.

**ქალები**

**ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-დინარა საფინა (რუს, 3) 6:0, 6:3.

**კაცები. წყვილები**

**ფინალი**

**მაიკ ბრაიანი/ბობ ბრაიანი (აშშ)**-მაეშ ბჰუპატი/მარკ ნოულზი (ინდოეთი/ბაჰამის კ-ები) 2:6, 7:5, 6:0.

**მიქსტი**

**ფინალი**

**სანია მირზა/მაეშ ბჰუპატი (ინდოეთი)**-ნატალი დეში/ენდი რამი (საფრანგეთი/ისრაელი) 6:3, 6:1.

გია თვალაბეიშვილი

